საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№19 (490)
29 მაისი – 4 ივნისი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru




## 17 მაისი და არჩევნები ევროპარლამენტში

9

## «ახლა რა არეულობებსაც აწყობენ, ამას კარგი არაფერი არ მოჰყვება. ამბიციები უნდა დავიცხროთ. თუ ცოცხალი ჯაჭვი უნდათ, მაშინ იქ ჩასახლდნენ, როგორც თავის დროზე ბერები ჩასახლდნენ»

2



## «არ მიკვირს ასეთი ცინიზმი ხელისუფლებისგან, რომელიც გამოდის და ურცხვად გვეუბნება: ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ, თქვენ ამას ვერ ხედავთო»

3

## დასავლეთი ქართულ კულტურას ძალადობრივ კულტურად მიიჩნევს

4




## მკვლელთა ღაღადი

5




„ლამის ყოველდღიურად ახალ სიმაღლეებს იპყრობენ „ქართული მენტალიტეტის“ მლანძღველები“



## ამერიკის ლიდერს საქართველოს დამოუკიდებლობა სულ «ტრამპზე» ჰკიდია

6

## მივბაძოთ უკრაინას, რეფერენდუმი საქართველოშიც ჩატარდეს და გავარკვიოთ. რა სურს ერს რეალურად




7

## ლიბერალიზმის დასამარების დასაწყისი

24




## იტალიელებს არ სურთ ევროკავშირის მონობა

11



პოზიცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სამარცხვინო რამ მოხდა ბათუმში 26 მაისს. საბავშვო ფესტივალი ჩატარდა, ერთ-ერთი ანსამბლი რუსეთის დროშით იყო წარმოდგენილი, როგორც ჩანს, მიწვეულები იყვნენ, ამაზე ატყდა საშინელი ამბავი. დასაჯეს მონაწილეები, მოხსნეს აჭარის განათლების მინისტრი. ეს პირდაპირი დისკრიმინაციაა ჩამოსული სტუმრების. რუსეთში არავინ არ უშლის ქართველს საქართველოს დროშის გაშლას, საქართველოს სახელით ღონისძიებებში მონაწილეობას. ჩვენი ხელისუფლების ეს საქციელი არის სამარცხვინო, ამით ხელისუფლებას რისი თქმა სურს, ვერ ვხვდები. რუსეთი, როგორც ქვეყანა და როგორც ჩვენი მეზობელი, აღარ არსებობს?“

## «ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველო არავის არ უყვარს, მეტიც, ფეხებზე ჰკიდიათ, მხოლოდ ყალბი პათოსია. რუსოფობიით ცდილობენ საქართველოს სიყვარულის დამტკიცებას!»

## «ეს ხელისუფლება სოციალურმა პრობლემებმა უნდა გადაიყოლოს»

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში ყოფნის მეშვიდე წელიწადი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა მოსახლეობისთვის, თუმცა, დაპირების მიუხედავად, არც წინა წლები არ იყო დალხენილი. საზოგადოების დიდმა ნაწილმა მმართველი გუნდის წინააღმდეგ უკმაყოფილება ჯერ კიდევ 2013 წელს გამოთქვა, როდესაც „ნაცებსა“ და „ქოცებს“ შორის კოაბიტაცია დაიწყო. მას შემდეგ სასიკეთოდ ბევრი არაფერი არ შეცვლილა და ხალხი დღეს მწვავე სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემების წინაშეა — ჭიათურაში მაღაროელები გაიფიცნენ. მძიმე და დაძაბული ვითარებაა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან, სადაც აზერბაიჯანს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე გზა გაჰყავს. საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარი აქამდე დადგენილი არ არის. დავითგარეჯის კომპლექსის ერთი ნაწილი საზღვრის დელიმიტაციის თაობაზე მოლაპარაკებების ერთ-ერთი პრობლემური საკითხი იყო. საზოგადოება აღშფოთებულია, საქართველოს მთავრობის წევრები კი ამ პრობლემას ჯერჯერობით ვერ აგვარებენ.**
**როგორც ჩვენი გაზეთის სტუმარი, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე ამბობს: „არეულობებს, რომლებსაც ახლა აწყობენ, კარგი არაფერი მოჰყვება. ჩვენ არ გვაქვს ძალა, აზერბაიჯანს დავუპირისპირდეთ, ისინი 8 მილიონზე მეტნი არიან, ჩვენ კი სამი მილიონიც არ ვართ“...**

— რომელ ტერიტორიაზეც დღეს დავა მიდის, არის ქედს იქითა ტერიტორია — ჩიჩხიტური და ბერთუბანი. ამბობენ, აზერბაიჯანის მხარესთან წლების წინათ შევთანხმდით, რომ ბერთუბანი ჩვენს ტერიტორიაზეა, მაგრამ ამის შესახებ დოკუმენტი არ არსებობს.

**— დოკუმენტი არსებობს. 1988 წელს, როდესაც ცეკას პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი იყო, აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მოლაპარაკება გაიმართა. დოკუმენტი არსებობს და ის საპატრიარქოს აქვს...**

— გამოაჩინონ მაშინ... 1996 წელს ჩემი თვალით მაქვს ნანახი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, **ვალერი ჩხეიძის,** წერილი შევარდნაძისადმი, რომელშიც ის მოახსენებს, რომ ჩიჩხიტური და ბერთუბანი არის მოქცეული აზერბაიჯანის მხარეს და რომ აზერბაიჯანს შესთავაზეს ტერიტორიების გაცვლა, მაგრამ უარი მიიღეს. აი, ეს დოკუმენტი ნამდვილად მინახავს, მაგრამ სხვა ინფორმაცია არ მსმენია. შესაძლოა, ორ ქვეყანას შორის მართლაც არსებობდა სიტყვიერი შეთანხმება, სხვა შემთხვევაში ვერ წარმომიდგენია, რომ ხელჩასაჭიდი დოკუმენტი არსებობდეს და ამით არავინ არ სარგებლობდეს.

საქართველომ და აზერბაიჯანმა უნდა მიაღწიონ შეთანხმებას, რომ დავითგარეჯა არის მთლიანი სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც უნდა მიენიჭოს განსაკუთრებული სტატუსი, რათა სასულიერო პირებს მიეცეთ თავისუფალი მიმოსვლის საშუალება. ასევე, მიმოსვლის საშუალება უნდა მიეცეთ ტურისტებსაც, საქართველოდან იქნებიან თუ აზერბაიჯანიდან. თუკი მხარეები შეთანხმდებიან, რომ ძეგლი განსაკუთრებული სტატუსის მქონეა, საქართველო ამით არაფერს არ დათმობს. ეს ქართული ძეგლია, ასეც ვეტყვით ტურისტებს, აზერბაიჯანს თუ უნდა, თავისი ვერსია მოყვეს. მთავარია, რომ სამონასტრო კომპლექსთან მისვლა შესაძლებელი იყოს ყველასთვის.

ახლა რა არეულობებსაც აწყობენ, ამას კარგი არაფერი არ მოჰყვება. ჩვენ არ გვაქვს ძალა, აზერბაიჯანს დავუპირისპირდეთ, ისინი 8 მილიონზე მეტნი არიან, ჩვენ კი სამი მილიონიც არ ვართ. ამბიციები უნდა დავიცხროთ. თუ ცოცხალი ჯაჭვი უნდათ, მაშინ იქ ჩასახლდნენ, როგორც თავის დროზე ბერები ჩასახლდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გამკეთებელი ადამიანი საქართველოში არ მეგულება.

**— „ქართული ოცნება“ შვიდი წლის თავზე სერიოზული პრობლემის წინაშეა. უჭირს არჩევნების მოგება, ცხელი წერტილები გაჩნდა ბევრ ადგილას...**

— წინაც და ამჟამინდელი ხელისუფლებები და ერთი იდეოლოგიისანი არიან — ნეოლიბერალები, მოწამლული ხალხი.

სამარცხვინო რამ მოხდა ბათუმში 26 მაისს. საბავშვო ფესტივალი ჩატარდა, ერთ-ერთი ანსამბლი რუსეთის დროშით იყო წარმოდგენილი, როგორც ჩანს, მიწვეულები იყვნენ, ამაზე ატყდა საშინელი ამბავი. დასაჯეს მონაწილეები, მოხსნეს აჭარის განათლების მინისტრი. ეს პირდაპირი დისკრიმინაციაა ჩამოსული სტუმრების. რუსეთში არავინ არ უშლის ქართველს საქართველოს დროშის გაშლას, საქართველოს სახელით ღონისძიებებში მონაწილეობას. ჩვენი ხელისუფლების ეს საქციელი არის სამარცხვინო, ამით ხელისუფლებას რისი თქმა სურს, ვერ ვხვდები. რუსეთი, როგორც ქვეყანა და როგორც ჩვენი მეზობელი, აღარ არსებობს? რუსეთიდან უამრავი სტუმარი, ტურისტი ჩამოდის და მათი სტუმრობით საქართველო დიდ სარგებელს ნახულობს, **ვინ მისცა ამ ნაძირალებს იმის უფლება, გადაწყვიტონ, ბავშვები რუსეთის დროშით ჩაივლიან ღონისძიებაზე თუ უდროშოდ?**

ასეთ რაღაცებს რომ წავაწყდები, ვფიქრობ, რომ ეს ხელისუფლება წინაზე უარესია. ესენი მშიშრები არიან, ნაციონალებს რაღაც-რაღაცების არ ეშინოდათ. ესენი ჩასვრილები, თავლაფდასხმულები არიან, მცირე გამონაკლისის გარდა, ყველა ასეთია. ჩვენი ხელისუფლების ასეთი საქციელი ქვეყანას სიკეთემდე არ მიიყვანს.

თუკი ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ უმცირესობებს არ შეუძლიათ საკუთარი თავის დაცვა, მაშინ ამას მე გავაკეთებ და მერე ნახონ, როგორ უნდა სტრასბურგში ჩივილი. ჩვენ უმწიფარი საზოგადოება ვართ, სახელმწიფოებრივად არ ვაზროვნებთ, **ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველო არავის არ უყვარს, უფრო მეტიც, ფეხებზე ჰკიდიათ, მხოლოდ ყალბი პათოსია. რუსოფობიით ცდილობენ საქართველოს სიყვარულის დამტკიცებას.**



ერთ წელიწადში საპარლამენტო არჩევნები გვექნება, ეს იქნება კომიკური არჩევნები, ცემა-ტყეპით, მუჯლუგუნებით, წივილ-კივილით ჩატარებული, რაც არასტაბილურობის განცდას დაგვიტოვებს.

**— როგორ შეიძლება დაასრულოს მოღვაწეობა ამ ხელისუფლებამ? დღეს უკვე ვხედავთ, რომ საპროტესტო ტალღები არ ცხრება, პირიქით — ახალ-ახალი ჩნდება. საპარლამენტო უმრავლესობიდან წამოსული დეპუტატები ამბობენ, რომ ზაფხული პოლიტიკურად ცხელი იქნება, შემოდგომა — უფრო ცხელი...**

— ჰო, ჩვენს პოლიტიკოსებს მხოლოდ ეგ აღელვებთ — შემოდგომა უფრო ცხელი იქნება თუ ზაფხული, ერთეულების გარდა არავინ არ ფიქრობს ქვეყნის წინაშე მდგარი უამრავი პრობლემის, მაგალითად, დავითგარეჯის პრობლემის მოგვარებაზე. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, არ ვიცოდი დავითგარეჯასთან გზა თუ გაჰყავდათ აზერბაიჯანელებსო...

**ვზეიმობთ ფუჭ დამოუკიდებლობას და ნამდვილი ისტორია არ ვიცით. უკეთესი იქნებოდა, ისტორია გვესწავლა კარგად და გაგვეგო, რას ვზეიმობთ... დიდგორობას სანახევროდ ვზეიმობთ. თავისუფლები ვართო, გავიძახით და ხმამაღლა ვერ გვითქვამს, რომ აჭარა რუსეთმა გაათავისუფლა ოსმალთა ბატონობისგან, ეს ფორმულა აკრძალულია. ყველგან წაშალეს, სადაც ეწერა, რომ აჭარა რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად გათავისუფლდა.** საქართველოს ხელისუფლებებს სურთ, რომ ხალხმა ისტორია დაივიწყოს, არავის არ აინტერესებს, როგორ მოხდა საქართველოს გაერთიანება. ამის ნაცვლად ვუყურებთ ხან ელგბტ-თა აქციებს, ხან არჩევნებში ცემა-ტყეპას და ჩვენი ქვეყანა რომ გადაშენების პირასაა, რომ აღარ ვმრავლდებით, ეს ვითომც ლობეს ჩხირი, ვითომც ეს მთავრობის უპირველესი საზრუნავი არ უნდა იყოს.

საქართველოში უმწვავესი სოციალური პრობლემებია, ყველამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ამ პრობლემაზე. აუცილებლად უნდა მოეწყოს აქციები, გაფიცვები და ამ ყველაფრის გამაერთიანებელი ძალა უნდა გამოჩნდეს. დღეს ჩვენს ქვეყანაში წარმოდგენილი პარტიები ხალხის გაერთიანებას ვერ უზრუნველყოფენ. 1990-იანი წლებიდან ეს პოლიტიკოსები ხალხს ყელში ამოუვიდა, მათი სიფათები უნდა მოვიშოროთ და პატრიოტები გამოვიდნენ წინა ხაზზე. სოციალურმა პროტესტმა სისტემა უნდა შეცვალოს, თუ აქედან არ დავიწყებთ, კოსმეტიკურ ცვლილებებს აზრი არ აქვს.

**— რეალურია ის, რაზეც ახლა საუბრობთ?**

— დიდად არ მჯერა ამ ყველაფრის, მაგრამ ფაქტია: ჭიათურაში საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას ჩავიდა მმართველი პარტიის გენერალური მდივანი, რომელსაც არ დაელაპარაკნენ, რადგან მიხვდნენ, რომ მათ მოტყუებას ცდილობდა. ყველაფერმა ამან პერმანენტული და მასობრივი ხასიათი უნდა მიიღოს.

არსებობს მთავარი პრობლემები, რომელთა მოგვარების მოთხოვნით უნდა დავიწყოთ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ საპროტესტო აქციები. სოციალური პრობლემა, რომელიც მაღაროელებმა წინ წამოსწიეს, სოფლის მეურნეობაში არსებული პრობლემები და დავითგარეჯის პრობლემა. უნდა გაერთიანდეს. აქვე, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ **დავითგარეჯის საკითხის მოგვარებას ანტიაზერბაიჯანული ხასიათი არ უნდა მიეცეს.** დავდგეთ ქვეყნის სადარაჯოზე, რათა ქვეყნის ხელისუფლება გამოვაფხიზლოთ და, თუ არ გამოფხიზლდება, გავუშვათ. სხვისი მიწების მითვისება არ გვინდა, მაგრამ ჩვენს მონასტერში თავისუფალი მიმოსვლა გვსურს. თუკი საზოგადოება პრინციპულად მიუდგება საკითხს და უკან არ დაიხევს, ხელისუფლების თავხედური ქმედებები თავისით აილაგმება.

მოკლედ, საქართველოში არსებულმა სოციალურმა პრობლემებმა უნდა გადაიყოლოს ეს ხელისუფლება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## «ამბიციები უნდა დავაცხროთ. თუ ცოცხალი ჯაჭვი უნდათ, მაშინ იქ ჩასახლდნენ, როგორც თავის დროზე ბერები ჩასახლდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გამკეთებელი ადამიანი საქართველოში არ მეგულება»

## «სოციალურმა პროტესტმა სისტემა უნდა შეცვალოს, თუ აქედან არ დავიწყეთ, კოსმეტიკურ ცვლილებებს აზრი არ აქვს»

„როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს ბრძოლა ერისა და სახელმწიფოს მთავარი საფუძვლის - ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ, როდესაც მიდის ქილიკი და პროპაგანდა ტრადიციული ფასეულობების დასაკნინებლად, ცხადია, ის ქვეყანა სახელმწიფოებრივად წელში გამართული ვერ იქნება. საერთოდ, მამათმავლების, „ბარიგებისა“ და ნარკომანების სახელმწიფო ისტორიამ არ იცის. ისტორიამ იცის ჯანსაღი ხალხის, საზოგადოების მიერ შექმნილი იმპერიები, რომლებიც გარყვნილებამ დაანგრია“.

ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მამა გიორგი (რაზმაძე): რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, სამხედრო ტექნიკით შემოვა ვიღაც და გადამივლის თუ სამუშაო ტექნიკას შემოიყვანს და ისე წამართმევს ტერიტორიას?!

**საქართველო-აზერბაიჯანს შორის საზღვრის დემარკაცია-დელიმიტაციის საკითხზე ბაქოში მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად აზერბაიჯანული მხარის მიერ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე გზის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამ სრულიად საქართველო კიდევ ერთხელ შეძრა და აღაშფოთა.**

მეგობრად და პარტნიორად მიჩნეული მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან ჩადენილმა, იმ დროს, როცა საქართველო საკითხისადმი კვლავ „გასაოცარ დიპლომატიურ კორექტულობას თუ სიფრთხილეს“ იჩენს და დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად თავის მოქალაქეებს მონასტრამდე არ უშვებს, საზოგადოებაში არსებული უკმაყოფილება კიდევ უფრო გაზარდა. თუმცა მმართველმა გუნდმა, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში თავი მიწაში აქვს ჩარგული და ისტორიული მიწის ოკუპაციაზე თვალს ხუჭავს, მოსახლეობას ისევ სიმშვიდისკენ მოუწოდა. პარალელურად საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა მედიასთან განაცხადა, რომ გზის გასაყვანი სამუშაოების დაწყებაზე მას ინფორმაცია არ ჰქონდა და ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე მედიასაშუალებებისგან შეიტყო: „ამ წუთებში ვრცელდება ეს ინფორმაცია, მეც ახლა გავიგე საინფორმაციო საშუალებებიდან. ბუნებრივია, ყველაფერი გადამოწმდება... მინდა, კიდევ ერთხელ ყველას მოვუწოდო, თავი შევიკავოთ ემოციური განცხადებებისგან. აუცილებელია, რომ ჩვენ, ამ ემოციური თემატიკიდან გამომდინარე, ყველა საკითხი გავიაროთ კომისიის ფარგლებში...“ შეგახსენებთ, რომ იმ მომენტში, როცა საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს განაცხადა, აზერბაიჯანულ მხარეს დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექის ტერიტორიაზე, ჩიჩხიტურის კოშკის მიმართულებით, გზის გაყვანა რამდენიმე დღის დაწყებული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივების ძალისხმევა რომ არა, ხელისუფლება საზოგადოების ინფორმირებას არ ჩქარობდა...

იყო თუ არა რეალურად საქართველოს ხელისუფლება ამ პროცესზე ინფორმირებული და, საერთოდ, ადეკვატურია დღეს მმართველი გუნდის პოლიტიკა საზღვრების დემარკაციაზე?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, წინა კვირას აზერბაიჯანელებმა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე სამუშაო ტექნიკა შეიყვანეს და ჩიჩხიტურის კოშკის მიმართულებით გზის გაყვანა დაიწყეს, რაც, ბუნებრივია, სერიოზული შეშფოთებისა და მღელვარების მიზეზია საზოგადოებაში. როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს და, საერთოდ, ადეკვატურად მიგაჩნიათ დღეს ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა ამ საკითხის მიმართ?**

— დავიწყოთ იმით, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ქართული კულტურის ძველი და უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელიც დაკავშირებულია ქრისტიანობის განმტკიცებასთან ჩვენს ქვეყანაში. მეექვსე საუკუნის პირველი ნახევრიდან მოყოლებული, როცა ის დაარსდა ერთ-ერთი ასურელი მამის, დავითის, მიერ, სამონასტრო კომპლექსს ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა და დატვირთვა რელიგიურ-კულტურული თვალსაზრისით. ეს არაერთ ისტორიულ წყაროშია ასახული. რაც შეეხება შეკითხვას ხელისუფლების მიდგომაზე, არ მინდა, ზედმეტად მკვეთრი და კრიტიკული ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ბოლო პერიოდში რასაც ვისმენ, ვფიქრობ, ადეკვატურობაზე საუბარიც ზედმეტია — რეალობას მოწყვეტილი და დაბნეული ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ; ისეთ აბსურდულ განცხადებებს აკეთებენ, ისედაც ნერვებმოშლილ საზოგადოებას კიდევ უფრო ძაბავენ და აღიზიანებენ. ხომ შეიძლება, გაჩუმდე და არაფერი არ თქვა, როცა რამე აზრიანის თქმა არ შეგიძლია?! თუმცა მე, სიმართლე გითხრათ, **არ მიკვირს ასეთი ცინიზმი ხელისუფლებისგან, რომელიც გამოდის და ურცხვად გვეუბნება: ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა, უბრალოდ, თქვენ ამას ვერ ხედავთო.** გახსოვთ, ალბათ, ის გადაცემა, რომელშიც ბატონმა **ივანიშვილმა** განაცხადა: საზოგადოება უნდა დავაბრუნოთ რეალობაში, რათა ხალხმა დაინახოს ხელისუფლების მიღწევებიო. აი, ეს არის ამათი მიდგომა და დამოკიდებულება ხალხისადმი. ასე რომ, ცინიზმი მათთვის უცხო ამბავი არ არის. ისე, მე ერთი რამ მაინტერესებს: **ეს ჩვენი გულანთებული „ლიბერალები“ ვითომ ოკუპაციას რომ აპროტესტებენ და ხან შარვალჩახდილები მიდიან საზღვართან, ხან დედას აგინებენ რუსეთის ხელისუფლებას, ახლა რატომ არ იღებენ ხმას? იმაზე მეტი ოკუპაცია და მტრობა რა გინდა, როცა მეზობელი სახელმწიფო შენთან შეუთანხმებლად მიდის სასაზღვრო ტერიტორიაზე, რომელიც, ვის უნდა დარჩეს, პოლიტიკურ დონეზე ჯერ გარკვეული არ არის, და ისაკუთრებს შენს სიწმინდეს?!**

**— ცხადია, ამ ყველაფერს თავისი სახელი აქვს პოლიტიკურად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბევრი თავს იკავებს მკვეთრი შეფასებებისგან.**

— მესმის, რომ, ერთი მხრივ, არის პოლიტიკა და დიპლომატია, რომელიც, მოგვწონს თუ არა, გარკვეულ სიფრთხილეს საჭიროებს, მაგრამ ეს დიპლომატიური წესები, სიფრთხილე და პატივისცემა მეორე მხარის მიდგომებს ხომ უნდა შეესაბამებოდეს?! როდესაც იქიდან ხედავ შენი პოზიციის სრულ უპატივცემულობასა და გაუთვალისწინებლობას, რომელ სიფრთხილესა და სიმშვიდეზეა საუბარი? სიფრთხილე ასეთ დროს ნიშნავს თვალის დახუჭვას და ქვიშაში თავის ჩარგვას, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო აქეზებს უცხო ქვეყანას... **რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის, სამხედრო ტექნიკით შემოვა ვიღაც და გადამივლის თუ სამუშაო ტექნიკას შემოიყვანს და ისე წამართმევს ტერიტორიას?!**

ახლა აზერბაიჯანული მხარის „არგუმენტებზეც“ მინდა, მოკლედ ვთქვა: მათი ისტორიკოსები ხშირად აცხადებენ, რომ ისინი მიეკუთვნებიან ძველ ალბანურ კულტურას და დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ამ კულტურის ნაწილია. ჯერ ერთი, გაუგებარია, რა კავშირი აქვს დღევანდელ აზერბაიჯანს და აზერბაიჯანელებს ისტორიულ ალბანეთთან, რომელიც იბერიულ-კავკასიური ტომების სახელმწიფო იყო; და მეორეც, თუ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი მათი კულტურის ნაწილია, რატომ არის იქ ტაძრებზე ქართველი მეფეები გამოსახული?! იმის თქმა მინდა, რომ ეს ყველაფერი მიდის სრულ აბსურდამდე, რაზეც, უბრალოდ, არ შეიძლება კამათი, მაგრამ არის ერთი მომენტი — როდესაც სახელმწიფო უკიდურესად დასუსტებულია და ყველა დაბალ ლობედ მიიჩნევს, მისთვის შარის მოდებისა და რაღაცების წართმევის სურვილი ბევრს უჩნდება...

**— გინდათ, თქვათ, რომ ეს ყველაფერი საქართველოს სისუსტის შედეგია?**

— რა თქმა უნდა, და ამ ყველაფერს აქვს თავის მიზეზი. **როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს ბრძოლა ერისა და სახელმწიფოს მთავარი საფუძვლის — ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ, როდესაც მიდის ქილიკი და პროპაგანდა ტრადიციული ფასეულობების დასაკნინებლად, ცხადია, ის ქვეყანა სახელმწიფოებრივად წელში გამართული ვერ იქნება. საერთოდ, მამათმავლების, „ბარიგებისა“ და ნარკომანების სახელმწიფო ისტორიამ არ იცის. ისტორიამ იცის ჯანსაღი ხალხის, საზოგადოების მიერ შექმნილი იმპერიები, რომლებიც გარყვნილებამ დაანგრია.**



**«ეს ჩვენი გულანთებული «ლიბერალები», ვითომ ოკუპაციას რომ აპროტესტებენ და ხან შარვალჩახდილები მიდიან საზღვართან, ხან დედას აგინებენ რუსეთის ხელისუფლებას, ახლა რატომ არ იღებენ ხმას?! იმაზე მეტი ოკუპაცია და მტრობა რა გინდა, როცა მეზობელი სახელმწიფო შენთან შეუთანხმებლად მიდის სასაზღვრო ტერიტორიაზე, რომელიც, ვის უნდა დარჩეს, პოლიტიკურ დონეზე ჯერ გარკვეული არ არის, და ისაკუთრებს შენს სიწმინდეს?!»**

რაც შეეხება საქართველოს, სამწუხაროდ, დღეს ჩვენს ქვეყანას რეგიონში დაკარგული აქვს ავტორიტეტი. ეს განპირობებულია იმით, რომ მოვწყდით ჩვენს ისტორიულ ფესვებს; ის, რაც გვაძლიერებდა და მოტივაციას გვაძლევდა, გვაერთიანებდა და ძნელბედობის ჟამს გამძლეობას გვმატებდა, დავკარგეთ. გამოვეკიდეთ გარედან ნაკარნახევ ფსევდოღირებულებებსა და ფასეულობებს, რომლებმაც ერი შინაგანად გამოფიტა. აი, ეს არის ჩვენი რეალობა და უცხო ძალა ყოველთვის ხვდება ხოლმე შენს მდგომარეობას. საკმარისია, სისუსტე შეგატყონ, მაშინვე ჩნდება პრეტენზიები, მაშინვე ჩნდება საფრთხეები და გამოწვევები, რომელთა მიზეზიც, პირველ რიგში, საკუთარ შეცდომებში უნდა ეძებო...

**— ხელისუფლება მოსახლეობასა და სასულიერო პირებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს. ზალკალიანმა განაცხადა, რომ, სანამ მოლაპარაკებები მიდის, მკვეთრი განცხადებებისგან თავი უნდა შევიკავოთ. როგორ ფიქრობთ, ეს მხოლოდ სისუსტის ნიშანია ხელისუფლების მხრიდან თუ მიზანმიმართულ ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე?**

— ვფიქრობ, ხელისუფლების თავკაცი ვინც არის რეალურად, ის არის გულგრილი ამ საკითხისადმი და ეს ნათლად გამოჩნდა მაშინ, როცა განაცხადეს: არ ვიცოდით, აზერბაიჯანს გზა თუ გაჰყავდაო. წარმოიდგინეთ, მეზობელმა სახელმწიფომ საზღვარი გადმოკვეთა, გზა შემოჰყავს შენს ტერიტორიაზე და საგარეო საქმეთა მინისტრი ამას მაშინ იგებს, როცა ამ თემაზე ჟურნალისტმა შეკითხვა დაუსვა. არ ეთქვა მაინც, — ახლა გავიგეო. თუმცა ეს კიდევ ცალკე საკითხია, მართლა მაშინ გაიგო თუ იცოდნენ და თვალს ხუჭავდნენ... საერთოდ, როცა სათავეში ოლიგარქია, ქვეყანა იმართება არა სახელმწიფოებრივი შეგნებითა და ინტერესებით, არამედ ბიზნესის კანონებით. ასე რომ, ნურავის ექნება თუნდაც იმ მოლაპარაკებებიდან რამე კარგის მოლოდნი. არ იქნებიან ესენი ამ საკითხში პრინციპულები და ვერც იქნებიან, იმიტომ, რომ მათ თავკაცს, სახელმწიფო კი არა, პირველ რიგში საკუთარი ბიზნესი აინტერესებს. აი, ამ ჭუჭრუტანიდან უყურებს და წყვეტს ის ყველაფერს.

**— გამოდის, რომ ეს მოლაპარაკებები მხოლოდ დროის კარგვაა. გამოსავალს ხედავთ?**

— გამოსავალს ვხედავ საზოგადოების გამოღვიძებაში. დღეს ხელისუფლება სარგებლობს იმით, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს ხელი აქვს ყველაფერზე ჩაქნეული. ასე რომ, ეს ინერტულობა მისთვის არის ერთგვარი ფუფუნება, რომელიც აძლევს სრულ თავისუფლებას ყველაფერში. საერთოდ, ვფიქრობ, რომ **ყველა საკითხის, ყველა პრობლემის მოგვარება დღეს უნდა დაიწყოს პოლიტიკური წმენდით. ოღონდ არა მხოლოდ ხელისუფლებას უნდა ჩამოსცილდნენ მავნე ძალები, სრულიად პოლიტიკური სპექტრიდან უნდა განიდევნონ. სხვანაირად ნურავის ექნება მოლოდინი, რომ ხვალ-ზეგ ესენი ჭკუას ისწავლიან და ყველაფერი შეიცვლება. ვერ შეიცვლება! რაც არიან, ის არიან და ასეთად დარჩებიან.** დავითგარეჯის თემაზე მოლაპარაკებებს რაც შეეხება, ვფიქრობ, ეს ყველაფერი ერთადერთ მიზანს — ხალხის დაშოშმინებას ემსახურება. გამოვლენ და იტყვიან: შეხვედრებმა შედეგი გამოიღოო. დაავიწყებენ ხალხს ამ საკითხს და იგივე გაგრძელდება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ჩაკუჩი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განცხადებაში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ყოველივე ზემოთქმულის მიზეზს საზოგადოებაში არსებული მცდარი სტერეოტიპული წარმოდგენები, ტრადიციული კულტურის გარკვეული ძალადობრივი წეს-ჩვეულებები და შეხედულებები წარმოადგენს, რაც დიდწილად თურმე რელიგიური ფაქტორებითაა განპირობებული. რელიგიურ ფაქტორებში, ცხადია, ნაგულისხმევია მართლმადიდებელი ეკლესიის კონკრეტული პოზიცია, რომელიც ამ შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ მამათმავლობა, როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა, ერთგვარ მენტალურ ანომალიად და მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევა.**

# დასავლეთი ქართულ კულტურას ძალადობრივ კულტურად მიიჩნევს

**17 მაისს სამარშოდ და საალლუმოდ აკუნტრუშებულ სოროსის ქათმებს ქართველმა ხალხმა მამათმავლობის ზეიმი პირწმინდად ჩაუფლავა და უცხოეთიდან დაფინანსებულ კოლჰოტიან კაცებს რუსთაველზე კურტუმოების თამაშზე ფიქრიც კი დაავიწყა. ამას კოლექტიური გოგი გვახარიების გლოვა და კრიახ-განგაში უკვე მოჰყვა. მედია თუ სოციალური ქსელები „ლიბერალურმა ელიტამ“ კიჟინით აიკლო და დახმარებისთვის უმალ „ცივილიზებულ მსოფლიოს“ მიმართა: გვიშველეთ, ბნელი „გრუზინები“ დემოკრატიას გვიკლავენო.**

## «საერთაშორისო საზოგადოება» ხელისუფლებას სადამსჯელო მოქმედებებისკენ მოუწოდებს




„დემოკრატიულმა დასავლეთმაც“ თავის შეშფოთება-აღშფოთებითა თუ კრიტიკული შეფასებებით ხელისუფლების თავზე წისქვილის ქვა დაატრიალა. დასკვნა დასკვნაზე გამოცხვა, რომ თურმე „მეოცნებეებს“ დღემდე საკმარისად მკაცრი და ეფექტიანი ზომები არ მიუღიათ ქვეყანაში უმცირესობების უფლებების დასაცავად (რეალურად — სქესობრივი უკუღმართობების პროპაგანდისთვის). აი, რა განცხადება გაავრცელეს 17 მაისს საქართველოში მოქმედმა უცხოეთიდან დაფინანსებულმა „არასამთავრობო ორგანიზაციებმა“, რომლებიც, უკვე წლებია, ევროკავშირის უშუალო წაქეზებით წელზე ფეხს იდგამენ ლგბტ პირებისთვის საკანონმდებლო პრივილეგიების მოსაპოვებლად: „ხელისუფლებას არ გააჩნია სისტემური ხედვა, რომლითაც უზრუნველყოფდა ლგბტქი ადამიანების ინკლუზიას, თანასწორობის დაცვას, ძალადობის პრევენციას, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ამის გათვალისწინებით, მოვუწოდებთ ხელისუფლებას, შეიმუშაოს ერთიანი ხედვა ჰომოფობიის სისტემური პრობლემის გადასაჭრელად, უზრუნველყოს ლგბტქი ადამიანების თანასწორუფლებიანობის დაცვა, მათ მიერ საჯარო სივრცით მშვიდობიანი სარგებლობა, მოახდინოს ძალადობის პრევენცია და სათანადო რეაგირება ჰომო-ტრანსფობიურ დანაშაულებზე...“ (განცხადებას ხელს აწერს 10 „არასამთავრობო ორგანიზაცია“, რომელთაგან ზოგი ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინების დაკანონებასაც დაუფარავად ითხოვს).

თუმცა ეს განცხადება, ალბათ, არაფერია იმ ისტერიკასთან შედარებით, რომელიც მოგვიანებით ატყდა (როცა „ბნელმა გრუზინებმა“ ოჯახის სიწმინდის დღე ღირსეულად ვიზეიმეთ და პატრიარქმა სამებაში წირვა-ლოცვა აღავლინა) — **აღნიშნული ფაქტით უკიდურესად შეძრწუნებულმა მსოფლიო „ლიბერალურმა“ ისტებლიშმენტმა, რომელსაც „ლიბერალური“ მედია საერთაშორისო საზოგადოებად მოიხსენიებს, შეშფოთება გამოთქვა. ოღონდ შეშფოთება არა მხოლოდ იმის გამო, რომ სექსუალურმა უმცირესობებმა დედაქალაქის ცენტრში განავარდება ვერ შეძლეს, არამედ იმის გამო, რომ ხელისუფლება დღემდე ვერ ახერხებს ევროკავშირთან ასოცირებით ნაკისრი რიგი საკანონმდებლო ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას, რაც, უწინარესად, თურმე ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების ეფექტიანად არ თუ ვერ აღსრულებაში მდგომარეობს.** გთავაზობთ ამონარიდებს ამ განცხადებიდან, რომელიც ერთობლივადაა შედგენილი საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი კოორდინატორის, ევროკავშირის, ავსტრიის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ნიდერლანდების, სლოვენიის, შვედეთის, დიდი ბრიტანეთის ელჩების, ამერიკის შეერთებული შტატების მისიის წარმომადგენლისა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მიერ საქართველოში: „ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოვხატავთ მხარდაჭერას და ვუცხადებთ სოლიდარობას საქართველოში არსებულ ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ, ქვიარ და ინტერსექს (ლგბტ+) საზოგადოებას“.

„ლგბტ+ ადამიანები საქართველოში ყოველდღიურად განიცდიან ჩაგვრას, დისკრიმინაციას, ღირსების შემლახავ მოპყრობას, ხდებიან სიტყვიერი და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი. ამით ირღვევა არა მხოლოდ მათი ფუნდამენტური უფლებები, არამედ ხდება საზოგადოებიდან მათი გარიყვა და მოწყვლადობის გაზრდა“.

**იმავე განცხადებაში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ყოველივე ზემოთქმულის მიზეზს საზოგადოებაში არსებული მცდარი სტერეოტიპული წარმოდგენები, ტრადიციული კულტურის გარკვეული ძალადობრივი წეს-ჩვეულებები და შეხედულებები წარმოადგენს, რომლებიც დიდწილად თურმე რელიგიური ფაქტორებითაა განპირობებული. რელიგიურ ფაქტორებში, ცხადია, ნაგულისხმევია მართლმადიდებელი ეკლესიის შეურიგებელი პოზიცია, რაც ამ შემთხვევაში მდგომარეობს იმაში, რომ მამათმავლობა, როგორც ადამიანის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა, ერთგვარ მენტალურ ანომალიად და მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევა.**

რაც შეეხება „რჩევებსა“ და მენტორულ თითის ქნევას, როგორ და რა გზით უნდა ებრძოლოს ხელისუფლება ქვეყანაში არსებულ ამ „ბნელ საბჭოთა მენტალურ გადმონაშთებს“: განცხადებაში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული „ანტიდისკრიმინაციული“ მექანიზმების გამკაცრებასა და „მტკიცე მოქმედებების“ განხორციელებაზე რიგი მიმართულებებით, რათა კანონით გარანტირებული თანასწორობა სექსუალური უმცირესობებისთვის პრაქტიკაშიც სათანადოდ აისახოს. ციტატა განცხადებიდან: **„მოვუწოდებთ საქართველოს ლიდერებს, განახორციელონ მტკიცე ქმედებანი, რათა კანონით გარანტირებული თანასწორობა აისახოს პრაქტიკაში და თითოეულ ადამიანს საქართველოში — მათ შორის ლგბტ+ ადამიანებს — შეეძლოთ საკუთარი უფლებების სრულფასოვნად განხორციელება“.**

იქვე ხაზგასმულია, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა მზადაა, დაეხმაროს ხელისუფლებას ამ პროცესის ეფექტიანად წარმართვაში, რაც, ერთი მხრივ, უფრო აქტიურსა და ქმედით გახდის „დისკრიმინაციასთან“ შეურიგებელ ბრძოლას, ხოლო მეორე მხრივ, აღმოფხვრის საზოგადოებაში არსებულ „მცდარ წარმოდგენებს...“ ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს განცხადება თუ მოწოდება მიმართულია მხოლოდ ფიზიკური ძალადობის, ჩაგვრის წინააღმდეგ და მასში მოყვანილი ფრაზა „მტკიცე ქმედებანი“ არ გულისხმობს მასობრივ სადამსჯელო მოქმედებებს საზოგადოების კონსერვატული ნაწილისადმი, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენს და რომლისთვისაც სოდომიის პროპაგანდა კატეგორიულად მიუღებელია. მაგრამ განცხადებაში წერია, რომ ქვეყანაში, რომელსაც პრეტენზია აქვს დემოკრატიასა და დემოკრატიული პრინციპების ერთგულებაზე, არანაირი თვალსაზრისი — არც მორალური, არც რელიგიური და მენტალური (იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას იზიარებს უმრავლესობა) — არ უნდა იყოს „ადამიანის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამართლება“. ციტატა: **„მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კულტურული, რელიგიური თუ მორალური შეხედულებები — იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას იზიარებს უმრავლესობა — ვერასდროს იქნება ადამიანის უფლებების შელახვის გამართლება. სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მოვუწოდებთ ხელისუფლებას, შეიქმნას ყოვლისმომცველი სტრატეგია, სადაც განსაკუთრებული აქცენტი ტოლერანტობის სწავლებაზე (ე. ი. ტვინის გამორეცხვაზე) გაკეთდება. დაბოლოს, მოვუწოდებთ, უზრუნველყოფილ იქნას ლგბტ+ ადამიანების მიერ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დაუბრკოლებლად გამოყენება“.** რას ნიშნავს ან შეიძლება ნიშნავდეს ეს ყველაფერი? **ევროკავშირი, რომელიც ბოლო პერიოდში უპრეცენდენტოდ აქტიურია და კოლოსალურ თანხებს ხარჯავს მსოფლიოში ჰომოსექსუალიზმის ნორმად წარმოსაჩენად (მაგალითად, გასულ წელს 10 მილიონი ევროს ღირებულების საგრანტო კონკურსი გამოცხადდა), უკვე დაუფარავად გვეუბნება, რომ მნიშვნელობა არ აქვს, ჩვენს ქვეყანაში საზოგადოების უმრავლესობისთვის რა არის მისაღები და რა არა (მთავარია, სექსუალურმა უმცირესობებმა თავისუფლად შეძლონ მარშებისა და პარადების ჩატარება);** საჯაროდ გვეუბნება, რომ თითოეული მოქალაქე, რომელსაც მამათმავლობა, თუნდაც თავისი რელიგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, ადამიანის არა ბუნებრივ, არამედ არანორმალურ მდგომარეობად მიაჩნია, უკვე მოძალადეა და ხელისუფლების მკაცრი სადამსჯელო მოქმედებების ადრესატი უნდა იყოს. მიაქციეთ ყურადღება განცხადებაში ხაზგასმულ ფრაზას — **„მტკიცე ქმედებანი“,** აქ, რა თქმა უნდა, საუბარი არ არის მხოლოდ მოწოდებებსა და დიდაქტიკურ შეგონებებზე „შემწყნარებლობის“ თაობაზე, არამედ საუბარია უმკაცრეს რეპრესიულ პოლიტიკაზე. მარტივად რომ ვთქვათ, ეს პოლიტიკა უნდა გულისხმობდეს სამართლებრივ დევნას (დაპატიმრებასა და პასუხისგებაში მიცემას თითოეული ურჩი „გრუზინისა“), რათა მამათმავლობის მიუღებლობის ნებისმიერი გამოვლინება სასტიკად დაისაჯოს და ამ გზით მოსახლეობაში შიში დაითესოს. სხვათა შორის, იმ დღეს, როცა ზემოაღნიშნულმა საელჩოებმა და დიპლომატიურმა მისიებმა ეს განცხადება გაავრცელეს, საკუთარი პოზიცია არანაკლებ რიხიანად კიდევ ერთმა პირწავარდნილმა „ლიბერალმა“, ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საკითხებში **ფედერიკა მოგერინიმაც** გამოხატა. კერძოდ, ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც მან თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა, დაწერა, რომ ევროკავშირი არ შეწყვეტს ბრძოლას ადამიანის უფლებებისთვის, „სანამ არ იქნება უზრუნველყოფილი ლგბტ პირების თავისუფალი და უსაფრთხო ცხოვრება“ (განცხადების ნახვა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ოფიციალურ ვებგვერდზეა შესაძლებელი). ჩვენმა **„ლიბერალურმა“ მედიამ, როგორც ხდება ხოლმე, ეს განცხადება მიჩქმალა და საზოგადოების ყურადღებას საგულდაგულოდ მოარიდა. ცხადია, იმიტომ, რომ ისედაც მზარდი ანტიდასავლური განწყობების ფონზე მსგავსი რეპრესიული რიტორიკა საზოგადოებაში კიდევ უფრო ზრდის და ამძაფრებს პროტესტს დასავლური ფსევდოდემოკრატიული ფასეულობებისადმი...**

რაც შეეხება შეფასებებს, რომ თურმე ქვეყანაში არსებული „ძალადობრივი კულტურა“ დიდწილად რელიგიური ფაქტორებითაა განპირობებული: ის ფაქტი, რომ თანამედროვე დასავლურ „ნეოლიბერალურ“ სისტემაში ქრისტიანობა და განსაკუთრებით მართლმადიდებლობა მთავარ იდეოლოგიურ დაბრკოლებადაა მიჩნეული, არახალია და ამას ევროპა ჯერ კიდევ წლების წინათ ამბობდა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრ **კარლ ბილდტის** პირით (რომელიც მართლმადიდებლურ ფასეულობებს ისლამურ ფუნდამენტალიზმთან აიგივებდა). თუ მაშინ ამ ყველაფერს, ასე თუ ისე, მაინც ვერბალური ხასიათი ჰქონდა, დღეს უკვე ვხედავთ ღია ულტიმატუმს და დირექტივებს ხელისუფლების მისამართით, რომ მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები და დაინგრეს ყოველგვარი მორალური თუ კულტურული ბარიერი, რომლებიც ხელს უშლის ქვეყანაში გარყვნილების პროპაგანდას. ახლა კონკრეტულად რა ზომებსა და მოქმედებებზე შეიძლება იყოს აქ საუბარი: ბევრისთვის, ალბათ, გასაგებია, რომ იგულისხმება ისეთი სანქციები, რომლებმაც, საზოგადოების მასობრივ ტერორთან ერთად, ეკლესიაც უნდა დაადუმოს და სასულიერო პირები გარკვეულ „ლიბერალურ სტანდარტებში“ მოაქციოს. მაგალითად, **თუ რომელიმე მღვდელი ქადაგებისას გაბედავს და იტყვის, რომ მამათმავლობა ადამიანის სულიერი მანკიერებაა, ეს უნდა შეფასდეს, როგორც საზოგადოებაში შუღლის გაღვივება. ოღონდ უნდა შეფასდეს არა ზედაპირულად, სადღაც ვიწრო „ლიბერალურ“ წრეებში, რაც ისედაც ხდება ხოლმე, როცა, ვთქვათ, რომელიმე „გრუზინული გამოხდომით“ გაცოფებული „ცივილიზებული ლიბერალები“ სოციალურ ქსელში ბოღმისგან დორბლს ანთხევენ, არამედ ოფიციალურ დასკვნებსა და ანგარიშებში, რომლებიც, ბუნებრივია, უშედეგოდ არ ჩაივლის... არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ნებისმიერი სახის** განცხადება თუ მიმართვა მრევლისადმი, გამოვიდნენ და წინ აღუდგნენ გეიაღლუმის მცდელობას ან ჰომოსექსუალთა ქორწინების დაკანონებას, გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ დევნას...

დღეს ევროპა, ფაქტობრივად, ულტიმატუმს უყენებს ხელისუფლებას, რათა მოახდინოს ქრისტიანული სწავლების კრიმინალიზაცია და დაარტყას ერის უმთავრეს სულიერ ბასტიონს — ეკლესიას. ფაქტია ისიც, რომ ყველა ეს მცდელობა და კირკიტი „ლიბერალური“ ელიტის მხრიდან უშედეგო იქნებოდა, რომ არა ხელისუფლების მოღალატეობრივი პოლიტიკა. 30 გრანტზე გაყიდულ სოროსის ემისრებს, როგორც ჩანს, სხვაგვარად არ ძალუძთ: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასე არიან რუხი ოლიგარქის მიერ მომართულნი; და მეორეც — არსებული „ლიბერალური“ დღის წესრიგის იქით გზა არ აქვთ. ისე, ვინ-ვინ და ივანიშვილის პოლიტიკურმა „ბალაგანმა“, რა თქმა უნდა, იცის, რომ ეს გზა მათ უფსკრულისკენ მიაქანებს და ადრე თუ გვიან აუცილებლად გადაჩეხავს პოლიტიკურ მოუსავლეთში...

**ჯაბა ჟვანია**

**მერე რა, რომ მკვლელის გამართლება ან მისი საქციელის ახსნა რაღაც სულელური ვითომ „ქართული მენტალიტეტით“ იგივე მკვლელობაა?! მერე რა, რომ ნებისმიერი ტრაგედიის საიმისოდ გამოყენების მცდელობა, რომ შენი ავადმყოფური „სექსუალური აღზრდის“ აუცილებლობა ამტკიცო და ეს სისულელე არასრულწლოვნებს მოახვიო თავს, დიდი ღორობაა?! მერე რა, რომ ამ იდიოტურ კომენტარებს „ფეისბუქში“ თავისუფლად შეიძლება ეწოდოს მკვლელთა ღაღადი?!**



**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მკვლელთა ღაღადი

**სოციალურმა ქსელმა ყველა ტვინნაღრძობსა და ტუტუცს ხმის ამოღებისა და ავადმყოფური აზრების საზოგადოებაში ფრქვევის საშუალება რომ მისცა, ამაზე მხოლოდ საქართველოში კი არა, სრულიად მსოფლიოში ლაპარაკობენ უკვე. საქართველო კი, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ყველა უარყოფით შემთხვევას ასე მასობრივად მიიჩნევენ „ქართული მენტალიტეტის“ შედეგად. ყველაფერი, რასაც ჩვენს ქვეყანაში ვინმე მანიაკი, ტვინით ავადმყოფი ან, უბრალოდ, კრიმინალი ჩაიდენს, თურმე ქართული მენტალიტეტის ბრალი ყოფილა.**




დაწყებულია პროპაგანდა, რათა ქართველებს თვითშეფასება დაუკნინონ და დააჯერონ, რომ ჩვენნაირი ნაგავი და ცუდი ხალხი მსოფლიოში მეორე არ არის, ამიტომ დასავლეთის ცივილიზებული წრეების დახმარება გვჭირდება და „ქართული მენტალიტეტი“ ძირფესვიანად არის აღმოსაფხვრელი. რაც მთავარია, „დასავლურ ცივილიზებულ წრეებად“ წარმოგვიჩენენ ისეთ ორგანიზაციებსა და იმ მიმართულების არასამთავრობო სექტორს, რომლებიც გაუკუღმართებული მენტალიტეტითა და მახინჯი მსოფლმხედველობით გამოირჩევიან.

მათ უნდათ, დაგვაჯერონ, რომ **„თავისუფალი და შეუზღუდავი სექსუალური ურთიერთობების“ „სექსუალურ უმცირესობათა ნორმად წარმოჩენა“ და სხვა უმსგავსო აზრები არის ულტრათანამედროვეობა, გამოსულობა, წინწასულობა, ხოლო ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანური ცხოვრება — ჩამორჩენილობა, ქაჯობა და გოიმობა.**

ეს ყოველივე, უკვე წლებია, გრძელდება და **ლამის ყოველდღიურად ახალ სიმაღლეებს იპყრობენ „ქართული მენტალიტეტის“ მლანძღველები, მაგრამ ის, რაც გასულ კვირაში საკუთარი თვალით ვიხილე სოციალურ ქსელში, პიკია და ამის „ზევით“ თუ კიდევ რამეა დარჩენილი, არ ვიცი.** საუბარია შვილის მკვლელი დედის საქციელის ახსნის მცდელობაზე „ქართული მენტალიტეტით“! უცებ მართლა გაუჭირდება ნორმალურ ადამიანს იმის გააზრება, როგორ შეიძლება, საზოგადოდ, მკვლელობა, მით უმეტეს, შვილის მკვლელობა ვინმემ „ქართულ მენტალიტეტს“ დააბრალოს.

არადა, ასეთი ზეადამიანური ტვინის პატრონები არც ისე ცოტანი არიან. ზეადამიანური ტვინის დამსახურებაა, აბა, როდესაც 7 თვის ბავშვის მკვლელობის ამბავს ასე და აქედან შემოუვლი: **„ეს საწყალი გოგო 15 წლისა, სავარაუდოდ, ქართველმა მშობლებმა ძალით გაათხოვეს. 16 წლისას უკვე შვილი ჰყავდა. ქართველი ქმარი, რა თქმა უნდა, ცუდად ექცეოდა და სამზარეულოდან ცხვირს არ აყოფინებდა, ამ ყოველივემ საწყალ გოგოს სტრესი დამართა და მძიმე ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოკლა საკუთარი შვილი და გაიქცა საყვარელთან. ამიტომ უნდა აღმოიფხვრას ქართული მენტალიტეტი ბნელ ქართველ მამებში, ხოლო 14 წლის გოგონებს უნდა ჩაუტარდეთ სექსუალური აღზრდის გაკვეთილები. აი, რომ არ ჰქონდა ამ გოგონას სექსუალური განათლება და მისი მშობლებიც რომ ბნელები იყვნენ, იმიტომ მოკლა მან შვილი!“** — ეს არის ძირითადი აზრი იმ კომენტარებიდან, რომლებსაც წერენ საქართველოში ასე მომრავლებული ფემინისტ-ლგბტ-არასამთავრობოების წარმომადგენლები სოციალურ ქსელში და, სამწუხაროდ, საზოგადოების გარკვეულ, არც ისე ცოტა ნაწილსაც იყოლიებენ. პარადოქსია — ნაცვალად იმისა, რომ ნორმალურმა საზოგადოებამ იქით დავდოთ ბრალი ამ ავადმყოფებს, რომლებმაც, ბოლო წლებია, ტელევიზიით, ინტერნეტით, სხვა მედიასაშუალებით თუ პირდაპირი კონტაქტით სკოლებში, ბანაკებში და ა.შ. უკვე ყურები გამოუჭედეს არასრულწლოვან გოგო-ბიჭებს 24-საათიანი „სექსი-სექსი-სექსი-სექსის“ ძახილით, აქეთ გვაბრალებენ, რომ თურმე, რადგან ვცდილობთ, ეს ავადმყოფები არ მივაკაროთ ჩვენს შვილებს, ამიტომ ხდებიან ისინი მკვლელები.

არადა, ელემენტარულია, **ძალიან მარტივია სტატისტიკის შედარება — როდის უფრო ხშირად ხდებოდა ასეთი შემზარავი დანაშაულები — მაშინ, როდესაც ბავშვებს ბავშვობა შერგებული ჰქონდათ და მათ სექსზე ზედმეტი საუბრით ყურებს არავინ უჭედავდა; თუ ახლა, როდესაც ლამისაა, უთოდანაც კი ბავშვებს „სექსი-სექსი-სექსი-სექსი“ ესმით?**

**ძალიან მარტივია სტატისტიკის შედარება — ასეთი შემზარავი დანაშაულები მაშინ უფრო ხშირად ხდებოდა, როდესაც ბავშვებს ბავშვობა შერგებული ჰქონდათ და მათ სექსზე ზედმეტი საუბრით ყურებს არავინ უჭედავდა; თუ ახლა, როდესაც, ლამისაა, უთოდანაც კი ბავშვებს «სექსი-სექსი-სექსი-სექსი» ესმით?**

მთავარი კი მაინც ის არის, რომ ეს მართლა ტვინით ავადმყოფები და სულით მახინჯები რატომღაც უცებ გადაწყვეტენ, რომ 15 წლის გოგო **„ბნელმა ქართველმა მშობლებმა ძალით გაათხოვეს“.** არც იმას ფიქრობენ, რომ ვინმეს ჰკითხონ, ეს მართლა ასე იყო თუ არა. ან მეზობელს დაელაპარაკონ, ან ნათესავს, ან მეგობრებს... არა! რა საჭიროა? მოხდა ტრაგედია? ჰოდა, ფაქტია — ქართველმა ბნელმა მშობლებმა ძალით გაათხოვეს ბავშვი, მერე ამ გოგოს ველური ქართველი ქმარი ცემდა, აწამებდა და „კუხნის“ იქით არ უშვებდა — ეს არის ძირითადი ფაბულა და ამაზე უკვე, რასაც გინდა, იმას მიაბამ — გინდა ოჯახური კონფლიქტის ისტორიას, გინდა მეზობლური დავის ფაქტს, გინდა თვითმკვლელობის შემთხვევას და გინდა აგერ, დედის მიერ შვილის მოკვლის საზარელ ამბავს.

არადა, ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც გაირკვა, რომ ეს გოგო ორჯერ თუ სამჯერ გაქცეულა სახლიდან და მშობლები მკაცრად უკრძალავდნენ გათხოვებას. თუმცა მან, თავის მოკვლის მუქარით, მაინც თავისი გაიტანა და წყალტუბოდან სოფელ აღაიანში გათხოვდა.

და საერთოდ, რომელი უფრო მეტი შემთხვევა იცით — არასრულწლოვანი შვილის გათხოვების გამო ინფარქტმიღებული მამა თუ ისეთი მამა, რომელიც 15 წლის შვილს გათხოვებას აიძულებს ან უბიძგებს ამისკენ? მე ისეთი შემთხვევები გაცილებით მეტი გამიგია და მინახავს, როდესაც შვილის ადრეული გათხოვების გამო მამა საავადმყოფოში მოხვედრილა.

მიუხედავად ამისა, ჩვენი „ლიბერასტებისთვის“, რაღა თქმა უნდა, მაინც „ბნელი ქართველი მშობლების ჩამორჩენილი ქართული მენტალიტიტეტითა და ველური ქართველი ქმრით“ იხსნება ყველაფერი მარტივად და სასურველად!

სხვა რა გზა გვაქვს?! უნდა დავეთანხმოთ ჩვენს ბრძენ ფემინისტებს, ლგბტ-ებსა და არასამთავრობოებს. მეტიც, ჩვენ იმასაც კი ვამტკიცებთ, რომ ეს საზიზღარი „ქართული მენტალიტეტი“ უკვე მსოფლიოში იკიდებს ფეხს და, სანამ დროა, ვინმემ უნდა შეაჩეროს მისი გავრცელება! აბა, უყურეთ:

* „2018 წლის 4 ივლისს აშშ-ში დედამ შვილი თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით მოკლა“;
* „2018 წლის 22 ოქტომბერს ბელგიაში სამი შვილის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დედა დაკავეს“;
* „2017 წელს არიზონას ბავშვთა საავადმყოფოში შვილის მოვლით გაბეზრებულმა დედამ ის პალატაშივე, საკუთარ საწოლში გაგუდა“;
* „2016 წლის 26 დეკემბერს აშშ-ში დედამ, ამბერ პასტორმა, მოკლა ორი მცირეწლოვანი შვილი, და-ძმა და მეზობლებს ეუბნებოდა, რომ ბავშვებს სძინავთ“;
* „2019 წლის 26 თებერვალს, მიჩიგანში, 28 წლის დედამ, აბრიან მურმა, მოკლა სამი მცირეწლოვანი შვილი და პლიაჟზე საბანაოდ გაეშურა“.

საზოგადოდ, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში (და არა ჩამორჩენილ აზია-აფრიკაში) ბოლო 15 წლის განმავლობაში, არასრული სტატისტიკით, დედების მიერ საკუთარი შვილების მკვლელობის სამი ათასზე მეტი ფაქტია აღრიცხული...

როგორც ხედავთ, **ეს „ქართული მენტალიტეტი“ უკვე მეტასტაზებივით მოედო მსოფლიოს და სასწრაფოდ რამე უნდა მოხერხდეს მის წინააღმდეგ.** ფაქტობრივად, დავღუპეთ მსოფლიო ქართველებმა. ეგ კი არა, თურმე „ბნელი ქართველი მამები“ ამერიკის კონტინენტზეც კი ჩადიან და იქ იძულებით ათხოვებენ იქაურ პატარა გოგონებს. აი, ნახეთ:

* „2000-დან 2015 წლის ჩათვლით ამერიკის შეერთებულ შტატებში ადრეული ქორწინების 207 468 (ორას შვიდი ათას ოთხას სამოცდა რვა) შემთხვევა აღირიცხა. მიზეზის მიუხედავად, ამ ქორწინებების დიდი პროცენტი მოზარდ გოგონებზე მოდის“ (ჟურნალ Pediatrics-ის კვლევა) — როგორ ფიქრობთ, არ არის დრო, აღმოიფხვრას ქართველი მამრების ასეთი დაუნდობელი ბოგინი ამერიკასა და მსოფლიოში?

მოდით, ბარემ ისეც ვნახოთ, რას უშვრებიან „გრუზინი მამები“ და საქართველოდან ჩასული მოძალადე კრიმინალი ქმრები ამერიკელ გოგონებს. ესეც იმავე ჟურნალი „პედიატრიკსის“ კვლევის შედეგებია:

* „ტრევისია უილიამსი ამბობს, რომ 14 წლისას 26 წლის მამაკაცზე გათხოვება აიძულეს. სკოლაში ჩინებული აკადემიური მოსწრების მქონე ტრევისია სკოლიდან გამოიყვანეს და იმის ნაცვლად, რომ შინ წაეყვანათ, საკუთარ ჯვრისწერაზე ამოაყოფინეს თავი. ტრევისია ამბობს: მახსოვს, როგორ გამოვედი სკოლის შენობიდან, ხელში სახელმძღვანელოები მეჭირა. იმის ნაცვლად, რომ სკოლის ავტობუსით შინ წავსულიყავი, დედამ ეკლესიაში მიმიყვანა, სადაც ეკლესიის წინამძღვარი გველოდა. ასე დამაქორწინეს.

დღეს ადრეული ქორწინება ამერიკის ყველა შტატში ფორმდება მშობლების თანხმობით. ადრეული ქორწინება შეიძლება ძალდატანებითაც კი გაფორმდეს ოფიციალურად, თუკი მშობლები რელიგიურები არიან და ქორწინებას მორალურ ვალდებულებად მიიჩნევენ. ზოგიერთი მშობელი გოგონას არასასურველი ორსულობისას ქორწინებას გამოსავლად აღიქვამს. არის შემთხვევები, როდესაც ქორწინება გაუპატიურების შესანიღბავად ფორმდება. ტრევისია იხსენებს, რომ ოფიციალური ქორწინების პირველსავე თვეს ქმარი მასზე ძალადობდა. მან დედას დაურეკა და ჰკითხა, შეეძლო თუ არა შინ დაბრუნება. რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. ტრევისია ამბობს: ქმრისგან გაქცევა ვერ გავბედე და იძულებული გავხდი, გაყრის კანონიერ გზას დავლოდებოდი. ამას კი სამი წელი დასჭირდა. ტრევისიას მსგავსად, ახალგაზრდა ამერიკელი გოგონები ქმრების მხრიდან ძალადობის მსხვერპლნი ხშირად ხდებიან. 19 წლამდე გოგონების 50 პროცენტი კი, გათხოვების გამო, სკოლაში სიარულზეც უარს ამბობს“.

აბა, დააკვირდით ფრაზებს: **„რელიგიური მოსაზრებებით ქორწინების მორალური ვალდებულება“, „არასასურველი ორსულობის ქორწინებით გადაფარვა“, „გაუპატიურების ფაქტის ქორწინებით შენიღბვა“, „ჩემმა ოჯახმა უკან მიბრუნებაზე უარი მითხრა და იძულებული გავხდი, მოძალადე ქმართან დავრჩენილიყავი“** — განა ეს ყველაფერი „ღრუზინული“ გამოვლენები და „ქართული მენტალიტეტი“ არ არის?

ამას ვინმე იზამდა და იტყოდა, „ბნელი ქართველი მამებისა“ და „ველური ქართველი ქმრების“ გარდა? აშკარაა, რომ „ღრუზინი“ მამრები ბლომად არიან შესეული ამერიკას და მთლიანად მსოფლიოს!

მერე რა, რომ მკვლელის გამართლება ან მისი საქციელის ახსნა რაღაც სულელური ვითომ „ქართული მენტალიტეტით“ იგივე მკვლელობაა?! მერე რა, რომ ნებისმიერი ტრაგედიის საიმისოდ გამოყენების მცდელობა, რომ შენი ავადმყოფური „სექსუალური აღზრდის“ აუცილებლობა ამტკიცო და ეს სისულელე არასრულწლოვნებს მოახვიო თავს, დიდი ღორობაა?! მერე რა, რომ ამ იდიოტურ კომენტარებს „ფეისბუქში“ თავისუფლად შეიძლება ეწოდოს მკვლელთა ღაღადი?!

მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენ აღმოვაჩინეთ, როგორ სწრაფად ვრცელდება თურმე „ქართული მენტალიტეტი“ მსოფლიოს მასშტაბით, როგორ დამღუპველად მოქმედებს ის ამერიკელ და ევროპელ გოგონებზე და კიდევ ერთხელ დავანახვეთ ჩვენს მკითხველსაც და მსოფლიოსაც, რომ „ქართული მენტალიტეტის“ მომწამვლელი ზემოქმედება სასწრაფოდ არის აღმოსაფხვრელი ჩვენს პლანეტაზე.

**«თავისუფალი და შეუზღუდავი სექსუალური ურთიერთობების» «სექსუალურ უმცირესობათა ნორმად წარმოჩენა» და სხვა უმსგავსო აზრები არის ულტრათანამედროვეობა, გამოსულობა, წინწასულობა, ხოლო ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანური ცხოვრება — ჩამორჩენილობა, ქაჯობა და გოიმობა**

«დამოუკიდებლობის» დღე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრამპმა ძალიან მარტივად მიგვანიშნა, — არ მაინტერესებს არც თქვენი დამოუკიდებლობის დღე და არც ის, როდის მოგილოცავთო. ისიც ნუ გაგიკვირდებათ, ახალი წელი რომ ახლა მოგვილოცოს, მერე რა? ვინ გაუბედავს შეკამათებას, ვინ ეტყვის, ახალ წლამდე შორიაო? იმის შიში უფრო გვაქვს, ტრამპმა 23-ში მოგვილოცაო და დამოუკიდებლობის თარიღი შეცვალონ და 23-ში გადმოიტანონ, ან, საერთოდ, მოძრავ დღესასწაულად აქციონ და იმის მიხედვით გვაზეიმონ, როცა ამერიკის პრეზიდენტი გადაწყვეტს მოლოცვას.**

**საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისს აღინიშნება. ასეა კონსტიტუციით, კალენდრით, კანონით... ჰოდა, ამერიკის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საქართველოს პრემიერს დამოუკიდებლობის დღე 23 მაისს მიულოცა. ერთი შეხედვით, ვითომ არაფერი, სამი დღე იქეთ, სამი აქეთ, რა პრობლემაა. სავარაუდოდ, ტრამპს უთხრეს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მოდისო და მანაც კალენდარს გახედა, მიხვდა, კვირას არ მეცლება, დასვენების დღეაო და მოვალეობა მოიხადა.**

# ამერიკის ლიდერს საქართველოს დამოუკიდებლობა სულ «ტრამპზე» ჰკიდია

## გახშირდა უპასუხისმგებლო განცხადებები რუსეთის მიმართ და არ ფიქრობენ, ადრე თუ გვიან, პასუხს რომ მოგვთხოვენ



ამერიკელთა მოლოცვას საქართველოს მთავრობა ტაშით შეხვდა, მაგრამ ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, პრემიერმა ბახტაძემ ტრამპს დამოუკიდებლობის დღე 4 ივლისის ნაცვლად 1 ივლისს რომ მიულოცოს? ჯერ ოპოზიცია ატეხს ერთ ამბავს,— ხელისუფლებამ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორისა და მთავარი მოკავშირის დამოუკიდებლობის დღე არ იცის (ამერიკის ისტორიის ცოდნა სავალდებულოც არის პოლიტიკოსებისთვის, ალბათ) და მერე ამერიკის საელჩო გამოგზავნიდა საპროტესტო ნოტას, ეს როგორ აკადრეთ ჩვენს დიად სახელმწიფოსო. შესაძლოა ამის გამო ბახტაძე მოეხსნათ კიდეც, მაგრამ არა, ბატონ მამუკას არ შეეშლება, მთავარია, 4 ივლისის დილას ისეთ დროს მიულოცოს ტრამპს, რომ მიმლოცველთა შორის მოწინავე ხუთეულში თუ არა, ათეულში მაინც იყოს.

რეალურად კი, მისტერ ტრამპმა ძალიან მარტივად მიგვანიშნა, არ მაინტერესებს არც თქვენი დამოუკიდებლობის დღე და არც ის, როდის მოგილოცავთო. ისიც ნუ გაგიკვირდებათ, ახალი წელი რომ ახლა მოგვილოცოს, მერე რა? ვინ გაუბედავს შეკამათებას, ვინ ეტყვის, ახალ წლამდე შორიაო? იმის შიში უფრო გვაქვს, ტრამპმა 23-ში მოგვილოცაო და დამოუკიდებლობის თარიღი შეცვალონ და 23-ში გადმოიტანონ, ან, საერთოდ, მოძრავ დღესასწაულად აქციონ და იმის მიხედვით გვაზეიმონ, როცა ამერიკის პრეზიდენტი გადაწყვეტს მოლოცვას.

პარალელურად, საინტერესო განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა.

„რას მეტყოდა მე ბატონი პუტინი, ეს არის საინტერესო. მან უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი. დღეს ყველა ევროპელი პარტნიორის პრობლემა რუსეთთან ურთიერთობაში არის ის, რომ რუსეთი არასწორად იქცევა საერთაშორისო საზოგადოების წევრებთან, პატივს არ სცემს არაფერს. ეს ეხება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ის ზოგადად ასე იქცევა. ასე რომ, რა ტიპის დიალოგი უნდა იყოს ასეთ პირობებში? მე არ მექნება დიალოგი პუტინთან, მე მხოლოდ შევახსენებ მას, რომ მან დაარღვია ყველა ვალდებულება“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ამ განცხადებაში რამდენიმე ფრაზაა საინტერესო. განსაკუთრებით ის, რომ თურმე **„დღეს ყველა ევროპელი პარტნიორის პრობლემა რუსეთთან ურთიერთობაში არის ის, რომ რუსეთი არასწორად იქცევა საერთაშორისო საზოგადოების წევრებთან, პატივს არ სცემს არაფერს...“** ქალბატონო სალომე, ზოგადად იმის თქმას, რომ „ყველა ევროპელი პარტნიორი“ თურმე ამ დღეშია, იქნებ დაასახელოთ ერთი ევროპელი ლიდერი მაინც, რომელიც ან რუსეთში არ ჩადის მოლაპარაკებებზე, ან საერთაშორისო შეხვედრებზე არ ხვდება პუტინს, ან ხელს არ ართმევს, ან სახელმწიფოებს სავაჭრო დონეზე თანამშრომლობა არ აქვთ, ან საზღვარი აქვთ ჩაკეტილი... ვერ დაასახელებთ და იცით, რატომ? იმიტომ, რომ არ არსებობს ასეთი ლიდერი. **ვერც ისეთ ლიდერს დამისახელებთ, რომელიც ასე კატეგორიული იქნება რუსეთის პირველი პირის მიმართ, რადგან ყველამ იცის ზომა და წონა და ისიც ყველამ იცის, რომ ამერიკისგან წაქეზებული რუსეთს ბრმად არ უნდა დაეჯახოს და არ უნდა შეასკდეს. მაგრამ ჩვენ არა, ჩვენ ხომ პირველები უნდა ვიყოთ რუსეთის ლანძღვა-გინებაში და პირველები იმიტომ, რომ ამერიკას, რომლის ლიდერსაც ჩვენი დამოუკიდებლობა სულ „ტრამპზე“ ჰკიდია, ვასიამოვნოთ და თავი მოვუქონოთ.**

ქალბატონო სალომე, თქვენ არ იყავით, აზერბაიჯანთან საზღვრის დემარკაციის თაობაზე ხმამაღალი განცხადება რომ გააკეთეთ, კომისიაც რომ შექმენით და აზერბაიჯანში მოლაპარაკებაზეც ჩავიდა ეს კომისია? და რა მოხდა შემდეგ? მაშინ, როცა მოლაპარაკებების მაგიდას უსხდნენ ჩვენები, თქვენივე ფრთიანი ფრაზით თუ ვიტყვით, აზერბაიჯანმა გადაწყვიტა, „სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან შეგიძლია გათხარო“ და გათხარა კიდეც. **რაღაც არ მოგვისმენია, ისეთივე მკაცრი ყოფილიყავით ილჰამ ალიევის მიმართ, როგორც რუსეთის პრეზიდენტის მიმართ ხართ. რატომ? სტრატეგიული პარტნიორია? და რაში გამოიხატება ეს პარტნიორობა? შეგახსენებთ, რომ საქართველოში წარმოებული, მაგალითად, ღვინის (და ბევრი სხვა პროდუქტის) ნახევარზე მეტი რუსეთის ბაზარზე გადის, აზერბაიჯანს კიდევ საქართველოს გაზისა და ნავთობის ბაზარი აქვს მონოპოლიზებული და მილიარდებს აკეთებს აქ. ვინ არის სტრატეგიული პარტნიორი — ვინც თავის ბაზარს გიხსნის თუ ვინც შენი ბაზრის მონოპოლიზაციას ახდენს და თან ეროვნულ სულიერ სიწმინდეს გეცილება?** მეტი რაღა უნდა ექნათ, მოლაპარაკების პირველივე დღეს არც შედეგს დაელოდნენ, არც შეთანხმებას, ისე დაიწყეს გზის გაყვანა და დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ მოლაპარაკებების შედეგი უკვე იციან. იმიტომ ლობავენ და გაჰყავთ გზა, რომ ზუსტად იციან, რა მოხდება, რაზე დაგითანხმებენ და რაზე მოგაწერინებენ ხელს. თქვენ თუ სხვა შთაბეჭდილება დაგრჩათ, არ დაგვიმალოთ, მაგრამ ესაა მწარე სიმართლე. **უფრო საინტერესო რამ თქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელმაც ჯერ ჟურნალისტებისგან შეიტყო, რომ საზღვარზე რაღაც ხდებოდა, მერე სიტუაციაში „გაერკვა“ და აღნიშნა, რომ თურმე აზერბაიჯანელები საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედებენ და მათ ამის სრული უფლება აქვთ. არადა, სამუშაოები სწორედ იმ სადავო ტერიტორიაზე მიმდინარეობს, რომელსაც ბაქოში ორმხრივ შეხვედრაზე განიხილავენ და გამოდის, რომ ან პოზიციები დავთმეთ და არ ვიცით, ან საგარეო საქმეთა მინისტრმა არ იცის, რა ხდება საერთოდ ჩვენს თავს და რაზე იმართება მოლაპარაკებები.**

ისევ რუსეთს დავუბრუნდეთ. იმის მიუხედავად, რომ ჩრდილოელი მეზობელი უმაღლეს დონეზე არაერთხელ გავაკრიტიკეთ, სანაცვლოდ მივიღეთ მხოლოდ ის, რომ რუსული მხარე მზადყოფნას გამოთქვამს დიალოგზე. ეს იმ პირობებში, როცა ჩვენ საუბარს გავურბივართ, ამის სურვილი არ გვაქვს. სხვათა შორის, **სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტად არჩევის პირველივე დღეს განაცხადა, რომ რუსეთთან საუბარს არ აპირებს (განსხვავებით წინასაარჩევნო დაპირებებისა) და საერთაშორისო დონეზეც კი ითქვა, რომ ასეთი მიდგომა შეცდომაა, რადგან საუბარი აუცილებელია. მაგრამ ჩვენ ხომ შეცდომებს არ ვაღიარებთ?! თანაც რუსეთთან დაშვებული შეცდომების გამოსწორება ყოველთვის მარტივია** — საერთაშორისო დონეზე ხელს სწორედ რუსეთისკენ გავიშვერთ, იქ რამდენიმე ევროპარლამენტარი თავის კანტურით დაგვეთანხმება და მორჩა, შეცდომა აღარ არის. მერე რა, რომ ეს ჩვენს ყველაზე დიდ მეზობელთან ურთიერთობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. ხელისუფლებაში თვლიან, რომ რუსეთი გვაპატიებს, დაგვინდობს, ჩვენთვის არ სცალია, პასუხს არ მოგვთხოვს. ჰოდა, გახშირდა უპასუხისმგებლო განცხადებები რუსეთის მიმართ **და არ ფიქრობენ, რომ, ადრე თუ გვიან, როცა ერთ მაგიდასთან დასხდომა მოგვიწევს (და აუცილებლად მოგვიწევს), ამ განცხადებებზე (ყველაზე თუ არა, ნაწილზე მაინც) პასუხს მოგვთხოვენ. მერე ხელის გასაშვერი აღარავინ იქნება და თავის მართლებაც არ გამოვა.**

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, არც საქართველო და არც ამერიკა მზად არ არიან, ჩვენს ქვეყანაში სამხედრო ბაზები განალაგონო, ამერიკულმა მხარემ თავის კანტურით დაგვიმოწმა და გაგვიხარდა, თუმცა შემდეგ განმარტეს, ჯერ არ გვჭირდებაო. ანუ, ჩვენს მზადყოფნაზე კი არ გააკეთეს აქცენტი, არამედ იმაზე, რომ თურმე ამერიკას ეს ყველაფერი, უბრალოდ, ჯერ არ სჭირდება, თორემ რომ სჭირდებოდეს, ვინ ან რა დაუშლიდათ, განათავსებდნენ. **ეს არის მწარე რეალობა იმისა, რომ არათუ ჩვენი თავი, ჩვენი ქვეყანაც არ გვეკუთვნის და მაშინვე დავუთმობთ გასაკარგავად ამერიკას ტერიტორიებს, როცა ამას ის ჩათვლის საჭიროდ.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდემდე ვიქნებით ასე, მაგრამ რაღაც სასწრაფოდ რომ არის შესაცვლელი, ფაქტია. როცა ხელისუფლება და ოპოზიცია ერთ ხმაში გვიკიჟინებს იმას, რაც რეალობასთან აცდენილია, ნიჰილიზმი გიპყრობს. **როცა თვითონ ხვდები, რომ ყველაზე „ახლო მეგობარსა“ და ყველაზე „სტრატეგიულ პარტნიორს“, რბილად რომ ვთქვათ, ფეხებზე ჰკიდია შენი მდგომარეობაც, სტატუსიც, დამოუკიდებლობის დღეც და საზოგადოდ, ნებისმიერი დღე, შენ კი მაინც ეტიენები, საქმე სავალალოდაა.** იმას არ ვამტკიცებთ, რომ აუცილებლად ვინმეს მხარეს დავდგეთ, მაგრამ საკუთარი ქვეყნისა და თავმოყვარეობის მხარეს რომ ვიდგეთ, აუცილებელია! სხვაგვარად ვიქნებით მუდმივად ისეთ რეჟიმში, როცა საგარეო საქმეთა მინისტრს არ ეცოდინება, რა ხდება საზღვარზე, ხელისუფლებას არ ეცოდინება, როდის დააპირებს სტრატეგიული პარტნიორი სამხედრო ბაზის გახსნას, პრეზიდენტი ჯიუტად იტყვის, რომ არ შეხვდება რომელიმე ქვეყნის ლიდერს მაშინ, როცა ეს ყველაზე ძალიან გვჭირდება და ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანა აღარ გვექნება. მერე მართლა სულერთი იქნება, როდის მოგვილოცავს ისედაც აღარარსებულ დამოუკიდებლობას ამერიკის პრეზიდენტი... თუმცა, მისთვის ახლაც სულ ერთია...

**ბესო ბარბაქაძე**

**რედაქციისგან: ქალბატონი ზურაბიშვილი საგარეო საქმეთა მინისტრობისას რუსეთშიც ჩავიდა, ლავროვსაც მშვენივრად დაუჯდა სალაპარაკოდ და მერე დიდხანს ტრაბახობდა იმით, რომ პრინციპული არგუმენტებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია შეაცვლევინა და საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანაზეც დაითანხმა. ფაქტობრივად, აიძულა, ასეთი იყო მისი განცხადებების სულისკვეთება. ეხლა რა გიშლით ხელს იმავეს გამეორებაში? თუ ქვეყნის ინტერესებს არ სჭირდება ეს? აგერ, ყველაზე დიდი რუსოფობები რომ იყვნენ, ისინიც კი გონს მოეგნენ და ჯერ ესტონეთის პრეზიდენტი ბრძანდებოდა მოსკოვში პუტინთან მოლაპარაკებებზე, ახლა კი ლიტვის ახალარჩეული პრეზიდენტიც იმავეს აპირებს. რაშია საქმე? იქნებ თქვენს „მაგარ დიპლომატობაზე“ საქმე უფრო იმაშია, რომ რუსეთმა მაშინ კეთილი ნება გამოიჩინა და საქართველოს მოთხოვნას ანგარიში გაუწია თქვენი და სააკაშვილის იმ დაპირების გათვალისწინებით, რომ საქართველოში არ განლაგდებოდა უცხო ქვეყნის სამხედრო ძალები? იმიტომ ხომ არ უარობთ ასე გაწიწმატებული რუსეთთან დიალოგს, რომ გეშინიათ, მაშინდელ შეუსრულებელ დაპირებებს, ე.ი. ტყუილებს წინ დაგიდებენ?**

**P.S. ქალბატონ პრეზიდენტს საქმის კეთებას ბრტყელ-ბრტყელი ფრაზების სროლა და უსაგნო დემაგოგია რომ ურჩევნია, თანაც კომფორტით ცხოვრება ქვეყნის ხარჯზე, ეს მაშინ გამოჩნდა, როცა თავის დროზე ცივად იუარა თბილისის მერად კენჭისყრის შეთავაზება. თბილისის მერმა ყოველდღიურად საჭირო საქმე უნდა აკეთოს, პრეზიდენტმა კი ბიუჯეტის ფულით უსაგნოდ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში) უნდა იაროს აღმა-დაღმა და რუსეთი ლანძღოს საერთაშორისო ტრიბუნებიდან. ამაზე ადვილი რა არის?!**

უკრაინის პრეზიდენტი: „მე ვემხრობი ევროპას და ევროკავშირს, მაგრამ ვარ ქვეყნის ერთ-ერთი მოქალაქე და მაინტერესებს უმრავლესობის აზრი. თუ უმრავლესობა გადაწყვეტს, რომ ჩვენ უნდა დავიწყოთ დიალოგი რუსეთთან, უნდა გვქონდეს კარგი ურთიერთობა, უნდა შევქმნათ მათთან ერთად ახალი კავშირი, ვიმსჯელოთ ტერიტორიების მშვიდობიან დაბრუნებაზე, მე ამას გავაკეთებ. თუ ქვეყანა გადაწყვეტს, რომ ურყევად უნდა ვიაროთ ევროპისკენ, ამასაც ვიზამ. მოკლედ, მე ხალხის აზრი მაინტერესებს. მართალია, ჩემი მრჩევლები მეუბნებიან, რომ მოსახლეობის უმრავლესობა სწორედ ჩემსავით ფიქრობს, მაგრამ მსურს, ეს ვნახო და გადაწყვეტილების მიღების უფლება ხალხს მივცე“.

პოზიცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მივბაძოთ უკრაინას, რეფერენდუმი საქართველოშიც ჩატარდეს და გავარკვიოთ, რა სურს ერს რეალურად

**უკრაინის ახალარჩეულ პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის უკრაინაში თუ მის ფარგლებს გარეთ არაერთი კრიტიკოსი ჰყავს. პროფესიით კომიკოსს ბევრი ირონიით უყურებს და ფიქრობს, რომ ის სახელმწიფოს მართვას ვერ შეძლებს. ზელენსკის პროფესია ადამიანთა გაღიმება იყო და ისე ჩანს, კრიტიკოსებს ჯერჯერობით გვარიანად გაღიმებულებს ტოვებს. მხოლოდ ის რად ღირს, რომ, წესითა და კანონით, უკრაინაში 27 ოქტომბერს გასამართი საპარლამენტო არჩევნები გააუქმა, რიგგარეშე დანიშნა და 14 ივლისს ატარებს. ახალარჩეულმა ლიდერმა თქვა: დრო არ ითმენს და ამიტომ ყველაფერი უნდა მოვასწროთო. გულზე ხელი დაიდეთ და აღიარეთ, რომ საქართველოში რამდენიმე თვით არჩევნებს არავინ არ გადაწევდა და მარტივად მიაგორებდნენ სასურველ ვადამდე.**




არჩევნების პარალელურად ზელენსკიმ რეფერენდუმის ჩატარებაც ბრძანა. ეს ყველაზე საინტერესო რამ არის და ძალიან გვინდა, რომ აღნიშნული რამ საქართველოშიც მოხდეს.

**„მე ვემხრობი ევროპას და ევროკავშირს, მაგრამ ვარ ქვეყნის ერთ-ერთი მოქალაქე და მაინტერესებს უმრავლესობის აზრი. თუ უმრავლესობა გადაწყვეტს, რომ ჩვენ უნდა დავიწყოთ დიალოგი რუსეთთან, უნდა გვქონდეს კარგი ურთიერთობა, უნდა შევქმნათ მათთან ერთად ახალი კავშირი, ვიმსჯელოთ ტერიტორიების მშვიდობიან დაბრუნებაზე, მე ამას გავაკეთებ. თუ ქვეყანა გადაწყვეტს, რომ ურყევად უნდა ვიაროთ ევროპისკენ, ამასაც ვიზამ. მოკლედ, მე ხალხის აზრი მაინტერესებს. მართალია, ჩემი მრჩევლები მეუბნებიან, რომ მოსახლეობის უმრავლესობა სწორედ ჩემსავით ფიქრობს, მაგრამ მსურს, ეს ვნახო და გადაწყვეტილების მიღების უფლება ხალხს მივცე“,**— განაცხადა ზელენსკიმ.

რა გამოდის? — **პეტრო პოროშენკო** ამ ხნის განმავლობაში რომ ამტკიცებდა, უკრაინელი ხალხის მოთხოვნას ვასრულებო, იმავე უკრაინელმა ხალხმა უარი უთხრა და სახლში გაუშვა. ახალარჩეულმა კი გამოაცხადა: თქვენი ნება ჩემთვის კანონია და შეგეკითხებით, რეალურად რა გვინდა, მრჩევლების რჩევას ბოლომდე არ ვენდობიო.

როგორ ფიქრობთ, **ანალოგიური გამოკითხვა რომ ჩატარდეს საქართველოში და გავარკვიოთ, რა სურს ერს რეალურად, რა შედეგს მივიღებთ? რა თქმა უნდა, ხელისუფლება და ოპოზიცია იტყვიან, რომ ქართველი ხალხის პრიორიტეტებს საერთაშორისო ორგანიზაციები იკვლევენ და რეფერენდუმი საჭირო არ არისო.** რომელი ორგანიზაციების, ბატონებო, რომლებისაც არ გჯერათ, როცა პოლიტიკურ პროგნოზებს აკეთებენ და ათეული პროცენტებით ცდებიან?! **იმ ორგანიზაციების, რომლებიც გამოკითხვიდან გამოკითხვამდე იძულებულნი არიან, ევროატლანტიკური კურსის მომხრეების რაოდენობა შეამცირონ? რატომ ხართ დარწმუნებული, რომ ამ მიმართულებით მათი გამოკითხვა სწორი და უშეცდომოა, ხოლო როცა საქმე პარტიების რეიტინგებსა და წინასაარჩევნო შედეგებს ეხება, ისინი აუცილებლად ცდებიან?!** შემთხვევით ორმაგ სტანდარტთან ხომ არ გვაქვს საქმე და ფრთიან ფრაზას თუ ვიხმართ, ხომ არ „ვირეშმაკობთ“?!

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ერთ ან მეორე მხარეს დადგება. ჩვენ, ისევე როგორც ყველა, მხოლოდ ვამბობთ, რომ **ჩავატაროთ გამოკითხვა, გამოვკითხოთ ერი და ბერი და შემდეგ ისე იმოქმედოს სახელმწიფომ, როგორც ჩვენ, ამ ქვეყნის შვილები, გადავწყვეტთ. ხომ გაიძახით ტელეკამერების წინ: თქვენი დაქირავებული ვართ, თქვენ უნდა გემსახუროთ და თქვენი სურვილები შევასრულოთო? ჰოდა, საიდან იცით სურვილები, თუ რეფერენდუმს არ გამართავთ?**

არადა, ყველაზე კარგი დრო რეფერენდუმის ჩატარებისთვის სწორედ ახლა გვაქვს. წინ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებია, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკურმა ძალებმა პარლამენტში შესვლამდე უნდა წარმოადგინონ პროგრამები, რომლებითაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იხელმძღვანელებენ. შესაბამისად, ამ პროგრამებში სწორედ მოსახლეობის უმრავლესობის სურვილები უნდა იყოს აღწერილი და არა ის, რა უნდა პოლიტიკოსთა ვიწრო ჯგუფს (მათი ამ „უნდა“-ს მოტივაციაზე ამჯერად არ ვილაპარაკებთ). შესაბამისად, ამომრჩევლის აზრი ეცოდინება პოლიტიკურ სპექტრს და მერე თვითონ გადაწყვეტს, ისევ ძველ ჩვენებას „მიაწვეს“ თუ რაღაც ახალი შემოიტანოს. თანაც, მოსახლეობასაც იმედი გაუჩნდება, რომ პოლიტიკოსებმა რეფერენდუმი მათი აზრის გასაგებად ჩაატარეს და ხმასაც უფრო თამამად მისცემენ. ეს, ერთი შეხედვით, აქსიომაა, რომელსაც მხოლოდ კეთილი ნება სჭირდება, მაგრამ...

**ჩავატაროთ გამოკითხვა, გამოვკითხოთ ერი და ბერი და შემდეგ ისე იმოქმედოს სახელმწიფომ, როგორც ჩვენ, ამ ქვეყნის შვილები, გადავწყვეტთ. ხომ გაიძახით ტელეკამერების წინ, თქვენი დაქირავებული ვართ, თქვენ უნდა გემსახუროთ და თქვენი სურვილები შევასრულოთო? ჰოდა, საიდან იცით სურვილები, თუ რეფერენდუმს არ გამართავთ?**

განვიხილოთ ორივე ვარიანტი. იმ შემთხვევაში, **თუ მოსახლეობა იტყვის, რომ აუცილებლად ნატოს კარზე უნდა ვაკაკუნოთ და ევროპას მათ კავშირში შესვლას ვეხვეწოთ, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ფრთებგაშლილი იქნება და „გააპრავებს“ იმ 30 წელს, რომლის განმავლობაშიც სწორედ ამ ვერსიებს გვტენიდნენ ცხვირში.** ხმასაც აღარავინ ამოიღებს და ევროპა-ამერიკიდან გაცილებით მეტი გრანტი დაიძვრება, ვიდრე ახლა მოდის. ეს ვარიანტი სრულიად პოლიტიკურ სპექტრს (რამდენიმეს გამოკლებით) ხელს უნდა აძლევდეს.

ახლა მეორე ვარიანტი: თუ **მოსახლეობა აირჩევს არა ევროპასა და ამერიკას, არამედ კეთილმეზობლურ და დამთბარ ურთიერთობას რუსეთთან, რუსული ბაზრის ათვისებას, დიალოგს არსებულ კონფლიქტებზე,** ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში მოქმედიც და მისი წინამორბედი ხელისუფლებაც ხალხს უნამუსოდ ატყუებდა. შეწყდება გრანტები, რომლებითაც კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციები თუ სამთავრობო სტრუქტურები იკვებებიან, დეპუტატებს ნაკლებად მოუწევთ სიარული საერთაშორისო სხდომებზე, სადაც თითქოს ჩვენი ქვეყნის ბედი წყდება, ვეღარავინ იტყვის — დღეზე მიგვიღებენ ევროკავშირსა და ნატოშიო, ევროპარლამენტარები, ამერიკელი სენატორები შეწყვეტენ საუბარს იმაზე, რომ თურმე საქართველო ძალიან ახლოს არის ნატოსთან და მთავარია, არჩეულ კურსს არ გადავუხვიოთ, საერთაშორისო მისიებიდან დაბრუნდებიან ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც საზარბაზნე ხორცად არიან წასული სხვის ომში და...

და რა?! როგორი მწარეც არ უნდა იყოს ეს რეალობა, ვიცხოვრებთ არა ტყუილში, არამედ რეალობაში. გვეცოდინება, რა გვინდა და საით მივდივართ. ლოგიკურად, თუ ხელისუფლება დარწმუნებულია საკუთარი გზის სისწორესა და ხალხის მხარდაჭერაში, **რეფერენდუმი უნდა გამართოს. ამით ამერიკასა და ევროპასაც გაუგორებს კოჭს, რუსეთს კიდევ ერთხელ დაანახვებს მოსახლეობის განწყობას, დამატებით გრანტებს მიიღებს და უფრო თამამი და მხრებგაშლილი იქნება ნებისმიერ მოლაპარაკებაზე. თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, თუ რეფერენდუმი დასრულდება ისე, როგორც გვეუბნებიან აგერ უკვე 30-ე წელია, მაგრამ სწორედ ეს „თუ“ გახლავთ მთავარი.** რეალურად, ყველას სერიოზული ეჭვი ეპარება ამ რეფერენდუმის შედეგებში. რეალურად, ყველას დიდი კითხვის ნიშანი აქვს ამ თემის მიმართ და ამიტომ გარისკვა არავის არ სურს. არ სურთ, გარისკონ საკუთარი მდგომარეობით; არ სურთ, იფიქრონ, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ 30-წლიანი ნაღვაწი ერთ დღეში წყალში ჩაეყრებათ. სირაქლემის პოზაში ყოფნა ურჩევნიათ და მერე რა, თუ სწორედ ამ სირაქლემის პოზის გამო არაერთხელ სერიოზული ჭიტლაყი მიიღო ქვეყანამ. მთავარი ხომ ის არის, რომ კონკრეტული ადამიანები კარგად იყვნენ და ბედნიერი სახით განაგრძონ ჩვენი დამოძღვრა.

**თუ მოსახლეობა აირჩევს არა ევროპასა და ამერიკას, არამედ კეთილმეზობლურ და დამთბარ ურთიერთობას რუსეთთან, რუსული ბაზრის ათვისებას, დიალოგს არსებულ კონფლიქტებზე, ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ ბოლო 30 წლის განმავლობაში მოქმედიც და მისი წინამორბედი ხელისუფლებაც ხალხს უნამუსოდ ატყუებდა. შეწყდება გრანტები, რომლებითაც კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციები თუ სამთავრობო სტრუქტურები იკვებებიან, დეპუტატებს ნაკლებად მოუწევთ სიარული საერთაშორისო სხდომებზე, სადაც თითქოს ჩვენი ქვეყნის ბედი წყდება, ვეღარავინ ვერ იტყვის, — დღე-დღეზე მიგვიღებენ ევროკავშირსა და ნატოშიო...საერთაშორისო მისიებიდან დაბრუნდებიან ჩვენი ჯარისკაცები, რომლებიც საზარბაზნე ხორცად არიან წასული სხვის ომში**

რეფერენდუმის გამართვის თაობაზე ამომრჩევლებთან შეხვედრისას მოსახლეობის სურვილი დეპუტატობის კანდიდატებს არაერთხელ მოუსმენიათ, მაგრამ ხმამაღლა ამის შესახებ არ საუბრობენ. ერთხელ იყო მხოლოდ, როცა თემა ძალიან გამწვავდა, მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რეფერენდუმის ჩატარება ხარჯებთან არის დაკავშირებული და 15-დან 20 მილიონ ლარამდე დაჯდებაო. 20 მილიონი ლარი დაახლოებით 7 მილიონი დოლარია და რა გამოდის, ხელისუფლებას მოსახლეობის აზრის გასაგებად ამ თანხის დახარჯვა არ სურს? **სამაგიეროდ, ჩვენი აზრის გაუთვალისწინებლად ხარჯავენ მილიარდებს, თორემ ძალიან გვეეჭვება, ხალხისთვის რომ ეკითხათ პრიორიტეტები გასულ წელს და შეესრულებინათ, ინფრასტრუქტურის სამინისტროს წლის ბოლოს ნაშთად ორ მილიარდამდე ლარი დარჩენოდა.** ჰო, ორ მილიარდამდე ლარი, რომელიც უბრალოდ ვერ აითვისეს და დაანონსებული მშენებლობები ვერ განახორციელეს. ეს ყველაფერი ერთი შეხედვით სასაცილო იქნებოდა, მაგრამ ვაი, რომ არ გვეცინება. ნებისმიერი რეგიონის ნებისმიერ სოფელში ჩადით, ნებისმიერ ადგილობრივს გაესაუბრეთ და ზუსტად ერთ წუთში იმდენ პრობლემას ჩამოგითვლით, რომ მათ მოგვარებას, ორი კი არა, შეიძლება ოცი მილიარდი არ ეყოს. 21-ე საუკუნეში რომ ასფალტს, წყალსა და ელექტროენერგიას აყვედრიან ადამიანებს, შესაძლოა, ვინმემ მართლა არ დაიჯეროს. ხალხი სხვა პლანეტების ათვისებასა და იქ ინფრასტრუქტურის მოწყობაზე ფიქრობს და საქართველოში კი სახლამდე მისასვლელი გზაა სანატრელი.

ბატონებო, **მიბაძეთ ზელენსკის, კომიკოს ზელენსკის, რომელმაც პრეზიდენტობის პირველივე თვეს მოსახლეობის მაჯისცემას მიუგდო ყური და ხალხის მითითებით მოქმედებს. თორემ ისე გამოვა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ზელენსკი ქვეყნის ლიდერი და გავლენიანი პოლიტიკოსი გახდება, ჩვენ კი კომიკოსები შეგვრჩებით ხელში. თუმცა, მხოლოდ ამის იმედად ნუ იქნებით, სანახაობა აღარ ჰყოფნის ხალხს, პურიც უნდა ბატონებო, პურიც...**

**ბესო ბარბაქაძე**

ეროვნული ვალუტა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სატრანსპორტო ტვირთბრუნვის ფუნქცია შემცირდა, რეგიონული ჰაბი უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ასე არ მოხდა და ჩვენ მიღმა საკმაოდ დამაფიქრებელი პროცესები მიმდინარეობს. რუსეთი ჩაერთო ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტში, ხოლო ჩვენი ინტერესები გათვალისწინებული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობას ვკარგავთ. ეს ყველაფერი უკავშირდება მსოფლიოს დიდი მოთამაშეების გააზრებულ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ ვერაფერს ვუპირისპირებთ.**



# იოსებ არჩვაძე: მილიონი დოლარი, რომელიც შეიძლება მრეწველობაში დააბანდო, შექმნის მეტ სამუშაო ადგილს, ვიდრე ტურიზმი. თუ ასე არ გავაკეთებთ, საქართველო უტილიზაციის ადგილი გახდება. ქვეყანას ცარიელი ბოთლები და ნაგავი ერგება

**2018 წლის აპრილიდან დღემდე ლარი 36 პუნქტით გაუფასურდა. 2018 წლის აპრილში ლარის საშუალო ოფიციალური კურსი დოლარის მიმართ 2,42 ნიშნულზე იყო, დღეს კი ერთი დოლარი 2,78 ლარი ღირს. ამ პერიოდში ქართულ ვალუტასთან ერთად მნიშვნელოვნად უფასურდება თურქული ლირაც. წლის განმავლობაში ლირა 48,7%-ით გაუფასურდა, ლარი კი — 14,8%-ით. უმნიშვნელო ცვლილებას განიცდის რუსული რუბლი. ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ერთ-ერთი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ეროვნული ვალუტა დოლარის მიმართ მხოლოდ 4 პუნქტით დაეცა — დაახლოებით 6,6%-ით. გამყარდა სომხური დრამი, რაც შეეხება აზერბაიჯანულ მანათს, ის დღეს სტაბილურია, როგორც ერთი წლის წინათ, ერთი დოლარი ახლაც 1,70 მანათი ღირს.**
**ლარის კურსის მკვეთრ დაცემაზე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში — იოსებ არჩვაძე გვესაუბრება.**



— ლარის კურსის დაცემის რამდენიმე სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზი არსებობს, ასევე არსებობს შინაგანი და გარეგანი მიზეზები და, როგორც ამბობენ, დამწვარზე მდუღარე დაესხა...

**— რომელია სუბიექტური მიზეზი და რომელი — ობიექტური?**

— ობიექტურია ინვესტიციების შემცირების მოცულობა, რომელიც ურტყამს ვალუტის კურსს, რაც უფრო ნაკლებია ინვესტიცია, მით ნაკლებია ვალუტა და ეროვნული ვალუტის კურსიც ეცემა. ინვესტიციების შემცირებასაც აქვს თავისი მიზეზები.

**— ხელისუფლება საჯაროდ არ საუბრობს ინვესტიციების შემცირებაზე. რატომ შემცირდა ინვესტიცია, საქართველო სტაბილური ქვეყანა არ არის?**

— ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციის პოლიტიკის გამო ხდება დოლარის გატანა სხვა ქვეყნებიდან საკუთარი ქვეყნის ეკონომიკაში რეინვესტირებისა და სამუშაო ადგილების შესაქმნელად. ეს აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის აღიქმება, როგორც პატრიოტული ნაბიჯი ქვეყნის ეკონომიკის გასაუმჯობესებლად, მაგრამ, როგორც იტყვიან, ის, რაც ერთს მოემატა, მოაკლდა სხვას... არა მხოლოდ საქართველოში, მსოფლიოში ბევრგან შეინიშნება გარკვეული საინვესტიციო შიმშილი და კონკურენციის ზრდა.

რატომ შემოვა უცხოური კაპიტალი საქართველოში და არ აირჩევს თურქმენეთს ან პაკისტანს? ჩვენ რაღაცით უნდა მოვხიბლოთ ინვესტორი, სხვას რომ ვაჯობოთ. მსოფლიოში მომრავლდა ქვეყნები, რომლებშიც ისწავლეს ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, გარანტიების მიცემა, სტაბილური ბიზნესგარემოს ფორმირება, ამიტომ ინვესტორებს ფართო არჩევანი აქვთ. საქართველოს მოუწევს მეტი მუშაობა, რათა მიმზიდველი გახდეს ინვესტორისთვის. ამ მიმართულებით უკან არ წავსულვართ, მაგრამ სხვებმა გვაჯობეს, გადაგვისწრეს.

**ამერიკაში საპროცენტო განაკვეთმა მოიმატა, უცხო ქვეყნებისთვის მიმზიდველია ამერიკის ფასიანი ქაღალდების შეძენა. დაძაბულობაა სპარსეთის ყურეში, ჩვენ გეოგრაფიულად ახლოს ვართ და ეს გარემოება გავლენას ახდენს ჩვენს ეკონომიკაზე, რადგან ინვესტორებმა, რომლებიც ფიქრობდნენ ჩვენს ქვეყანაში ფინანსების დაბანდებაზე, შესაძლოა, ეს გადაიფიქრონ.**

ლარის კურსის მერყეობაზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, ის ირაციონალური მოლოდინები, რომლებიც აქვს ბიზნესსა და მოსახლეობას. რიგითი ობივატელი როდესაც შეიტყობს ლარის კურსის დაცემას, იწყებს დოლარის შესყიდვას, ეს პროცესი დოლარზე მოთხოვნას ზრდის. მოთხოვნა მატულობს, მიწოდება კი უცვლელია, რაც ფასების ზრდას იწვევს.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის იზრდება და მეტი დოლარი გაედინება ქვეყნიდან. ჩვენ იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანა ვართ, თანაფარდობა ქვეყნის შიდა პროდუქტთან არის 55-56 პროცენტი, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მოწყვლადია იმპორტისთვის და იმპორტირებული საქონლის ფასებისთვის.

არის კიდევ ერთი გარემოება და ეს უნდა ვთქვათ — ლარის კურსის ცვლას აქვს საშუალო და მოკლევადიანი ეფექტი, გრძელვადიან პერსპექტივაში რაიმე ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ლარი ასე უფასურდებოდეს, არ არის.

**— რა ფაქტორებმა შეიძლება შეაჩეროს ლარის კურსის დაცემა?**

— არ ვიცი, რომელ ნიშნულს დაუბრუნდება ლარის კურსი, მაგრამ გაუფასურების რესურსი ამოწურულია და, თუ ფორსმაჟორი არ მოხდა, ვგულისხმობ საომარ მოქმედებებს, ნორმალური ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, ლარის გაუფასურების პირობები ამოწურულია.

ლარის გამყარებაზე ტურისტული სეზონი იმუშავებს, ეს სფერო უცხოურ ვალუტას შემოიტანს, იმედი მაქვს, შევინარჩუნებთ ექსპორტის მატების მაღალ ტემპს და ამით სავალუტო რეზერვებიც შეინარჩუნებს მატების მაღალ ტემპს.

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში 6 დოლარით გაიაფდა ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე, რაც ჩვენს ეკონომიკას უნდა დაეტყოს.

არ შემიძლია, არ შევეხო იმ რეზერვს, რომელიც ქვეყანაში არსებობს, იმისთვის, რომ ლარის კურსი დარეგულირდეს — ეს არის ჩვენი „გეორგიანელობა". უდიდესი პოტენციალი გვაქვს სოფლის მეურნეობის წარმოების, მაგრამ ყოველწლიურად ვეწევით 400-500 მილიონი დოლარით მეტი აგროსასურსათო პროდუქტის იმპორტს ექსპორტთან შედარებით, რაც იმას ნიშნავს, რომ სურსათი არ გვყოფნის. ჩვენ იმპორტზე ვართ დამოკიდებული. ეს რომ ასე არ ხდებოდეს და ექსპორტ-იმპორტის ნულოვანი ბალანსი გვქონდეს, ქვეყანას ყოველწლიურად 400-დან 500 მილიონ დოლარამდე შემოსავალი ექნებოდა. ეს ფული საქართველოს ეკონომიკაში რომ დატრიალებულიყო, ლარის კურსი იქნებოდა არა 2,78, არამედ 1,95-2,00-ის ფარგლებში და უფრო ნაკლებიც. მოკლედ, პრობლემათა მთელი გამაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკაზე სერიოზულ გავლენას ახდენს.

**— თქვენ ახსენეთ ტურიზმი, მაგრამ, როგორც ვიცი, ტურიზმი არ არის ქვეყნის აღმატებული ეკონომიკის გარანტი, თანაც ისეთი ქვეყნის, როგორიც საქართველოა.**

— საერთოდ, მომსახურების სფერო ეკონომიკისთვის კარგია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში არ ამართლებს და სასურველია, ქვეყნის ეკონომიკა გათვლილი იყოს გრძელვადიან პერპექტივაზე. გრძელვადიანია არა მხოლოდ სოფლის მეურნეობა, არამედ მოპოვებითი სფერო. საქართველოს აქვს სოფლის მეურნეობა და **მსუბუქი მრეწველობის დარგები**, რომლებსაც მულტიპლიკატორული ეფექტი უფრო მაღალი აქვს, ვიდრე მომსახურების სფეროს. **მილიონი დოლარი, რომელიც შეიძლება მრეწველობაში დააბანდო, შექმნის მეტ სამუშაო ადგილს, ვიდრე ტურიზმი. თუ ასე არ გავაკეთებთ, სხვა შემთხვევაში, საქართველო უტილიზაციის ადგილი გახდება. საქართველოს ცარიელი ბოთლები და ნაგავი ერგება...**

**— ჩვენი ხელისუფლება ლარის კურსის დაცემის მიზეზად თურქული ლირის გაუფასურებას ასახელებს. ეს ლოგიკაში არ „ჯდება"...**

— მეზობელი, რომელთანაც სავაჭრო ურთიერთობა გვაქვს, ვალუტას იწოვს საქართველოდან, როცა თურქეთში ლირა ეცემა, ფასებიც ეცემა და მეტი თურქული საქონელი იყიდება... ეს საყურადღებო და საგანგაშოა, რადგან ჩვენი ვაჭრობით თურქეთში, სულ ცოტა, 70 ათას სამუშაო ადგილის შექმნას ვუწყობთ ხელს. უარი არ უნდა ვთქვათ ამ ყველაფერზე, მაგრამ თურქულმა მხარემაც უნდა გააცნობიეროს, რომ საქართველოსთან ვაჭრობის ჩავარდნის გამო, შესაძლოა, თურქეთში უმუშევრობა გაიზარდოს. აქ ვგულისხმობ, ჩვენს დამსვენებლებს თურქეთის კურორტებზე.

**— საქართველოს ხელისუფლება ამბობს, რომ ქვეყანას გახსნილი ეკონომიკა აქვს...**

— საქართველო მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა და პროცენტების გაზრდის საშუალება რეალურად წართმეული გვაქვს. ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი სავაჭრო პარტნიორი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ახდენს სუბსიდირებას, თურქეთის იქნება თუ ევროკავშირის ქვეყნების, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლებს ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდან მიეცემათ გარკვეული შეღავათები, რათა იაფად განახორციელონ ექსპორტი სხვა ქვეყნებში. საქართველომ, იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდა მეწარმეებს, რასაც აქამდე აკეთებდა, ისიც არ გააკეთა — შარშან ყურძნის სუბსიდირებაზეც უარი თქვა... ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია მანევრირება და სუბსიდიების განხორციელება თავის პროდუქციაზე, მაგრამ ჩვენ ამ პრივილეგიებს მოწყვეტილი ვართ, ბიუჯეტს არ აქვს საშუალება, კონტრზომები მიიღოს.

**— სახელმწიფოა სუსტი, ეკონომიკური გუნდი არ გვივარგა თუ რაშია საქმე?**

— ჩვენ სუსტი სახელმწიფო ვართ, ბიუჯეტის შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე 1100 დოლარის ფარგლებში გვქვს, მაშინ, როცა, ევროკავშირში 10 ათას დოლარამდეა. ჩვენთან სხვა ღონისძიებებია გასატარებელი. მეტი სტიმული უნდა შევქმნათ, რომ გვქონდეს მეტი დოვლათის შექმნის საშუალება, ნაკლები ბარიერი უნდა გვქონდეს, მომხმარებლამდე ჩვენ მიერ შექმნილი დოვლათის მიღწევისა.

**— ვინ შეიძლება იყოს ჩვენი რეალური პარტნიორი ეკონომიკური კუთხით? საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, მაგრამ პროდუქციის გატანას ვერ ვახერხებთ... ჩვენი ეკონომიკა ფეხზე ვერ დადგა...**

— პატარა ქვეყანა ვართ, თურქეთი ჩვენი ძირითადი სავაჭრო პარტნიორია, დიდი ხანია, მაგრამ მისი პარტნიორების ოცეულშიც ვერ მოვხვდით, მცირეა ჩვენი ვაჭრობის მასშტაბები თურქეთისთვის.

არ უნდა დაგვავიწყდეს მომსახურების პოზიცია, ტურიზმი მომსახურების სახეობაა, მაგრამ ნორმალურ პირობებში ის არ უნდა იყოს ძირითადი. სატრანსპორტო, საკომუნიკაციო ფუნქცია არ უნდა დავკარგოთ. სამწუხაროდ, საქართველომ ამ მიმართულებით უკან დაიხია. ჩვენი **სატრანსპორტო ტვირთბრუნვის ფუნქცია შემცირდა, რეგიონული ჰაბი უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ასე არ მოხდა და ჩვენ მიღმა საკმაოდ დამაფიქრებელი პროცესები მიმდინარეობს. რუსეთი ჩაერთო ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტში, ხოლო ჩვენი ინტერესები გათვალისწინებული არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობას ვკარგავთ. ეს ყველაფერი უკავშირდება მსოფლიოს დიდი მოთამაშეების გააზრებულ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენ ვერაფერს ვუპირისპირებთ.**

საუბარი მინდა ოპტიმისტურ ნოტზე დასრულდეს — ლარი სერიოზულად გაციებულია, მაგრამ ორმხივი პლევრიტი არ აქვს, გადადებული ავადმყოფი არ არის, თუ სწორად ვუმკურნალებთ, მისი გადარჩენა შეიძლება და ისტორიულ და ეკონომიკურ ფუნქციას შეასრულებს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ე.წ. არასამთავრობო სექტორი „დანოსს დანოსზე“ უგზავნის ოკეანის გაღმა-გამოღმა პატრონებს, რომლებმაც (ამ შემთხვევაში ე.წ. ევროკომისიის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერმა) გაბედეს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სიძულვილის ენით საუბარში დაადანაშაულეს. ამ ყველაფერს იმიტომაც ვამბობ, რომ ისე, როგორც მაშინ, ტაბურეტების დროს, ერი და ბერი ახლაც ერთად უნდა გამოვიდეთ, თორემ ლგბტ-სატანისტები მურდალი უკანალების ქნევით წაგვიბილწავენ რუსთაველის წმინდა პროსპექტს, ანუ თბილისს და სრულიად საქართველოს...**



ახალი მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 17 მაისი და არჩევნები ევროპარლამენტში

## «ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულშიც»

**აგერ უკვე ლამის 30 წელიწადია, რაც „პროგრესულად მოაზროვნე“ დასავლეთი 17 მაისს ჰომოფობიასთან ბრძოლის დღეს ზეიმობს. როგორც ჩანს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე არ მიეკუთვნება „პროგრესულად მოაზროვნეებს“, რადგან სულაც არ მიიჩნევს სოდომის ცოდვის პროპაგანდის მიმართ შიშს უსაფუძვლოდ და ამიტომ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით, სწორედ 17 მაისი და მაინცდამაინც 17 მაისი დადგინდა ქართული ოჯახების სიწმინდის დაცვის დღედ. 2014 წლიდან დღემდე, უკვე მეექვსე წელიწადია, ქართველი საზოგადოება კიდევ ერთხელ გამოეხმაურა პატრიარქის მოწოდებას და წლეულსაც ერმა და ბერმა ერთად იზეიმა ქართული სულიერების დღესასწაული.**




**რუსთაველის პროსპექტიდან სამების ტაძრამდე საზეიმო მსვლელობის მონაწილეთა შორის მეც გახლდით, მაგრამ სულაც არასაზეიმო ფიქრებით: რას ვზეიმობთ? რას ვამტკიცებთ? რას და ვისგან ვიცავთ? იმას, რომ კაცს კაცი უნდა ერქვას და ქალს — ქალი? ადრე ვინმე თუ დაიჩემებდა, — ნაპოლეონი ვარო, მყისვე ავლიპ ზურაბაშვილთან გააქანებდნენ. ახლა კაცი იძახის: ქალი ვარო, და მისი უფლებების დაცვას იწყებს სახალხო დამცველი**



რუსთაველის პროსპექტიდან სამების ტაძრამდე საზეიმო მსვლელობის მონაწილეთა შორის მეც გახლდით, მაგრამ სულაც არასაზეიმო ფიქრებით: რას ვზეიმობთ? რას ვამტკიცებთ? რას და ვისგან ვიცავთ? იმას, რომ კაცს კაცი უნდა ერქვას და ქალს — ქალი? ადრე ვინმე თუ დაიჩემებდა, — ნაპოლეონი ვარო, მყისვე **ავლიპ ზურაბაშვილთან** გააქანებდნენ. ახლა კაცი იძახის: ქალი ვარო, და მისი უფლებების დაცვას იწყებს სახალხო დამცველი. ან ბავშვს დედა და მამა რომ უნდა ჰყავდეს და არა „მშობელი 1“ და „მშობელი 2“ — ეს შეიძლება ადამიანის უფლებების დაცვით შეფუთო? მოკლედ, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რის გამოც, სიბერის პირას მისულს, ჩემი სამშობლო მეცოდება.

ყველაფერი კი 1992 წლის 17 მაისს დაიწყო — სწორედ ამ დღეს ამოიღო გაეროს შესაბამისმა „კანტორამ“ მამათმავლობა დაავადებების სიიდან და მის ნაცვლად უკურნებელ სენად გამოაცხადა სიყვარული, დიახ, თვალი არ გატყუებთ, **სი-ყვა-რუ-ლი!**

მას შემდეგ დაიწყო ლგბტ პირების საზეიმო მარში მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც დღესაც გრძელდება — დასავლეთ ევროპაში ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ამბავია გეიაღლუმები და, აქედან გამომდინარე, ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინებაც აღარავის უკვირს კი არა, ჰომოსექსუალ წყვილებს ჯვარსაც კი სწერენ ზოგიერთ კათოლიკურ თუ პროტესტანტულ ეკლესიაში — იმ ეკლესიებში, რომელთა კურთხევითაც საუკუნეების განმავლობაში ინკვიზიციის კოცონზე წვავდნენ სატანისტობაში ეჭვმიტანილებს. არაფერს ვიტყვი დიდი ევროპული კულტურის, ცივილიზაციის შესახებ, რომელიც წარმოუდგენელია ქრისტიანული ფესვების გარეშე. ანალოგიური რამის თქმა ევროპელების მიერ აღმოჩენილ ამერიკაზეც შეიძლება — ის ქვეყნები, რომლებშიც ესპანელი თუ პორტუგალიელი კონკისტადორები კათოლიციზმს (წაიკითხე, ზნეობა, მორალი) ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ, დღეს ლგბტ-პედერასტების სამოთხედ (ბრაზილია, არგენტინა, აშშ და ა.შ.) ქცეულა...

მოკლედ, იმის თქმა დაბეჯითებით შეიძლება, რომ **ევროპაში დაწყებული „პროგრესული აზროვნება“, დასავლეთი იქნება თუ აღმოსავლეთი, ლამის სრულიად მსოფლიოს მოედო ეგზემასავით და წალეკვით ემუქრება.**

ამ ტალღამ 2012 წლის 17 მაისს საქართველომდეც მოაღწია, რომლის ჩაქრობაშიც თქვენი მონა-მორჩილიც მონაწილეობდა. იმ 17 მაისს კარგი ამინდი იყო და მაშინ ე.წ. წინააღმდეგობის მოძრაობის (დღეს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) ბიჭებთან (კოტე ინაშვილი, სოსო მანჯავიძე და სხვ.) ერთად ზემელზე, კინოს სახლის კუთხეში ვიდექი, როდესაც მეტროპოლიტენის სადგურ „რუსთაველისთან“ 3-4 ათეული გოგო-ბიჭი დავლანდე, რომლებსაც რაღაც ბანერები და ჭრელი დროშები ეჭირათ. თავდაპირველად ვერ გავარკვიე, ვინ იყვნენ, მაგრამ, როდესაც ახლოს მოვიდნენ და მათ ბანერებზე ლოზუნგები წავიკითხე, მივხვდი, ვინც იყვნენ.... თურმე ეს პედერასტები, მედიაში ყოველგვარი დაანონსების გარეშე, შეკრებილან 51-ე სკოლის წინ — ფილარმონიასთან, სადაც საპატიო სტუმრის სტატუსით მოწვეულმა ორმა ამერიკელმა გეიმ ერთმანეთს მადიანად „დაუზასეს“ (მკითხველთან ბოდიში ამ გულისამრევი ნატურალიზმისთვის) და რუსთაველის პროსპექტისკენ დაიძრნენ განზრახვით, პარლამენტის შენობასთან დაემთავრებინათ მსვლელობა. ამას რომ მივხვდი, ბიჭებს დავუძახე: არიქა, პედერასტების აღლუმია-მეთქი, გამვლელ-გამომვლელებსაც ვუხმეთ დასახმარებლად და პედერასტების აღლუმი შევაჩერეთ.

რა თქმა უნდა, ატყდა აურზაური, შეხლა-შემოხლა, რომლის დროსაც „სისხლიც დაიღვარა“ (ერთ გეის ბანერი დავუმტვრიე და თითში ლურსმანი შემერჭო), სოსო მანჯავიძემ ერთ-ერთ პედერასტს „მამაშვილური“ ალიყურიც აჭამა და ა.შ. ერთი სიტყვით, აღლუმი იქვე, ზემელზევე დავამუხრუჭეთ...

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამ ინციდენტისას, მიუხედავად იმისა, რომ მიშა ჯერ კიდევ მიშობდა, პატრული დაუფარავად გვიჭერდა მხარს (რამდენიმე პედერასტი თუ ლესბოსელი მანქანებში ჩატენეს), რისთვისაც ახლაც ვეუბნები მადლობას. ერთადერთი, რითაც დასაჯა მიშას მართლმსაჯულებამ **სოსო მანჯავიძე,** იყო ის, რომ მეორე დღეს აიყვანეს, გაასამართლეს და 100 ლარით დააჯარიმეს...

ამ ყველაფერს იმიტომ ვყვები, რომ ქვეყანამ უნდა იცოდეს მისი „გმირების შესახებ“, ეს ერთი და მეორე — ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, დღევანდელი პატრულის, **„ბიძინას პატრულის“ გასაგონად: 18-25 ივნისს ლგბტ-თემი ქართველ საზოგადოებას პედარასტული კვირეულის ჩატარებით გვემუქრება და ემანდ ხელი არ წაგიცდეთ „დუბინკა“-რეზინის ტყვიებზე. მიბაძეთ „მიშას პატრულს“...**

2013 წლის 17 მაისი ე.წ. ტაბურეტკების აქციად მონათლა უნამუსო ქართულმა ლიბერასტულმა მედიამ. უნამუსო და გათახსირებულმა, რადგან, ჯოხი, კომბალი და ქვაც გამიგია, მაგრამ პედერასტების საცემად ტაბურეტი ვის მიაქვს?!

სწორედ იმ ერისა და ბერის (და არა „ტაბურეტკების“) ერთობლივი აქციის შემდეგ დააშოშმინა ჩვენმა სათაყვანებელმა პატრიარქმა მტერ-მოყვარე იმ ბრძნული ნაბიჯით, რომელსაც 17 მაისის ოჯახური სიწმინდის დაცვის დღედ გამოცხადება ჰქვია. პატრიარქზე რომ არ იყოს საუბარი, ვიტყოდი, — ეშმაკური ნაბიჯით-მეთქი, რადგან მხოლოდ დამთხვეული თუ დაიჯერებს, რომ შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს 17 მაისს ოჯახის სიწმინდის დღე და ე.წ. ჰომოფობიასთან ბრძოლის დღე. ზემოთ, — დააშოშმინა-მეთქი, მაგრამ არა, შეშფოთებული **ე.წ. არასამთავრობო სექტორი „დანოსს დანოსზე“ უგზავნის ოკეანის გაღმა-გამოღმა პატრონებს, რომლებმაც (ამ შემთხვევაში ე.წ. ევროკომისიის თავმჯდომარე ჟან-კლოდ იუნკერმა) გაბედეს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სიძულვილის ენით საუბარში დაადანაშაულეს. ამ ყველაფერს იმიტომაც ვამბობ, რომ ისე, როგორც მაშინ, ტაბურეტების დროს, ერი და ბერი ახლაც ერთად უნდა გამოვიდეთ, თორემ ლგბტ-სატანისტები მურდალი უკანალების ქნევით წაგვიბილწავენ რუსთაველის წმინდა პროსპექტს, ანუ თბილისს და სრულიად საქართველოს...**

მკითხველთა შორის შეიძლება ისეთიც აღმოჩდეს, რომელიც დამამუნათებს: რა დროს ასეთი წერილია, როდესაც მთელი ევროპა ლამის არის აფეთქდაო...

ამ წერილის დაწერას სწორედ ევროპარლამენტის არჩევნების კონტექსტში ვფიქრობდი. ევროპარლამენტის არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ დღეს ევროპა ის ევროპა აღარ არის, რაც გუშინ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტის უმრავლესობაში არ არიან ე.წ. ევროსკეპტიკები, გნებავთ კონსერვატიული, ულტრამემარჯვენე ნაციონალისტი ძალები, მათ მაინც სერიოზულ შედეგს მიაღწიეს — ევროკავშირის წამყვან ქვეყნებში მემარჯვენე პარტიებმა გაიმარჯვეს: იტალიაში — **მატეო სალვინის,** ბრიტანეთში — **ნაიჯელ ფარაჯის,** უნგრეთში — **ვიქტორ ორბანის,** პოლონეთში — **იაროსლავ კაჩინსკის,** საფრანგეთში — **მარინ ლე პენის,** გერმანიაში — ულტრამემარჯვენე პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის“. დიდი ალბათობით, ევროპარლამენტში ყველანი ერთ ოპოზიციურ ფრაქციას შექმნიან, რომელიც ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. მიგრანტების შემოსევის აკრძალვის გარდა, ზემოხსენებულ პარტიებს კიდევ რამდენიმე ფუნდამენტურ საკითხზე აქვთ თვალსაზრისი — ყველანი ლგბტ-პედერასტებისა და ერთი და იმავე სქესის პირების ქორწინების წინააღმდეგნი, რუსეთთან კარგი ურთიერთობების და, აქედან გამომდინარე, რუსეთისთვის ეკონომიკურ-პოლიტიკური სანქციების მოხსნის მომხრენი არიან.

ევროპარლამენტის არჩევნების შედეგებმა გამახსენა დიდი ილიას ლექსი „მესმის, მესმის“, რომელიც მან იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელად **ჯუზეპე გარიბალდის** მიუძღვნა. მართლაც, „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულშიც“...

ვიმეორებ: ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები იმის მაუწყებელია, რომ „ძველ სამყაროში“ (და, სხვათა შორის, ჩვენს „სტრატეგიულ“ მოკავშირე აშშ-შიც) ცვლილებების სიომ დაუბერა. სიომ, რომელიც უეჭველად გადაიქცევა იმ ქარიშხლად, რომელიც ჯერ ევროპაში წალეკავს იქვე ნაშობ უმსგავსოება-გარყვნილებას და შემდეგ „ბოდიშის მოხდით“ ჩვენამდეც მოაწევს. დიახ, ბოდიშის მოხდით, რადგანაც სოდომის ცოდვებით დამძიმებული დასავლეთის დამსახურებაა, რომ კაცობრიობა აპოკალიფსის საფრთხის წინაშეა...

**დავით მხეიძე**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსმა ჯარისკაცებმა სპარსეთთან ომების შედეგად გაათავისუფლეს სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. 1802 წლამდე ფინეთს არასოდეს ჰქონია სახელმწიფოებრიობა და მხოლოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში „აჩუქეს“ მას ავტონომია. ლატვიამ, ლიტვამ და ესტონეთმა კი ნაციონალური ღირსება რუსეთის მეფის დაცვის ქვეშ მოიპოვეს. მანამდე კი ბალტიისპირელები გერმანელებს ჰყავდათ დამონებული და მათ პირუტყვებს ექახდნენ.**

# ბევრი სახელმწიფო რუსეთის წყალობით არსებობს

**„ევროპის ბევრი მართლმადიდებელი ქვეყანა ოსმალეთის იმპერიის მონობის უღლისგან რუსეთმა გაათავისუფლა. რუმინეთი, საბერძნეთი, ჩერნოგორია, მაკედონია, მოლდოვა და ბულგარეთი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გაჩნდნენ.**

დიდმა რუსმა მხედართმთავარმა **ალექსანდრე სუვოროვმა** 200 წლის წინათ **შვეიცარია** საფრანგეთის მონობის უღლისგან გაათავისუფლა. მას შემდეგ შვეიცარიას არასოდეს უომია. რუსი იმპერატორების მხარდაჭერამ კი ჩრდილოეთ **ამერიკის შტატებისთვის** ბრიტანეთთან ომში აშშ-ის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას შეუწყო ხელი.

რუსმა ჯარისკაცებმა სპარსეთთან ომების შედეგად გაათავისუფლეს **სომხეთი, აზერბაიჯანი** და **საქართველო.** 1802 წლამდე **ფინეთს** არასოდეს ჰქონია სახელმწიფოებრიობა და მხოლოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში „აჩუქეს“ მას ავტონომია. **ლატვიამ, ლიტვამ** და **ესტონეთმა** კი ნაციონალური ღირსება რუსეთის მეფის დაცვის ქვეშ მოიპოვეს.

მანამდე კი ბალტიისპირელები გერმანელებს ჰყავდათ დამონებული და მათ პირუტყვებს ექახდნენ, ლატვიური ენის პირველი სახელმძღვანელო რიგაში მხოლოდ 1868 წელს დაიბეჭდა. მისი შექმნის ინიციატორი რუსეთის ხელისუფლება იყო. რუსებს, ამერიკელი კოვბოებისა და ესპანელი კონკისტადორებისგან განსხვავებით, არასოდეს გაუნადგურებიათ მცირე ერები და არც მათი ასიმილაცია უცდიათ ძალის გამოყენებით. ჩამორჩენილ ყიშლაყებსა და აულებში კი რუსები წასვლის შემდეგ ბიბლიოთეკებსა და თეატრებს ტოვებდნენ.

რუსეთს არასოდეს გაუნადგურებია, დაუმონებია და გაუძარცვია დაპყრობილი ხალხები. რუსეთის იმპერიის საზღვრების გაფართოებისას თითოეულ ეთნოსს ეძლეოდა განვითარების შესაძლებლობა. ამერიკელი ინდიელებისგან განსხვავებით, მცირერიცხოვანი ერები კვლავ თავიანთ მშობლიურ მიწაზე ცხოვრობენ. რუსები იზიდავდნენ თითოეულ ხალხს, ადამიანს და მათ უქმნიდნენ განვითარების პირობებს“, — ასე მიიჩნევს პოლიტოლოგი **ანატოლი ვასერმანი.**

საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ ნაციონალური მშენებლობის სპეციალისტებმა დაიწყეს სრულიად განსხვავებული ტომებისგან ეროვნებების შექმნა. მათ შეუქმნეს კოსტიუმები, სამზარეულო, მოუწესრიგეს ენა (კოდიფიკაცია). სწორედ მაშინ გაჩნდნენ თურქმენები, ყირგიზები, ყაზახები და სხვა ეროვნული უმცირესობები, რომლებიც მანამდე მომთაბარე ტომები იყვნენ. მათ ლანგრით მიართვეს ცივილიზაცია. **ტალიშები, ტატები, ლეკები, მომთაბარე თურქები** გააერთიანეს და შექმნეს აზერბაიჯანელები. ლაპარაკი აღარ არის უკრაინელებზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რესპუბლიკის გარდა, ცალკე ენაც მოუფიქრეს. თვით ცნობილი ცეკვა გოპაკი, რომელიც უკრაინელთა ეროვნულ ცეკვად ითვლება, შექმნეს ალექსანდრე ალექსანდროვის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელებმა. ეს მზრუნველობა ხშირად რუსი ერის ხარჯზე ჯდებოდა. სხვა ერები კარგად რომ ყოფილიყვნენ, ისინი კომუნისტებმა დაასაჩუქრეს ძირძველი რუსული ტერიტორიებით. **ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას სამხრეთი ციმბირი აჩუქეს. კაზაკების მიწები კავკასიის მთიელ ხალხებს გაუნაწილეს.**



### ხალხი-განმათავისუფლებელი

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირს რომ არ გაემარჯვა, ამჟამად მსოფლიოს რუკაზე არ იქნებოდა **ავსტრია, ჩეხეთი, სლოვაკეთი** და თანამედროვე ევროპის, აზიისა და აფრიკის ბევრი ქვეყანა; არ იქნებოდა სხვა ენა, გერმანულის გარდა. კომუნისტებისგან განსხვავებით, ფაშისტები მკაცრად ალკვეთდნენ არაარიული კულტურის განვითარებას.

**დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირს რომ არ გაემარჯვა, ამჟამად მსოფლიოს რუკაზე არ იქნებოდა ავსტრია, ჩეხეთი, სლოვაკეთი და თანამედროვე ევროპის, აზიისა და აფრიკის ბევრი ქვეყანა; არ იქნებოდა სხვა ენა, გერმანულის გარდა. კომუნისტებისგან განსხვავებით, ფაშისტები მკაცრად ალკვეთდნენ არაარიული კულტურის განვითარებას**

სხვათა შორის, სწორედ საბჭოთა კავშირი დაეხმარა დამარცხებულ გერმანიას მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე დარჩენაში. **სტალინის** პოზიციამ აშშ-სა და ინგლისთან მოლაპარაკებებისას 1945 წელს საშუალება მისცა გერმანელებს, შეენარჩუნებინათ სახელმწიფოებრიობა მესამე რაიხის დამარცხების შემდეგ.

საბჭოთა კავშირი მონაწილეობდა **ჩინეთის, ვიეტნამის, ჩრდილოეთ კორეის, ინდოეთის, ალჟირის, კუბის, ისრაელის, ანგოლის, მოზამბიკისა** და სხვა ბევრი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. სწორედ დეკოლონიზაციის მოძრაობამ, რომელშიც მთავარ როლს საბჭოთა კავშირი თამაშობდა, შეაძლებინა კოლონიებს, მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა.

რუსეთის ისტორია მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანა ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში — მეფეებისა და კომუნისტების დროსაც — თანამიმდევრული იყო ერებისა და ხალხების თვითგამორკვევის პრინციპების დაცვაში და ყველანაირად უწყობდა ხელს მრავალპოლუსიანი მსოფლიოს შექმნას.

**საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ ნაციონალური მშენებლობის სპეციალისტებმა დაიწყეს სრულიად განსხვავებული ტომებისგან ეროვნებების შექმნა. მათ შეუქმნეს კოსტიუმები, სამზარეულო, მოუწესრიგეს ენა (კოდიფიკაცია). სწორედ მაშინ გაჩნდნენ თურქმენები, ყირგიზები, ყაზახები და სხვა ეროვნული უმცირესობები, რომლებიც მანამდე მომთაბარე ტომები იყვნენ. მათ ლანგრით მიართვეს ცივილიზაცია. ტალიშები, ტატები, ლეკები, მომთაბარე თურქები გააერთიანეს და შექმნეს აზერბაიჯანელები. ლაპარაკი აღარ არის უკრაინელებზე, რომლებსაც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რესპუბლიკის გარდა, ცალკე ენაც მოუფიქრეს. თვით ცნობილი ცეკვა გოპაკი, რომელიც უკრაინელთა ეროვნულ ცეკვად ითვლება, შექმნეს ალექსანდრე ალექსანდროვის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელებმა.**





# «კამაზის» ეკოლოგიური ელექტროავტობუსი

**კამის საავტომობილო ქარხანა „კამაზი“ მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ მე-9 სპეციალიზებულ გამოფენაში „ელექტროტრანს-2019“, რომელიც ჩატარდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის რუსული კვირეულის ფარგლებში.**

„კამაზმა“ თავის ექსპოზიციაში წარმოადგინა ელექტრობუსი კამაზ 6282-012, რომელიც უკვე კარგად არის ცნობილი რუსეთის დედაქალაქის მცხოვრებთათვის. საავტომობილო ტრანსპორტის მოსკოველი მგზავრები აქტიურად სარგებლობენ ამ მოდელით. აღსანიშნავია, რომ **რუსეთის დედაქალაქი ევროპაში ლიდერია ელექტრობუსების რაოდენობით — ამჟამად მოსკოვის ქუჩებში მოძრაობს ტრანსპორტის ამ ინოვაციური სახეობის 100 ერთეული, რომელთა უმრავლესობა აწყობილია „კამაზში“.**

კამაზ 6282-012 დაკომპლექტებულია გამწევი ელექტრომოწყობილობის თანამედროვე კომპონენტებით, მათ შორის, ელექტროპორტალური ხიდითა და ლითიუმ-ტიტანის (LTO მოცულობით 80 კვტ/სთ) სააკუმულატორო ბატარეებით. მათ სრულ დამუხტვას მხოლოდ 24 წუთი სჭირდება. ელექტრობუსი სადგურში იმუხტება ულტრასწრაფი მუხტით, დამატებით გამოყენებულია საბორტო დამმუხტველი მოწყობილობა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, დამგროვებელი დაიმუხტოს 380-ვოლტიანი (ე.წ. ღამის დამუხტვა, რომლისთვისაც საჭიროა დაახლოებით 8 საათი) ცვალებადი დენის სამფაზიანი ქსელიდან.

ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით
გვერდი მოამზადა **გიორგი გაჩეჩილაძემ**

**„ჩვენი მიზანია, გავხდეთ მმართველი ძალა, რომელიც შეცვლის ევროპას. ჩვენ უნდა დავაბრუნოთ ყურადღების ცენტრში შრომითი მოწყობის, აგრეთვე, ოჯახის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პრობლემები“, — განაცხადა სალვინიმ და დასძინა, რომ პოლიტიკა, რომელსაც ბრიუსელი ატარებს, კოშმარულია.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# იტალიელებს არ სურთ ევროკავშირის მონობა

## სალვინი: ექსტრემისტები — ესენი არიან მერკელი, მაკრონი და სოროსი

**ევროპარლამენტის არჩევნების წინ, რომელიც 23-26 მაისს ჩატარდა, ათასობით იტალიელი გამოვიდა მილანში იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრთან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მატეო სალვინისთან შეხვედრაზე. სალვინი არის პოლიტიკოსი, რომელშიც იტალიელები ხედავენ ბრიუსელის დიქტატურასთან მებრძოლ პიროვნებას. პოლიტიკოსის მხარდამჭერებს თავიანთი პოზიციის გამოხატვაში ხელი ვერ შეუშალა ოპონენტების პიკეტებმა.**

**სალვინი** მილანში ჩავიდა ევროსკეპტიკურად განწყობილი 11 პარტიისა და მოძრაობის ლიდერებთან შესახვედრად, რათა მასთან ერთად ემსჯელა წინასაარჩევნო სტრატეგიაზე.

**„ჩვენ უკვე აღარ ვართ იტალიელები, ჩვენ ევროპის მონებად ვიქეცით. ჩვენ გვსურს, გვქონდეს იტალიური სახელმწიფო, დავიბრუნოთ ადრინდელი ღირსება და დამოუკიდებლობა“,** — ეუბნებოდნენ სალვინის მომხრეები ჟურნალისტებს.

სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგები მოწმობს, რომ სალვინის პარტია „ჩრდილოეთის ლიგამ“ ევროპარლამენტის არჩევნებში შეიძლება მოაგროვოს იტალიელი ამომრჩევლების ხმების 30%. მას შემდეგ, რაც 2018 წელს ჩამოყალიბდა სამთავრობო კოალიცია „ჩრდილოეთის ლიგა“ და მოძრაობა „5 ვარსკვლავი“, ხელისუფლებამ შესამჩნევ წარმატებას მიაღწია დამნაშავეობასთან ბრძოლაში. ამ წარმატებების გამო კიდევ უფრო მოიმატა ამომრჩეველთა მხარდაჭერამ.

სალვინის არ დაუშურებია კრიტიკული კომენტარები ევროკავშირის მიმართ და უარყო ევროპული პრესის მიერ წაყენებული ბრალდებები რასიზმსა და ექსტრემიზმში.

**„ექსტრემისტები — ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც ართმევენ ევროპას უსაფრთხოებას და მიჰყავთ ის სიღატაკისკენ. ესენი არიან მერკელი, მაკრონი და სოროსი“.**

ევროპარლამენტის არჩევნებზე კი სალვინიმ თქვა: „ეს არჩევნები შეცვლის ევროპას, შეცვლის საბანკო სფეროს, სოფლის მეურნეობას, საზღვრებს... ჩვენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ — ჩავატაროთ ფინანსური, სასამართლო რეფორმები და განათლების რეფორმა“.

სალვინი და მისი პარტია ევროკავშირში თავიანთ მოკავშირეებად მიიჩნევენ პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“, დანიის სახალხო პარტიას, **მარინ ლე პენის** ნაციონალურ გაერთიანებას და პარტიას „ჭეშმარიტი ფინელები“.

**„ჩვენი მიზანია, გავხდეთ მმართველი ძალა, რომელიც შეცვლის ევროპას. ჩვენ უნდა დავაბრუნოთ ყურადღების ცენტრში შრომითი მოწყობის, აგრეთვე, ოჯახის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის პრობლემები“,** — განაცხადა სალვინიმ და დასძინა, რომ პოლიტიკა, რომელსაც ბრიუსელი ატარებს, კოშმარულია.





**«ჩვენ უკვე აღარ ვართ იტალიელები, ჩვენ ევროპის მონებად ვიქეცით. ჩვენ გვსურს, გვქონდეს იტალიური სახელმწიფო, დავიბრუნოთ ადრინდელი ღირსება და დამოუკიდებლობა»**

# ფილარეტმა უარი განაცხადა უკრაინის ახალი ეკლესიის ტომოსის პირობების შესრულებაზე

**უკრაინის არაკანონიკური საეკლესიო სტრუქტურის ყოფილმა ხელმძღვანელმა, „რასკოლნიკმა“ ფილარეტ დენისენკომ განაცხადა, რომ არ შეასრულებს „ახალი ეკლესიის“ ავტოკეფალიის შესახებ ტომოსის პირობებს, რომლებიც ეხება საეკლესიო სტრუქტურის იურისდიქციის შეზღუდვას, მირონის მოხარშვის აკრძალვას და კონსტანტინოპოლისთვის მიმართვას ყველა კონფლიქტის მოსაგვარებლად.**

კონსტანტინოპოლის პატრიარქმა **ბართოლომეოსმა** 6 იანვარს კიევს გადასცა ტომოსი „ახალი ეკლესიის“ ავტოკეფალიის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით, „ახალი ეკლესიის“ იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ უკრაინის ტერიტორიაზე, მას არ შეუძლია ეპისკოპოსების ხელდასხმა. ამას გარდა, არის სხვა შეზღუდვებიც, რომლებიც ახალ სტრუქტურას კონსტანტინოპოლზე დამოკიდებულს ხდის. **„ჩვენ უარს არ ვამბობთ ტომოსზე, მაგრამ არ შევასრულებთ იმ სამ პირობას (იურისდიქციის შეზღუდვა, მირონის მოხარშვის აკრძალვა და ყველა კონფლიქტის მოგვარება კონსტანტინოპოლის მეშვეობით), რომლებიც ჩაწერილია ტომოსში“,** — განუცხადა ფილარეტმა გამოცემა „ნოვოე ვრემიას“. მისი თქმით, არც ერთი ავტოკეფალიური ეკლესია, რომელმაც მიიღო ტომოსი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოდან, ასეთი პუნქტებით შეზღუდული არ არის. უკრაინის „ახალი ეკლესია“ ორი უკრაინული არაკანონიკური საეკლესიო სტრუქტურის შერწყმის შედეგად შეიქმნა კიევში გამართულ „გამაერთიანებელ კრებაზე“ 2018 წლის დეკემბერში.



ახალი „ავტოკეფალიური ეკლესიის“ მეთაურია „მიტროპოლიტი“ **ეპიფანე დუმენკო.** უკრაინის კანონიკურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი **ონოფრე,** უარი განაცხადა ამ ღონისძიებაში მონაწილეობაზე. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ კიევის „კრების“ კანონიკური მნიშვნელობა არად ჩააგდო, სხვა ეკლესიების მიერ ეპიფანეს აღიარების შესაძლებლობა კი შეუსრულებელი ამოცანაა.



# ერაყში 2003 წელს ამერიკელების შეჭრის შემდეგ ქრისტიანების რაოდენობა 83%-ით შემცირდა

**„ერაყის ერბილის არქიეპარქიის განცხადებით, დიდი ბრიტანეთი უარს ამბობს მისი უფლებების დაცვაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს თემი განადგურების ზღვარზეა“. — იუწყება BBC News-ი.**

მღვდელმსახურმა **ბაშარ ვარდამ** ლონდონში გამოსვლისას თქვა, რომ ერაყელი ქრისტიანები 1400-წლიანი დევნის შემდეგ დღეს გაქრობის ზღვარზე არიან. ერაყში 2003 წელს ამერიკელი სამხედროების შეჭრის შემდეგ მათი რაოდენობა 1,5 მილიონიდან 250 ათასამდე შემცირდა.

**„ქრისტიანობა ერაყში ერთ-ერთი ძველი ეკლესიაა, შეიძლება ყველაზე ძველიც და ის ახლოსაა გაქრობასთან. ისინი კი ვინც ჩვენგან გადარჩება, მზად უნდა იყვნენ ტანჯვისთვის“,** — განაცხადა ვარდამ. საფრთხეებს შორის მან გამოყო სხვადასხვა მიმდინარეობის ისლამისტი ექსტრემისტები. მღვდელმსახურმა ლონდონი დაადანაშაულა, რომ ამის შესახებ საჯაროდ არ განაცხადეს. მისი აზრით, ლონდონს ეშინია, რომ ისლამოფობიას დააბრალებენ.

ქრისტიანულმა ორგანიზაცია Open Doors-მა 2014 წელს განაცხადა, რომ ერაყი მეოთხე ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც ყველაზე ხშირად ირღვევა ქრისტიანთა უფლებები.

გვერდი მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„შეცდომად მიმაჩნია, რუსეთისა და სტალინის ქება-დიდების შესახებ ჩერჩილის სიტყვის გამოქვეყნება — ეს ჩერჩილს იმისთვის სჭირდება, რომ სინდისი (რომელიც სუფთა არ აქვს) დაიმშვიდოს და შენიღბოს თავისი მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი, კერძოდ, შენიღბოს ის ფაქტი, რომ სწორედ ჩერჩილი და მისი მოწაფეები ლეიბორისტული პარტიიდან არიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლისურ-ამერიკულ-ფრანგული ბლოკის ორგანიზატორები. ამჟამად ჩვენთან ბევრი პასუხისმგებელი მუშაკი გულუბრყვილოდ აღტაცებულია ჩერჩილების, ტრუმენებისა თუ ბირნსებისგან ქება-დიდების გაგონებაზე. ამგვარი განწყობა სახიფათოდ მიმაჩნია, რადგან საზღვარგარეთელი ფიგურების მიმართ მაამებლობას ამკვიდრებს ჩვენში“.**

# გავიცნოთ და ვისწავლოთ სტალინი

**სტალინის ფენომენზე ჩემი ხანგრძლივი მუშაობის განმავლობაში მკითხველს უამრავი შტრიხი მოვაწოდე მისი პორტრეტის შესაქმნელად. შტრიხები არამხოლოდ მის ფენომენურ პოლიტიკურ, სამხედრო, სამეცნიერო, საკონსტრუქტორო, არქიტექტურულ, მხატვრულ, მთარგმნელობით თუ პოეტურ გენიალურობაზე, არამედ მის ზებუნებრივ შრომისმოყვარეობასა და შინაგანი ფარული ხმის მიღების საიდუმლოებაზეც კი.**

## სტალინი — მონატრება თუ აუცილებლობა?

სტალინის ფენომენზე მომუშავე მეცნიერებმა პოსტსაბჭოთა სივრცესა თუ მსოფლიოს სხვადასხვა ინსტიტუტში ათასობით სქელტანიანი ტომი შექმნეს. ერთ-ერთმა, სტალინის ფენომენის შესწავლაზე თავშეწირულმა უცხოელმა მეცნიერმა მას ორასი სქელტანიანი ტომი მიუძღვნა. ბოლოს, როდესაც დაინახა, რომ სტალინის პიროვნებასა და შემოქმედებაზე წერას დასასრული არ უჩანდა, კვლევას თავი დაანება.

სტალინის მიერ გაკეთებული საქმეები და გიგანტური ნაბიჯები, რომლებიც სინამდვილედ ქცეული ფანტასტიკაა, მინდა, გავაანალიზო და გაგაცნოთ დასკვნა, რომლის კრებითი სახელი იქნება: „გავიცნოთ და ვისწავლოთ სტალინი“.

1935 წელს კრემლში სტალინთან სტუმრად დიდი ფრანგი ჰუმანისტი **რომენ როლანი** იმყოფებოდა. სტალინი მას დიდი გულისხმიერებითა და ქართული სტუმართმოყვარეობით შეხვდა. შეხვედრას პარტიული ჩინოსნები და ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები დაესწრნენ. სტალინთან შეხვედრის შემდეგ კრემლის კაბინეტიდან ბევრი უცხოელი ჟურნალისტი, სახელმოხვეჭილი სახელმწიფო მოღვაწე თუ საქვეყნოდ აღიარებული ჰუმანისტი ნირწამხდარი გამოსულა. ისინი სტალინის ძალისხმიერი პოლიტიკიდან გამომდინარე კი არ გამოსულან დამარცხებულები, არამედ სტალინის სიბრძნითა და კოსმოსური ხედვის მიუწვდომლობით. ბევრიც სპეციალური მომზადებით სწვევია სტალინს დასამარცხებლად, მაგრამ, როგორც ამერიკელი მეცნიერი, მწერალი და სოვეტოლოგი **ალექს დე იონგი** აღნიშნავს, **„ჩერჩილს ეგონა, რომ, როდესაც კრემლში სტალინს ეწვეოდა, მას თავის ნებას თავს მოახვევდა, მაგრამ მოხდა საპირისპირო რამ — ჩერჩილი სტალინის ნებისა და სურვილის შემსრულებლად იქცა“.**

რომენ როლანმა პირველივე წუთებიდანვე გამოიწვია ხალიჩაზე „დიქტატორი“ სტალინი და, როგორც დიდ ჰუმანიტს შეეფერება, პირველივე ილეთის ჩატარება სწორედ რეპრესიების მოშველიებით სცადა:

**— ნებისმიერი სახის რეპრესიები, რაოდენ კეთილ მიზანსაც უნდა ემსახურებოდეს, ბოროტებაა და კეთილსინდისიერებისგან შორს დგას.**

ჰუმანისტის ესოდენ გაბედულ შეტევას სტალინმა თავშეკავებით უპასუხა:

**— ვერ წარმოვიდგენდი, თუ მწერალი პოლიტიკოსთან პოლიტიკაზე პოლემიკაში დახარჯავდა დროს. ვფიქრობდი, გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა თქვენი შეხვედრა საბჭოთა კოლეგებთან, თუმცა გპირდებით, პაექრობის შემთხვევაში არ დაგინდობთ.**

— მე თქვენი თვალსაზრისი უფრო მაინტერესებს, ამხანაგო სტალინ.

— მაშინ უნდა მოგახსენოთ, რომ წმინდანთა სწავლება კარგია და სასარგებლოც, მაგრამ სახელმწიფოს მართვა სჭირდება და ამ დროს ბოროტებას ალვირი უნდა ამოსდო, ადამიანების გარკვეული ჯგუფის დაუსჯელობის შემთხვევაში, ზიანი ხალხს მიადგება. კარგია, როდესაც სულის გადარჩენას ლამობ, მაგრამ სხვაა, როცა, როგორც პოლიტიკოსი, ვალდებული ხარ, ადამიანთა სულსა და სხეულზე იზრუნო. განდეგილობა და ბერობა სხვადასხვა პასუხისმგებლობაა, მეფის ხელისუფლება — აბსოლუტურად სხვა.

ფრანგმა მწერალმა უკან არ დაიხია:

— მიზანი არ ამართლებს საშუალებას, ამხანაგო სტალინ.

სტალინმა უპასუხა:

— გული შეიძლება სხვას გკარნახობს და ადამიანად დარჩენას გთხოვს, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწე ხარ და ძალას პოულობ საკუთარ თავში, მოიქცე ისე, როგორც არასოდეს მოიქცევა ჩვეულებრივი მოქალაქე. იმისათვის, რომ ძლიერი სახელმწიფო გინდოდა, დესპოტს დაგიძახებენ. ეს ადვილი არ არის, სამაგიეროდ ბოროტება დაითრგუნება და პატიოსანი ადამიანი გაიხარებს. ბუნებრივია, გაგიჩნდებათ კითხვა: რომელი სიკეთის დასამკვიდრებლადაა საჭირო ეს, არსებობს კი ასეთი სიკეთე? – არსებობს, და ეს არის სახელმწიფო. ამიტომ, თუ ადამიანი გადაწყვეტს, პოლიტიკას მისდიოს, საკუთარი თავისთვის არაფერი უნდა აკეთოს. ყველაფერი სახელმწიფოსთვის — აი როგორი დევიზი უნდა ჰქონდეს მას. მეფე ტყუილად არ ატარებს ხმალს. ის უნდა აშინებდეს ბოროტმოქმედთ და ახალისებდეს ღირსეულთ.

როლანმა აღიარა, რომ სტალინთან პოლემიკაში იგი სასტიკად დამარცხდა. გარდა ამისა, საუბრის შემდეგ აღნიშნა:

**— მისი მყისიერი ანალიზის, შედარების, შესაძლებლობათა გამოთვლის არაემოციური და, ამასთანავე, ობიექტური მიდგომის უნარი გაკვირვებას იწვევს ჩემში. ის უდავოდ გენიოსია.**

სოჭის აგარაკზე სტალინმა თვალი მოჰკრა გაზეთ „პრავდა“-ში გამოქვეყნებულ ჩერჩილის სიტყვებს. ბრიტანეთის პრემიერი მეტისმეტად აქებდა წითელ არმიას და პანეგრიკს უძღვნიდა სტალინს: **„მე არ ძალმიძს, უდიდესი აღფრთოვანების გარდა სხვა რამეს განვიცდიდე ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანის, თავისი ქვეყნის მამის მიმართ, რომელიც მშვიდობიანობის პერიოდში განაგებდა ქვეყნის ბედს და გამარჯვებით დაიცვა იგი ომის პერიოდშიც“.**

იმავე დღეს სტალინმა დეპეშა გაგზავნა კრემლში ოთხეულის სახელზე:

**„შეცდომად მიმაჩნია, რუსეთისა და სტალინის ქება-დიდების შესახებ ჩერჩილის სიტყვის გამოქვეყნება — ეს ჩერჩილს იმისთვის სჭირდება, რომ სინდისი (რომელიც სუფთა არ აქვს) დაიმშვიდოს და შენიღბოს თავისი მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი, კერძოდ, შენიღბოს ის ფაქტი, რომ სწორედ ჩერჩილი და მისი მოწაფეები ლეიბორისტული პარტიიდან არიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინგლისურ-ამერიკულ-ფრანგული ბლოკის ორგანიზატორები. ამჟამად ჩვენთან ბევრი პასუხისმგებელი მუშაკი გულუბრყვილოდ აღტაცებულია ჩერჩილების, ტრუმენების თუ ბირნსებისგან ქება-დიდების გაგონებაზე. ამგვარი განწყობა სახიფათოდ მიმაჩნია, რადგან საზღვარგარეთელი ფიგურების მიმართ მაამებლობას ამკვიდრებს ჩვენში. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საბჭოთა ლიდერებს არაფრად სჭირდებათ უცხოეთის ლიდერების ქება, მე რაც შემეხება, ამგვარი ქება, უბრალოდ, მეჩოთირება კიდეც. ი. სტალინი“.**

ძვირფასო მკითხველო! რამით ჰგავს ზემოთ მოყვანილი მაგალითები იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც დღეს განაგებენ პოსტსაბჭოთა სივრცეს?

**მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ჰუმანისტმა რომენ როლანმა უკან წაიღო სტალინის მიმართ დასმული შეკითხვა რეპრესიების შესახებ და მას გენიოსი უწოდა. ჩვენ რატომ უნდა ვუწოდოთ მას უცოდინარი, მკვლელი და ტირანი?!**

იტალიის მშვენიერებითა და სიმდიდრით ყველაზე ცნობილ საზოგადოებრივი თავშეყრის დარბაზში **დუჩე მუსოლინის** პანოა გაკეთებული, დუჩე მუსოლონისა, რომელიც იტალიელმა ხალხმა ავტობუსების გაჩერებაზე ჩამოახრჩო საყვარელთან ერთად. ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში „დაცემულთა ველად“ წოდებულ სასაფლაოზე შემაღლებულ ადგილას ცამდე აწვდილი გიგანტური ჯვარი სრულიად ესპანეთს ამცნობს, რომ ამ ქრისტიანული სიმბოლოს ქვეშ ასვენია კატალონიის ჯალათად წოდებული **ფრანსისკო ფრანკოს** ნეშტი. აშშ-ის ერთმა გამომცემლობამ დასტამბა წიგნი სათაურით „ჰიტლერი — პლანეტის ყველაზე დიდი ადამიანი“.

მოსკოვში **ელცინის** უდიდესი მემორიალური მუზეუმია და ანდროპოვის ქუჩა, მაშინ, როდესაც არსად მოიხსენიება ბრეჟნევი, ჩერნენკო, სტალინი... ხოლო გარბაჩოვის საერთაშორისო ფონდი არსებობს, როგორც სახელმწიფოებრივი საგანძური.

როდესაც დამნაშავე მამის დასმენის გამო **პავლიკ მოროზოვის** სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენის ბრძანებულების პროექტი ხელმოსაწერად სტალინს შეუტანეს, მან წაიკითხა და განაცხადა: „მე ამ ბრძანებულებას ხელს არ მოვაწერ, ხელი სხვამ მოაწეროს. ისე, კარგი გარეწარი ყოფილა ეს თქვენი პავლიკა“.

ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა სამეცნიერო წიგნი „რუსეთის ისტორია“. ამ წიგნის დასაწერად გარდაქმნის პერიოდში საბჭოთა კავშირის „საიდუმლო“ და „სრულიად საიდუმლო“ მასალების „გასაცნობად“ არქივებში შეუშვეს 7 ინგლისელი და 6 ამერიკელი „მკვლევარი-ისტორიკოსი“. გარბაჩოვის მიერ დაქირავებული „მკვლევარ-ისტორიკოსები“ სიმართლეს ვერ გაექცნენ (სავარაუდოდ, ერთმანეთის შიშით) და იმ თავში, რომელშიც სტალინის ეპოქაზეა საუბარი, დაწერეს:



სტალინი და რომენ როლანი

**სტალინი — რომენ როლანს: «გული შეიძლება სხვას გკარნახობს და ადამიანად დარჩენას გთხოვს, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწე ხარ და ძალას პოულობ საკუთარ თავში, მოიქცე ისე, როგორც არასოდეს მოიქცევა ჩვეულებრივი მოქალაქე. იმისათვის, რომ ძლიერი სახელმწიფო გინდოდა, დესპოტს დაგიძახებენ. ეს ადვილი არ არის, სამაგიეროდ ბოროტება დაითრგუნება და პატიოსანი ადამიანი გაიხარებს. ბუნებრივია, გაგიჩნდებათ კითხვა — რომელი სიკეთის დასამკვიდრებლადაა საჭირო ეს, არსებობს კი ასეთი სიკეთე? — არსებობს და ეს არის სახელმწიფო. ამიტომ, თუ ადამიანი გადაწყვეტს პოლიტიკას მისდიოს, საკუთარი თავისთვის არაფერი უნდა აკეთოს. ყველაფერი სახელმწიფოსთვის — აი როგორი დევიზი უნდა ჰქონდეს მას. მეფე ტყუილად არ ატარებს ხმალს. ის უნდა აშინებდეს ბოროტმოქმედთ და ახალისებდეს ღირსეულთ»**

**„ვისაც იოსებ სტალინი მონსტრად მიაჩნია, ცდება. იგი პრინციპული ადამიანი იყო და გაცილებით ნაკლები დანაშაული მიუძღვის რეპრესიებში, ვიდრე მას მიაწერენ. თუ გამოვრიცხავთ ხრუშჩოვის მიერ გაყალბებულ დოკუმენტებს, ყოველგვარ პროპაგანდას, მითებსა და სენსაციებს, რეპრესირებულთა საერთო რაოდენობა 700 000 ადამიანს არ აღემატება“.**

მეცნიერი და ჟურნალისტი ლევ ონიკოვი წერს:

**„თავს შევიკავებდი სიტყვათა წყობის — „კომუნისტური დიქტატურა“ — გამოყენებისგან. უნდა შეიგნოთ, რომ სტალინი კომუნისტი არ იყო. სტალინი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ, რომლის მსგავსი, ალბათ, ათას წელიწადში ერთხელ იბადება. იგი ჩვეულებრივი ადამიანებისათვის მიუწვდომელი ნიჭისა და გონების პატრონი იყო,**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩემი მთავრობის დავალებით მივედი სტალინთან და ვუთხარი: თქვენს ქვეყანას ახლა ძალიან უჭირს, ჩვენ გავიტანთ კრემლიდან საგანძურის ნაწილს და გავგზავნით ამერიკაში. სანაცვლოდ ხუთი ხუთწლედის ფულს გადაგიხდით. სტალინმა შემომხედა, ძლივს დაიოკა რისხვა და გაღიზიანებულმა მითხრა: ბატონო ჰარიმან, გადაეცი თქვენს პრეზიდენტსა და თქვენ ხალხს, რომ მე რუსეთის ღირსებით არ ვვაჭრობ“. სტალინი, მით უმეტეს, არ ვაჭრობდა ქართული ღირსებითა და ქართული მიწებით. მან 1944 წელს პოლიტბიუროს სხდომაზე გაიტანა საკითხი და დადგენილებაც მიიღო მენშევიკების მიერ გატაცებული საქართველოს განძეულობის საქართველოში დაბრუნების თაობაზე და მოსთხოვა საგარეო საქმეთა სამინისტროს, დაეწყოთ ოფიციალური მოლაპარაკება განძის დაბრუნებაზე, რაც 1945 წლის გაზაფხულზე შესრულდა კიდეც.**

**სტალინმა საქართველოს ხელმძღვანელობას მოსთხოვა, სახალხო გმირის, გიორგი სააკაძის, თემაზე შექმნილი კინოსცენარი, რომლის მიხედვით სასწრაფოდ უნდა გადაეღოთ ფილმი. ქართველებმაც არ დააყოვნეს დავალების შესრულება და სტალინს წარუდგინეს გიორგი სააკაძის ფილმისთვის ორი კინოსცენარი: ერთი — გიორგი ლეონიძის რომანის მიხედვით შექმნილი, ხოლო მეორე — ანა ანტონოვსკაიასა და ჩორნის რომანის მიხედვით შექმნილი. სტალინმა ორივე სცენარი გულდასმით განიხილა და ისტორიის ღრმა ცოდნითა და კინოხელოვნების გათვალისწინებით, ორივე 1940 წლის 11 ოქტომბერს თავისი რეზოლუციით გაუგზავნა საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ბოლშაკოვს**

◀ **შემუშავებული ჰქონდა უდიდესი პოტენციალის მქონე, უზარმაზარი სახელმწიფოს მმართველობის დოქტრინა. 1944 წელს ყველა დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირი, როგორც ქვეყანა, გაქრებოდა მსოფლიოს რუკიდან, ხოლო 1945 წელს ფიქრი იმაზე გადავიდა, რომ დანგრეული რუსეთის აღდგენა 1965 წლამდე გაგრძელდებოდა, 1940 წლის დონეს რომ დაბრუნებოდა. ომში მონაწილე ქვეყნებს შორის საბჭოთა კავშირმა პირველმა მოხსნა მოსახლეობისთვის საბარათო სისტემა 1947 წელს. დიდმა ბრიტანეთმა კი მხოლოდ 1950 წელს შეძლო პურზე საბარათო სისტემის გაუქმება“.**

ამერიკის ელჩი რუსეთში **ავერელ ჰარიმანი** ომის შემდგომ თავის ჩანაწერებში იგონებს:

**„ჩემი მთავრობის დავალებით მივედი სტალინთან და ვუთხარი: თქვენს ქვეყანას ახლა ძალიან უჭირს, ჩვენ გავიტანთ კრემლიდან საგანძურის ნაწილს და გავგზავნით ამერიკაში, სანაცვლოდ, ხუთი ხუთწლედის ფულს გადაგიხდით (წარმოიდგინეთ, რამხელა თანხა იქნებოდა — გრ. ონიანი). სტალინმა შემომხედა, ძლივს დაიოკა რისხვა და გაღიზიანებულმა მითხრა: ბატონო ჰარიმან, გადაეცი თქვენს პრეზიდენტს და თქვენს ხალხს, რომ მე რუსეთის ღირსებით არ ვვაჭრობ“.**

**სტალინი, მით უმეტეს, არ ვაჭრობდა ქართული ღირსებითა და ქართული მიწებით. მან 1944 წელს პოლიტბიუროს სხდომაზე გაიტანა საკითხი და დადგენილებაც მიიღო მენშევიკების მიერ გატაცებული საქართველოს განძეულობის საქართველოში დაბრუნების თაობაზე და მოსთხოვა საგარეო საქმეთა სამინისტროს, დაეწყოთ ოფიციალური მოლაპარაკება განძის დაბრუნებაზე, რაც 1945 წლის გაზაფხულზე შესრულდა კიდეც.**

რა ხერხს არ მიმართა, როგორმე ომში ჩაეთრია თურქეთი, რათა ჰიტლერის დამარცხების შემთხვევაში, საქართველოს ისტორიული მტერი და მტანჯველი ოსმალეთი სისხლში ჩაეხრჩო და საქართველოს კუთვნილი მიტაცებული მიწების სანაცვლოდ ორმაგად აენაზღაურებინა თავისი სამშობლოს დანაკლისი.

სტალინის განზრახვა მხედველობიდან არ გამორჩა ჩერჩილს, რის გამოც ცდილობდა კავკასიაში ჯარის შემოყვანას, რათა ბათუმითა და ახალციხით დაინტერესებულ თურქეთს საბჭოთა კავშირისთვის ომი არ გამოეცხადებინა რასაც თურქეთის საბოლოო გაქრობა მოჰყვებოდა, როგორც სახელმწიფოსი. ჩერჩილის თხოვნა კავკასიაში ჯარების განლაგებაზე **ვიაჩესლავ მოლოტოვმა** სტალინს მოახსენა, რაც მოლოტოვის მიერ მწერალ **ჩუევისავის** მიცემულ ინტერვიუშია აღნიშნული:

**„სტალინმა შეუმჩნეველი ღიმილით ულვაშებზე ჩიბუხის ტარი გადაისვა და მომმართა: „გადაეცით ჩერჩილს, რომ კავკასიას ჩვენ დავიცავთ. თუ მათ ჩვენი დახმარება სურთ, ფრონტის ხაზი 2000 კილომეტრზეა გადაჭიმული“.** მოლოტოვმა მტკიცე უარი განუცხადა ჩერჩილს კავკასიაში ბრიტანული ჯარების შეყვანაზე. ნირწამხდარმა ჩერჩილმა 1941 წლის 8 ოქტომბერს ყველაზე კრიტიკულ მომენტში შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა ჯერ ბრიტანელ პოლიტიკოს **სტეფორდ კრიპსს,** შემდეგ კი ამერიკის პრეზიდენტს:

**„ვწუხვარ, რომ მოლოტოვი უარს ამბობს, ჩვენი ძალები გაგზავნილი იქნას კავკასიაში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა თურქეთი არ აჰყვეს გერმანიის მიერ რუსეთის ხარჯზე აღქმული ტერიტორიების გაფართოების ცდუნებას“.**

ჩერჩილის ეს წერილიც იმის უტყუარი დოკუმენტია, რომ სტალინს ნებისმიერ ფასად უნდოდა, თურქეთზე ჯავრი ეყარა. დღეს კი თავცარიელი ქართველები, დიდი თუ პატარა, გაიძახიან: რატომ არაფერი გაუკეთა სტალინმა საქართველოსო.

მოლოტოვის მიერ ჩერჩილის უარით გასტუმრების შემდეგ სტალინი ესაუბრა მოლოტოვს:

**„დიახ, ინგლისი და ამერიკა დაგვეხმარებიან, მაგრამ არა მანამდე, სანამ არ შეიქმნება შემდეგი სამი სიტუაცია: პირველი — როდესაც ჩვენ, როგორც სახელმწიფო, განადგურების პირას აღმოვჩნდებით... აი მაშინ კი გამოეშურებიან დასახმარებლად, რადგან შეეშინდებათ, რომ გამარჯვებული გერმანია მოინდომებს ინგლისის დაპყრობასაც; მეორე — როდესაც დაინახავენ, რომ სისხლისგან ვიცლებით და შეიძლება ზავზე დავთანხმდეთ, თუკი გერმანია შემოგვთავაზებს; რაც შეეხება მესამე სიტუაციას, მასზე ჯერ ადრეა ლაპარაკი. ეს მაშინ მოხდება, როცა წითელი არმია გაანადგურებს ჰიტლერის არმიას. მაშინ ინგლისი და ამერიკა მოაწყდებიან ევროპას, ერთი მხრივ, ფაშისტების გასანადგურებლად და, მეორე მხრივ, მათი უმთავრესი მიზანი იქნება, არსად, არც დასავლეთ და არც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, სოციალიზმი არ დაფუძნდეს“.**

1941 წლის ნოემბერში მტერი მოსკოვის მისადგომებთან იდგა და დიდ თეატრს ბომბავდა. ჩერჩილს არ გამოუთქვამს სურვილი, რომ ბრიტანული ჯარები მოსკოვის მისადგომებს დაიცავდნენ. მას მხოლოდ ის აწუხებდა, თურქეთი მომავალში არ დაზარალებულიყო საბჭოთა კავშირისგან. სტალინიც ზუსტად ხვდებოდა მოკავშირეთა ვერაგობას. საბჭოთა კავშირი 1941-42 წლებში არ დაიცალა სისხლისგან. ამით პირველი ეტაპი დამთავრდა და მეორე ფრონტიც არ გახსნილა, მაგრამ მოხდა სხვა რამ: 1942 წლის ბოლოს მოულოდნელად ჩაესვენა ფაშისტური გერმანიის საბჭოთა კავშირზე გამარჯვების მზე. სტალინის ქალაქში მტრის 300 ათასი ჯარისკაცი რკინის სალტეში მოექცა და ფელდმარშალი **პაულიუსი** ტყვედ აიყვანეს.

„ტყვედ აყვანილი და გმირულად დალუპული ფელდმარშალი პავლიუსის მდიდრულად მორთულ კუბოზე ბერლინში ჰიტლერმა ბრილიანტებით შემკული ფელდმარშლის ხმალი დადო და სიტყვა წარმოთქვა: „მხეცებთან ტყვედ ყოფნას ფელდმარშალმა მათთან თავგანწირული შებმა და სიკვდილი არჩია“. არადა, ამ დროს ოფიცრის ღირსებაშენარჩუნებული ფელდმარშალი პაულიუსი მოსკოვში წითელი არმიის შტაბში ინტელიგენტური მანერებით ეცნობოდა სტალინგრადის უკვე ჩატარებული ოპერაციის გეგმას.

**„ჩერჩილი და რუზველტი ყველანაირად ცდილობდნენ საბჭოეთის მმართველთან შეხვედრას. უამრავი შეთავაზებისა და თხოვნის შემდეგ სტალინი დათანხმდა, მოკავშირეებს თეირანში შეხვედროდა. ამერიკის პრეზიდენტი რუზველტი და სტალინი პირველად ხვდებოდნენ ერთმანეთს, ჩერჩილი და სტალინი კი — მესამედ. თავისი ქცევითა და ჩაცმულობით გამორჩეულ სტალინს თეირანში ჩასული ყველა პოლიტიკოსი და სამხედრო პირი განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდა. ბედნიერი იყო ის, ვისაც წილად ხვდებოდა, სტალინს მისალმებოდა თუ მასთან წუთიერად ესაუბრა. სხდომებზე ხომ ყველა სტალინს უყურებდა, საუბრობდა თუ არა ის“,** — იგონებს იმხანად სსრკ-ის წარმომადგენელი აშშ-ში, ხოლო მოგვიანებით საგარეო საქმეთა მინისტრი **ანდრეი გრომიკო.**

თეირანის კონფერენციის ყველა სხდომის მონაწილე იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი **კორდელ ჰალი,** რომელმაც თავის სამახსოვრო დღიურში ჩაწერა: **„სტალინი განსაცვიფრებელი პიროვნებაა. იგი იმ უიშვიათესი ხელმძღვანელთაგანია, რომლის მსგავსი აღარ ეყოლება მსოფლიოს უახლოესი 500 წლის განმავლობაში“.**

ჰიტლერის „ვახშმის საუბრებში“ შეხვდებით სახელმწიფოთა მეთაურების ჰიტლერისეულ შეფასებებს: **„რუზველტი — დამნაშავე, ნაძირალა, სულით ავადმყოფი; ჩერჩილი — ლოთი, გამყიდველი, მატყუარა, კვადრატული სიფათით, დაღებული პირით; სტალინი — მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფიგურა, გიგანტი, კოლოსალური პიროვნება; ჩერჩილი ტურაა, სტალინი – ვეფხვი“.**

1939 წელს სტალინმა, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გერმანიასთან ომი გარდაუვალი იყო, ხოლო სახელმწიფო არ იყო მზად ომისთვის, ახალ-ახალი იარაღის ათვისებასთან ერთად ქვეყანაში პატრიოტიზმის ასამაღლებლად ფართოდ გაშალა პროპაგანდისტული მოძრაობა. იქმნებოდა მხატვრული ნაწარმოებები, იდგმებოდა სხვადასხვა სახისა და ჟანრის პატრიოტული პიესები და სამშობლოსთვის თავდადების ამსახველი სპექტაკლები.

სტალინმა საქართველოს ხელმძღვანელობას მოსთხოვა, სახალხო გმირ **გიორგი სააკაძის** თემაზე შექმნილი კინოსცენარი, რომლის მიხედვითაც სასწრაფოდ უნდა გადაეღოთ ფილმი. ქართველებმაც არ დააყოვნეს დავალების შესრულება და სტალინს წარუდგინეს გიორგი სააკაძის ფილმისთვის ორი კინოსცენარი: ერთი — **გიორგი ლეონიძის** რომანის მიხედვით შექმნილი, ხოლო მეორე — **ანა ანტონოვსკაიასა** და **ჩორნის** რომანის მიხედვით შექმნილი. სტალინმა ორივე სცენარი გულდასმით განიხილა და ისტორიის ღრმა ცოდნითა და კინოხელოვნების გათვალისწინებით, ორივე 1940 წლის 11 ოქტომბერს თავისი რეზოლუციით გაუგზავნა საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე **ბოლშაკოვს.**

გთავაზობთ ამ წერილის სრულ ტექსტს:

„ამხანაგ ბოლშაკოვს!

ასლი ლეონიძეს, ასლი ანტონოვსკაიასა და ჩორნის!

ამ დღეებში მივიღე ორი სცენარი თემაზე „გიორგი სააკაძე“. ერთი ანტონოვსკაიასა და ჩორნის, მეორე — ლეონიძის. ჩემი აზრით, ლეონიძის სცენარი წარუმატებელია. იგი ღარიბია მხატვრულად. რამდენადმე პრიმიტიულია ისტორიული მასალის შერჩევისა და გამოყენების თვალსაზრისითაც. ანტონოვსკაიასა და ჩორნის სცენარი თავისუფალია ამგვარი ნაკლოვანებებისგან, მაგრამ მას აქვს სხვა ხარვეზი. იგი მთავრდება სააკაძის პოლიტიკის გამარჯვებით, აპოთეოზით. მაგრამ ასეთი ფინალი, როგორც ცნობილია, არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს და ქმნის ყალბ წარმოდგენას საქართველოს წარსულზე. სინამდვილეში, როგორც ისტორია მოგვითხრობს, სააკაძის პოლიტიკამ, თუმცა პროგრესულმა საქართველოს მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით, მარცხი განიცადა (ხოლო თვითონ სააკაძე დაიღუპა), რადგან სააკაძისდროინდელი საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ასეთი პოლიტიკისთვის ე.ი., მისი გაერთიანებისათვის ერთ სახელმწიფოდ სამეფო აბსოლუტიზმის განმტკიცებისა და თავადთა ხელისუფლების ლიკვიდაციის გზით. მიზეზი ნათელია: თავადები და ფეოდალები უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ხოლო მეფე და აზნაურები — სუსტნი, ვიდრე სააკაძე ფიქრობდა. სააკაძე გრძნობდა ამ შინაგან სისუსტეს და შეეცადა, დაეძლია იგი საქმეში გარეშე (უცხო) ძალის ჩართვით, მაგრამ საგარეო ფაქტორის ძალას არ შეეძლო ქვეყნის შინაგანი სისუსტის კომპენსაცია. როგორც ცნობილია, ეს ასე მოხდა. ამ გადაუჭრელი წინააღმდეგობების ვითარებაში სააკაძის პოლიტიკას უნდა განეცადა და კიდეც განიცადა დამარცხება. ვფიქრობ, ეს ისტორიული სიმართლე უნდა აღდგეს ანტონოვსკაიასა და ჩორნის სცენარში. და, თუკი აღდგენილი იქნება, ანტონოვსკაიასა და ჩორნის სცენარი შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად“.




კინოთეატრებში 1941 წელს გამოვიდა ფილმის პირველი სერია, რომელიც იმხანად უპოპულარულესმა ქართველმა კინორეჟისორმა **მიხეილ ჭიაურელმა** გადაიღო. გადაღების ყველა ეპიზოდი საჭირო მასობრივი სცენებით სტალინის უშუალო ბრძანებითა და დახმარებით იქნა შესრულებული. ფილმმა წამოუდგენელი ეფექტი გამოიღო. მეორე სერიის გადაღება 1942 წელს დასრულდა, მას პირდაპირი მინათებით სტალინგრადის შენობების ჩამონგრეულ კედლებზე აჩვენებდნენ, როგორც მომხვდურ მტერს, ისე საბჭოთა ჯარიკაცებს. სწორედ ეს ფილმი ჰქონდა წაღებული თეირანში სტალინს, რომელიც საზეიმოდ უჩვენა ჯერ რუზველტსა და ჩერჩილს, შემდეგ კი — თეირანში ჩასულ ყველა სტუმარს, აგრეთვე, მასპინძლებს.

ირანის ახალგაზრდა შაჰმა სტალინს შეჰბედა და სთხოვა, საბჭოთა კავშირს ირანისათვის დაეთმო შაჰ-აბასის როლის შემსრულებელი მსახიობი, რომელსაც ირანში ხელისგულზე ატარებდნენ. რა უპასუხა სტალინმა ირანის შაჰს, ამას შევიტყობთ, როდესაც გავეცნობით **აკაკი ვასაძის** მოგონებებს სტალინზე.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

უცხოეთი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ესტონეთის პრეზიდენტის შეხვედრა რფ-ის მეთაურთან ხელს შეუწყობს რუსული ტრანზიტის შენარჩუნებას ესტონეთის პორტების გავლით, ეს კი რუსულ ტვირთებს „ჩამოაცილებს" ლატვიის რკინიგზას. ეს რომ არ მოხდეს, ლატვიის ახალი პრეზიდენტი, ვინც უნდა გახდეს ის, კალიულაიდის მსგავსად, კრემლს უნდა ესტუმროს და გამართოს მოლაპარაკებები ვლადიმერ პუტინთან, რათა ლატვიის ეკონომიკამ თავიდან აიცილოს შესაძლო საფრთხეები.

# ლატვიის ხელისუფლებას ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისკენ მოუწოდებენ

**ლატვიის რკინიგზის ხელმძღვანელმა ედვინს ბერზინშმა ქვეყნის ხელისუფლებას მოუწოდა, მაგალითი აიღოს ესტონეთისგან და მოილაპარაკოს პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრაზე, სხვა შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა განადგურდება, — იუწყება რადიო Sputnik (ლატვია).**

ლატვიის სარკინიგზო კომპანია Latviias dzelzcels (LDz) ხელმძღვანელ **ედვინს ბერზინშს** მიაჩნია,რომ ეკონომიკა ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს. ქვეყნის „ხელისუფლებამ მაგალითი უნდა აიღოს ესტონეთის პრეზიდენტ **კერსტი კალიულაიდისგან,** რომელმაც მოიპოვა რუსეთის ლიდერ **ვლადიმერ პუტინთან** შეხვედრის უფლება", — განაცხადა ბერზინშმა, რომელიც შიშობს, რომ ესტონეთის პრეზიდენტის შეხვედრა რფ-ის მეთაურთან ხელს შეუწყობს რუსული ტრანზიტის შენარჩუნებას ესტონეთის პორტების გავლით, ეს კი რუსულ ტვირთებს „ჩამოაცილებს" ლატვიის რკინიგზას. ეს რომ არ მოხდეს, ლატვიის ახალი პრეზიდენტი, ვინც უნდა გახდეს ის, კალიულაიდის მსგავსად, კრემლს უნდა ესტუმროს და გამართოს მოლაპარაკებები ვლადიმერ პუტინთან, რათა ლატვიის ეკონომიკამ თავიდან აიცილოს შესაძლო საფრთხეები.

სახელმწიფოთაშორისი დიალოგი ხელს შეუწყობს ლოჯისტიკური სქემების ოპტიმიზაციასა და ეკონომიკის სტაბილურობას. ბერზინში ვარაუდობს, რომ რუსული ტვირთები ესტონეთის პორტებისა და ოქტომბრის სახელობის რკინიგზის ხაზის გავლით ლენინგრადის ოლქში გადაიზიდება. ამ სქემის რეალიზება სავსებით შესაძლებელია, თუ ბალტიისპირეთის ქვეყნების პირველი პირები შეხვდებიან ვლადიმერ პუტინს.

ეს კიდევ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ლატვიისა და ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნების კონკურენტი ფინეთი ხდება. ეს სახელმწიფო, ისევე, როგორც ლიტვა, შედის საბჭო 1520-ში — ორგანიზაციაში, რომელიც აერთიანებს რუსული სტანდარტის სარკინიგზო ხაზის მქონე ქვეყნებს. ფინელები თავიანთ სატრანზიტო სტრატეგიას აგებენ პრაგმატულად, მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით. აპრილის დასაწყისში რუსულმა „რუდ ლოგისტიკამ" ფინეთთან გააფორმა ხელშეკრულება გადაზიდვის სქემების შესახებ, რამაც ფინეთი ლატვიის სერიოზულ კონკურენტად აქცია. რუსოფობიური პოზიციის გამო ბალტიისპირეთის სახელმწიფოები რუსეთის სახით მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს კარგავენ. **მოსკოვში მიიღეს გადაწყვეტილება ალტერნატიული სატრანზიტო ქსელის განვითარებაზე, რომელსაც შეხება არ ექნება ბალტიისპირეთის ქვეყნების სატრანზიტო პუნქტებთან. ეს კი გამოიწვევს იმას, რომ ლატვიას რუსული ტრანზიტის დაკარგვის შემთხვევაში სხვა გზა არ დარჩება, თავისი პორტების ჯართში ჩაბარების გარდა.**


ედვინს ბერზინში



**მოსკოვში მიიღეს გადაწყვეტილება ალტერნატიული სატრანზიტო ქსელის განვითარებაზე, რომელსაც შეხება არ ექნება ბალტიისპირეთის ქვეყნების სატრანზიტო პუნქტებთან. ეს კი გამოიწვევს იმას, რომ ლატვიას რუსული ტრანზიტის დაკარგვის შემთხვევაში სხვა გზა არ დარჩება, თავისი პორტების ჯართში ჩაბარების გარდა**

**P.S. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პრაგმატული ბიზნესი ცდილობს, გავლენა იქონიოს „ევროპელი და ატლანტიკელი პარტნიორების" მკაცრ კონტროლში მოქცეულ პოლიტიკაზე. რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ამ „პარტნიორებს" ფეხებზე ჰკიდიათ როგორც ბალტიისპირეთი, ისე მისი ბიზნესი და იქ მცხოვრები ადამიანები.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# რა ბედი ელის კაპიტალიზმს გერმანიაში?

**გერმანიის პროფკავშირების თავმჯდომარე რაინერ ჰოფმანმა წამოაყენა წინადადება, რომ იმსჯელონ გერმანიის ეკონომიკის მოწყობაზე და, აგრეთვე, განიხილონ შემოსავლების სამართლიანად გადანაწილების საკითხი ქვეყანაში.**

მსოფლიოში მიმდინარე სწრაფი ცვლილებების ფონზე კაპიტალიზმის მომავლის განხილვა მოითხოვა გერმანიის პროფკავშირების ფედერაციის თავმჯდომარე **რაინერ ჰოფმანმა** გამოცემა Osnabrurer Zaitung-ისთვის („ოსნაბუკერ ცაიტუნგი") 11 მაისს მიცემულ ინტერვიუში.

როგორც გერმანიის პროფკავშირების თავმჯდომარემ აღნიშნა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფართის ლიდერ **კევინ კიუნერტის** განცხადება დიდი კონცერნების კოლექტივიზაციის აუცილებლობაზე თანამედროვე სოციალური პოლიტიკის მტკივნეულ წერტილში დარტყმის ტოლფასი იყო.

ჰოფმანის აზრით, ზოგიერთ სფეროში კაპიტალიზმი კონტროლს აღარ ექვემდებარება და ამიტომ საჭიროა, დაიწყოს დებატები კაპიტალიზმის მომავალზე, აგრეთვე, გერმანიის ეკონომიკის მოწყობის პრინციპებსა და ქვეყანაში შემოსავლების განაწილების საკითხზე.

ჰოფმანის თქმით, დავოსში ეკონომიკურ ფორუმზე თვით დიდი კონცერნების ხელმძღვანელებიც კი შეეცადნენ, ეპასუხათ კითხვაზე, როგორი იქნება კაპიტალიზმის მომავალი. **გერმანიის პროფკავშირების ხელმძღვანელმა მოიყვანა ეკონომიკური კვლევების გერმანიის ინსტიტუტის მონაცემები, რომ 1991-2016 წლებში გერმანიის ყველაზე მდიდარი ადამიანების 10%-ის შემოსავალმა 35%-ით მოიმატა. ამასთანავე, იმავე პერიოდში ყველაზე ღარიბი ადამიანების 10%-ის შემოსავალი 8%-ით შემცირდა.**

„მოცემული ვითარება მოითხოვს სერიოზულ დისკუსიებს სოციალურ-ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისა და შემოსავლების სამართლიანად გადანაწილების შესახებ", — აღნიშნა ჰოფმანმა და დასძინა, რომ ზოგიერთ ადგილას კაპიტალიზმი „ნაკერებზე ირღვევა", ამიტომ აუცილებელია, დაისვას კითხვა — როგორ დავიცვათ სოციალური თანასწორობა მსოფლიოში მიმდინარე სწრაფი ცვლილებების ფონზე?

2019 წლის 2 მაისს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის მეთაურმა კევინ კიუნერტმა რამდენიმე სოციალისტური თეზისი წარმოთქვა. კერძოდ, მან წამოაყენა წინადადება, საავტომობილო კონცერნი BMW გადაკეთდეს კოოპერატივად, რათა მის თანამშრომლებს შორის უზრუნველყოფილი იყოს შემოსავლების უფრო სამართლიანი განაწილება.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**






**2019 წლის 2 მაისს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ფრთის მეთაურმა კევინ კიუნერტმა რამდენიმე სოციალისტური თეზისი წარმოთქვა. კერძოდ, მან წამოაყენა წინადადება, საავტომობილო კონცერნი BMW გადაკეთდეს კოოპერატივად, რათა მის თანამშრომლებს შორის უზრუნველყოფილი იყოს შემოსავლების უფრო სამართლიანი განაწილება**

ყაზახეთს განსაკუთრებული ადგილი უკავია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალმა სახელმწიფომ აირჩია საკმაოდ ორიგინალური მრავალვექტორული პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და ერთვნებათშორისი სტაბილურობის შენარჩუნებისკენ. საბოლოო ჯამში, ყაზახეთმა, რომელსაც საერთაშორისო პოლიტიკოსები და ექსპერტები დაშლასა და გაპარტახებას უწინასწარმეტყველებდნენ, დამაჯერებლად შეაბიჯა მსოფლიოს კონკურენტული სახელმწიფოების რიგებში.

პოსტსაბჭოთა სივრცე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არის ტოკაევი ყაზახეთის საპრეზიდენტო არჩევნების ფავორიტი

**ყაზახეთის პირველი პრეზიდენტის, ცოცხალი ლეგენდის — ნურსულთან ნაზარბაევის გადადგომის შემდეგ მმართველობის სადავეები, კონსტიტუციის თანახმად, გადავიდა პარლამენტის სენატის სპიკერ ყასიმ-ჟომარტ ტოკაევის ხელში, რომელმაც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები 2019 წლის 9 ივნისს დანიშნა. ბატონი ტოკაევი, ყველა მონაცემით, მომავალი არჩევნების რეალური გამარჯვებულია, მაგრამ რით არის განპირობებული ამგვარი პერსპექტივა? შევეცდებით, ვითარება სწორედ ამ კონტექსტში გავაანალიზოთ.**

ყაზახეთს განსაკუთრებული ადგილი უკავია პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს შორის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალმა სახელმწიფომ აირჩია საკმაოდ ორიგინალური მრავალვექტორული პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნებათშორისი სტაბილურობის შენარჩუნებისკენ. საბოლოო ჯამში, ყაზახეთმა, რომელსაც საერთაშორისო პოლიტიკოსები და ექსპერტები დაშლასა და გაპარტახებას უწინასწარმეტყველებდნენ, დამაჯერებლად შეაბიჯა მსოფლიოს კონკურენტული სახელმწიფოების კატეგორიაში. დსთ-ში თავისი ბევრი „კოლეგისგან" განსხვავებით, ყაზახეთმა წარმატებით აარიდა თავი სამოქალაქო ომებს, ეროვნული და რელიგიური შეუწყნარებლობის გაღვივებას, ისევე, როგორც „ფერადი რევოლუციების" სცენარებს. პერიოდულად იყო მცდელობები, როგორც ოპოზიციის, ისე ექსტრემისტული ორგანიზაციების მხრიდან, ქვეყნის შიგნით ვითარება აერიათ, მაგრამ ყოველი ასეთი მცდელობა ჯეროვნად იქნა აღკვეთილი სპეცსამსახურების მიერ.

ყაზახეთის მიმართ ხშირად გაისმოდა პრეტენზია, რომ ამ ქვეყანაში უმაღლესი ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში არ იცვლებოდა. ნურსულთან ნაზარბაევს პრეზიდენტის პოსტი დამოუკიდებლობის თითქმის მთლიან მონაკვეთზე ეკავა, ეს კი დაახლოებით 30 წელია. ოპოზიციური მასმედია ხატოვნად აღწერდა ოპერაცია „მემკვიდრის" სცენარებს, თვით მონარქიულსაც კი. ანალიტიკოსები აკეთებდნენ არასახარბიელო პროგნოზებს იმაზე, თუ რა იქნება, როდესაც ერის ლიდერი ელბასი (ნაზარბაევის ოფიციალური, კანონმდებლობაში არსებული სტატუსი) ფიზიკურად ველარ შეძლებს ქვეყნის მართვას, მაგრამ ასეთი მოლოდინი არ გამართლდა. პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს შორის უფლებამოსილებების გადანაწილებისკენ მიმართული უსერიოზულესი რეფორმის განხორციელების შემდეგ, ნაზარბაევმა თვითონ დაიწყო ხელისუფლების თანდათანობით გადაცემის პროცესი, თანაც მაქსიმალურად დემოკრატიული გზით — საპრეზიდენტო არჩევნებით.

მოწოდებას პირველად სამოქალაქო საზოგადოება გამოეხმაურა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 22 აპრილს შევიდა საპრეზიდენტო კანდიდატ **სადიბეკ ტუგელის** განაცხადი. ცესკოში ეს პირველი ასეთი განაცხადი იყო. ტუგელის კანდიდატურა წამოაყენა რესპუბლიკურმა მოძრაობა „ული დალა კირანდარიმ", თვითონ ეს პიროვნება კი გახლავთ ჟურნალისტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, ასევე, ეროვნული სპორტის სახეობების პროპაგანდისტი.

ტუგელის კოლეგა, ასევე საზოგადო მოღვაწე და ჟურნალისტი, ექს-პრემიერმინისტრ **აკეჟან კაჟიგელდინის** ყოფილი პრესმდივანი **ამირჟან კოსანოვი** პრეზიდენტობის კანდიდატად კიდევ ერთმა ოპოზიციურმა ძალა „ულტ ტაგდირიმ" დააყენა. სამოქალაქო საზოგადოების მესამე წარმომადგენელი არის ყაზახეთის პროფკავშირების ფედერაციიდან, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი **ამანგელდი ტასპიხოვი.**

მომავალმა არჩევნებმა გამოიწვია ყაზახეთის პარტიული ლანდშაფტის აშკარა გამოცოცხლება. ნურ-სულთანში (ყოფილი ასტანა) ჩატარდა რიგგარეშე ყრილობების სერიები. მთავარ საკითხად განიხილებოდა კანდიდატების დასახელება. გააქტიურდა თვით ყველაზე პასიური პარტია „აუილი". ამ პარტიამ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა **ტოლეუტაი რახიმბეკოვი** — პედაგოგი, პროფესორი, უწინ ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

„პარტიის გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღოს პრეზიდენტის არჩევნებში, პირველ ყოვლისა, განპირობებულია სწრაფვით, კვლავ განვაცხადოთ ჩვენთვის პარტიის წესდებასა და პროგრამაში ჩამოყალიბებული მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების აუცილებლობის შესახებ" — ასაბუთებს თავისი პარტიის, „აუილის" პოზიციას მისი ლიდერი **ალი ბეკეტაევი.** „შემდეგი მიზანი არის ის, რომ ვაჩვენოთ ხალხს, ჩვენი პარტია წარმოადგენს ქმედითუნარიან, ხალხისგან შემდგარ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც გრძნობს ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას და მზად არის, მონაწილეობა მიიღოს ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებში", — აღნიშნა ბეკეტაევმა. ყაზახეთის „ლეგალური ოპოზიცია", სოციალ-დემოკრატიული პარტია, თავდაპირველად აპირებდა ჟურნალისტისა და საზოგადო მოღვაწის — **ერმურატ ბაპის** დასახელებას, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, ასევე გადაიფიქრა არჩევნებში მონაწილეობაც.

საპარლამენტო პარტიებიდან ორიგინალურობით გამოიჩინა თავი პარტია „აკ ჟოლმა", რომელმაც საპრეზიდენტო სავარძლის პრეტენდენტად პარლამენტის ქვედა პალატის — მაჟილისის — დეპუტატი **დანია ესპაევა** გამოაცხადა. ესპაევა ერთადერთი ქალბატონია საპრეზიდენტო მარათონში. არადა, ანალიტიკოსები ფიქრობდნენ, რომ „აკ ჟოლი" კანდიდატად პარტიის ლიდერ **აზატ პერუაშევს** წამოაყენებდა, მაგრამ ეს



ნურსულთან ნაზარბაევი (მარცხნივ) და ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი

**პრეზიდენტს, მთავრობასა და პარლამენტს შორის უფლებამოსილებების გადანაწილებისკენ მიმართული უსერიოზულესი რეფორმის განხორციელების შემდეგ, ნაზარბაევმა თვითონ დაიწყო ხელისუფლების თანდათანობით გადაცემის პროცესი, თანაც მაქსიმალურად დემოკრატიული გზით — საპრეზიდენტო არჩევნებით**



ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეზიდენცია ნურ-სულთანში

პროგნოზი არ გამართლდა, ვინაიდან პერუაშევმა ნებაყოფლობით უარი განაცხადა.

„ჩვენ თავიდან უნდა ავირიდოთ სიტუაცია, როდესაც პარტია და პარტიის ხელმძღვანელი ერთი და იმავეს ნიშნავს, — განაცხადა მან. — არა, პარტია „აკ ჟოლი" გაცილებით მეტია, ვიდრე პარუაშევი. ჩვენ ბევრი ღირსეული ადამიანი გვყავს. კონკურენციის გარეშე ვერც ეკონომიკა და ვერც პოლიტიკა განვითარდება. თუკი გვსურს პარტიის განვითარება, უნდა წავახალისოთ კონკურენცია, გზა გავუხსნათ ახალ სახეებს".

„აკ ჟოლის" კიდევ ერთი წარმომადგენელი **ტალგატ ერგალიევი** აცხადებდა პრეტენზიას საპრეზიდენტო კანდიდატობაზე, მაგრამ პარტიელებმა ესპაევა ამჯობინეს. ერგალიევი კი „ყაზახეთის მშენებლების კავშირმა" დაასახელა.

ყაზახეთის კომუნისტური სახალხო პარტია გაკვალული გზით წავიდა. მათი კანდიდატი, მაჟილისის დეპუტატი **ჟამბილ ახმეტბეკოვი** მონაწილეობდა 2011 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და მესამე ადგილიც დაიკავა.

მმართველმა პარტია „ნურ ოტანმა" ერთხმად დაასახელა **ყასიმ-ჟომარტ ტოკაევის** კანდიდატურა. მისი სახელი თვით ნურსულთან ნაზარბაევმა გამოაცხადა, რომელიც თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ პოლიტიკა არ დაუტოვებია.

„ყასიმ-ჟომარტ ტოკაევი დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან მუშაობდა ჩემთან ერთად, სრულიად სხვადასხვა მონაკვეთზე", — განაცხადა ერის ლიდერმა. მოგიწოდებთ, პრეზიდენტად ავირჩიოთ ტოკაევი და მხარი დავუჭიროთ მას".

ნაზარბაევის ამ განცხადებას ისეთი დიდი და ემოციური მხარდაჭერა მოჰყვა, რომ ელბასიმ გაიხუმრა კიდეც: თითქოს ახალ პრეზიდენტს ვირჩევთ, მაგრამ ასე გამოდის, ისევ მე მირჩევთო... თუმცა, როგორც იტყვიან, ყველა ხუმრობაში არის სიმართლის მარცვალი. ტოკაევმა ხალხს აღუთქვა პირველი პრეზიდენტის სტრატეგიული კურსის გაგრძელება, რაც ყაზახეთის ყოველმხრივ განვითარებას ნიშნავს. თვითონ ტოკაევი მკაფიოდ ამბობს: „ჩემს ამოცანას ვხედავ ჩვენი ლიდერის მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფაში".

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მოცემულ მომენტში ეს არის ყველაზე მომგებიანი საარჩევნო სტრატეგია. თუკი სხვა კანდიდატები პოპულისტური მოსაზრებებით ხალხს სთავაზობენ საგადასახადო სისტემის შეცვლას, სოციალური რეფორმების გატარებას ან დევალვაციის „გაუქმებას", ტოკაევმა უშეცდომოდ აირჩია ის, რაც მთელი ყაზახეთის მოსახლეობისთვის მთავარია — მშვიდობა და სტაბილურობა.

გაგება ყაზახეთის მოქალაქეებისა, რომლებიც წლიდან წლამდე პირველი პრეზიდენტის კურსის სასარგებლოდ აძლევენ ხმას არჩევნებზე, შეიძლება. მით უფრო, რომ არსებობს ყაზახეთის მეზობლების მაგალითები, როდესაც „ღირსების რევოლუციები" ძალზე იოლად და სწრაფად გარდაისახება „ნაკლოვანებების კონსერვაციად". მიუხედავად ყველა პრობლემისა და არსებული სისტემის ხარვეზებისა, ყაზახეთი რჩება პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიდერად. გამომდინარე აქედან, ხალხი ფიქრობს, რომ რეფორმატორის იმიჯით მოსული პოლიტიკოსი ვერ შეინარჩუნებს მიღწეულ წარმატებებს ჯეროვან დონეზე.

საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ ტოკაევი არის საპრეზიდენტო მარათონის ბუნებრივი ფავორიტი, რადგან ყაზახეთის მომავლის მისეული გეგმები შეესაბამება ხალხის ინტერესებს. სწორედ ეს არის დემოკრატია — ხალხის ინტერესების განხორციელება.

**გულბაათ რცხილაძე**

ეს არ უნდა განმეორდეს
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანდათან აშკარა იყო, რომ ომი ფაშისტების დამარცხებით მთავრდებოდა და, აქედან გამომდინარე, სკორცენის ამოცანებიც იცვლებოდა. გერმანიის ქალაქები ნანგრევებად იქცა, აღმოსავლეთიდან მოიწევდნენ საბჭოთა ჯარები, მოკავშირეები — ამერიკელები, ბრიტანელები და ფრანგები — დასავლეთიდან და სამხრეთიდან უტევდნენ. გერმანიის კისერზე მოჭერილი ყულფი თანდათან ვიწროვდებოდა. რაიხის კრახი გარდუვალი იყო.**

# ნაცისტური ჯიჰადი

**ანალიტიკოსების აზრით, თანამედროვე ტერაქტები სათავეს ნაცისტური ინსტრუქციებიდან იღებს. ჰიმლერმა, გერინგმა, გებელსმა და მათმა თანამზრახველებმა იცოდნენ, რომ ომის წარმოება ცენტრალური სარდლობის გარეშეც იყო შესაძლებელი. ტერაქტების არსი სწორედ ეს არის. ახალი, გამაოგნებელი მონაცემებით აშკარავდება, რომ ნაცისტები მოთარეშეებს, იმავე „ბოევიკებს" ახლო აღმოსავლეთში ამ იდეის გარშემო რაზმავდნენ.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №18, 2019 წ.


ოტო სკორცენი და ადოლფ ჰიტლერი




1943 წლის სექტემბერში **ბენიტო მუსოლინი** იჯდა ციხეში, რომელიც მთიან ადგილას იყო აგებული. იგი მისმა სამხედროებმა დააპატიმრეს. **ოტო სკორცენი** სათავეში ჩაუდგა 80 დივერსანტისგან შემდგარ ჯგუფს მუსოლინის გათავისუფლების ოპერაცის განსახორციელებლად.

და გაათავისუფლა კიდეც. ეს იყო გაბედული ოპერაცია, რომელსაც ნაცისტური პროპაგანდა აქებდა და ადიდებდა. და ჰიტლერმაც სათანადოდ შეაფასა იგი. **სკორცენი ისეთი ოპერაციების უბადლო შემსრულებელი გახდა, რომლებსაც დღეს ტერორისტულ აქტებს უწოდებენ.**

1944 წლის ოქტომბერში სკორცენი კვლავ შეაქეს. უნგრეთის დიქტატორი **მიკლოშ ჰორტი** აპირებდა, ჩაბარებოდა საბჭოელებს, მაგრამ სკორცენიმ მოიტაცა დიქტატორის ვაჟი. შვილი რომ გადაერჩინა, ჰორტი იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო და თავისი უფლება-მოვალეობანი პროგერმანელი ხელმძღვანელისთვის გადაეცა. ჩაბარების შესახებ მოლაპარაკება ჩაიშალა. ამ წარმატებული ოპერაციის შესახებ ყველა გაზეთი აყვირდა.

ოტო სკორცენი გერმანიის ღირსშესანიშნაობა იყო. პროპაგანდისტული მანქანა მას უშიშარ გმირად წარმოსახავდა, უნაკლო არიელად და ამას ისეთი მონდომებით აკეთებდა, რომ მის სახეზე ნაჭრილობევსაც კი (რომელიც ხმლებით დუელის შედეგად დარჩა) რეტუშით ფარავდა.

ცოტა ვინმე თუ მოიძებნებოდა, ვინც ნაცისტური პარტიისა და თვით ჰიტლერის მიმართ მასავით ერთგული იქნებოდა. ფანატიკოსი იყო, მაგრამ უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი იყო მონსტრი.

**თანდათან აშკარავდებოდა, რომ ომი ფაშისტების დამარცხებით მთავრდებოდა და, აქედან გამომდინარე, სკორცენის ამოცანებიც იცვლებოდა. გერმანიის ქალაქები ნანგრევებად იქცა, აღმოსავლეთიდან მოიწევდნენ საბჭოთა ჯარები, მოკავშირეები — ამერიკელები, ბრიტანელები და ფრანგები — დასავლეთიდან და სამხრეთიდან უტევდნენ. გერმანიის კისერზე მოჭერილი ყულფი თანდათან ვიწროვდებოდა. რაიხის კრახი გარდაუვალი იყო.**

შექმნილ ვითარებაში ჰიმლერმა სკორცენის საბრძოლო მოქმედების ახალი სახეობების შემუშავება დაავალა. ასეთ მოქმედებას სჭირდებოდა ფანატიკურად თავგადადებული ჯარისკაცები, რომელთაც ქაოსის შექმნისა და ადამიანების დაშინების უნარი შესწევდათ.

სკორცენიმ დაივიწყა საბრძოლო მოქმედების კლასიკური წესები და შექმნა ნაცისტიტერორისტების მობილური დანაყოფები სახელწოდებით „ვერვოლფი". ეს იყო მცირე პარტიზანული ჯგუფები, და-


დანგრეული გერმანია

კომპლექტებული წინააღმდეგობის გაწვრთნილი მებრძოლებით, დივერსანტებით. მოკავშირეთა შეტევაზე გადმოსული ჯარის ნაწილებში მათ უნდა შეეტანათ არეულობა, დაეთესათ პანიკა და მოეხდინათ ფსიქოლოგიური ზემოქმედება.

მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, მიყრუებულ ტყეებში მიმოფანტული იქნებოდა 5-6-კაციანი ჯგუფები, რომლებიც დროდადრო თავს დაესხმოდნენ მტრის სამხედრო შენაერთებს. სკორცენიმ წამოაყენა პარტიზანული ჯგუფების იდეა, რომლებიც იმოქმედებდნენ იზოლირებულად, სარდლობასთან შეუთანხმებლად, ერთიანი ცენტრისგან დამოუკიდებლად. მათ იცოდნენ, რომ **გერინგს, ჰიმლერს, გებელსს, ჰიტლერის** ჩათვლით, ომის დამთავრების დროისთვის ან სიცოცხლეს გამოასალმებდნენ, ან ციხეში ჩასვამდნენ. მაშასადამე, ბრძოლის გაგრძელება ცენტრალური სარდლობის გარეშე მოუწევდათ. ეს კი უკვე ტერორისტულ ჯგუფებად აქცევდა მათ, რომლებსაც დამოუკიდებლად უნდა ემოქმედათ.

**ე.წ. ვირთხების ბილიკების გამოყენებით, სკორცენიმ ასობით საშიში ნაცისტი უსაფრთხო ადგილებზე გადაიყვანა მოკავშირეების გვერდის ავლით ადოლფ ეიხმანის, გესტაპოს შეფ ჰენრიხ მიულერისა და დოქტორ ალბერტ ჰეიმის ჩათვლით, რომლებსაც მოკავშირეები დიდი მონდომებით ეძებდნენ. სკორცენი მათ გაპარებას იმ ფულისა და ძვირფასეულის გამოყენებით აპირებდა, რომლებიც ომის დროს ყალბი დოკუმენტების დასამზადებლად და მოხელეთა მოსასყიდად იყო შეგროვებული. იგი, როგორც მაფიის ბოსი, თავის ორგანიზაციას ციხის საკნიდანაც ხელმძღვანელობდა**

**ჰიურჰლაჰტის სასახლეში, ერკელენსის მახლობლად სკორცენი და მისი თანაშემწეები წვრთნიდნენ „ვერვოლფის" გუნდის ტერორისტებს. სკორცენიმ 400-მდე დივერსანტი მოამზადა და მიაჩნდა, რომ ეს რაოდენობა საკმარისი იქნებოდა გერმანიასა და ავსტრიაში პარტიზანული ომის საწარმოებლად მოწინააღმდეგის შემოჭრიდან ერთი წლის ან მეტი დროის განმავლობაში.**

სკორცენის განკარგულებაში გამოცდილი მებრძოლები ცოტანი იყვნენ, მაგრამ იგი მალევე მიხვდა, რომ ახალგაზრდა ჯარისკაცებით მანიპულირება გაცილებით იოლია. ისინი უმთავრესად ჰიტლერიუგენდიდან იყვნენ. მათგან ორმაგი სარგებლის მიღება შეიძლებოდა. პირველი — ისინი ბევრნი იყვნენ და ყველგან შეიძლებოდა მათი პოვნა. მეორე — მათი მართვა ადვილი იყო. გაცხელებულთავიანი ჭაბუკების ფანატიკოსებად აღზრდა იოლი იყო. სკორცენიმ შექმნა დივერსიების მოწყობის სახელმძღვანელო, რომელსაც მოსახლეობაში ავრცელებდნენ. ეს არის ტერორიზმის საკითხებში პირველი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ასწავლიდა, როგორ უნდა დაენგრიათ მოწინააღმდეგის ინფრასტრუქტურა, მოესპოთ საწვავის შესანახი ბაზები და როგორ უნდა გაებათ როიალის სიმები მნიშვნელოვანი გზატკეცილების გარდიგარდმო მოწინააღმდეგის შიკრიკების თავების წასაცლელად.

სკორცენიმ იცოდა, რომ მას აღარ ექნებოდა ვერმახტის იარაღი, რომლითაც აქამდე იყო აღჭურვილი — ტყვიამფრქვევები, ქვემეხები, ნაღმსარტყორცნები და რომ მოუწევდა პარტიზანული მოქმედება არცთუ იშვიათად კუსტარულად დამზადებული იარაღით.

მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რასაც უპირველესად ასწავლიდა — ყოფილიყვნენ უჩინარნი, გათქვეფილიყვნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, ლტოლვილთა შორის. მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზი ჩვეულებრივ მოქალაქეებად შენიღბულებს უნდა გადაელახათ და ეცხოვრათ, როგორც რიგით გერმანელებს.

**1945 წლის აპრილში ამერიკელებმა დაატყვევეს სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც გვირაბში იმალებოდნენ. ეს მიწისქვეშა სივრცე სავსე იყო იარაღითა და საკვების დიდი მარაგით. ახალგაზრდებს სამოქალაქო ტანსაცმელი ემოსათ და აცხადებდნენ, რომ „ვერვოლფელები" არიან.**

„სამხედრო რადიო" რეგულარულად შეახსენებდა ამერიკელ ჯარისკაცებს, რომ გარეგნულად კეთილგანწყობილი ადგილობრივები შეიძლება ფარული დივერსანტები ყოფილიყვნენ. სხვის ტერიტორიაზე ვერ გაარკვევ, ვინ გაგიწევს წინააღმდეგობას და ვინ — არა.


ლტოლვილები

გასაიდუმლოებული მოწინააღმდეგე ჩვეულებრივად არ არის ორგანიზებული და ამიტომ მისი განადგურება ადვილი არ არის.

ისევე, როგორც **ალ-ჰუსეინი** ზომიერ პალესტინელებს ომამდე კლავდა, „ვერვოლფელები" ატერორებდნენ გერმანელებს, რომლებიც საოკუპაციო ჯარებთან თანამშრომლობდნენ.

1945 წლის მარტში „ვერვოლფის" ხუთმა მებრძოლმა, რომლებიც მოკავშირეების მიერ დაკავებულ ახენში იყვნენ გადასროლილნი, მოკლეს ქალაქის მერი იმიტომ, რომ მან ეს თანამდებობა ამერიკელების დროს დაიკავა. ეს ფაქტი საკმაოდ გახმაურებულია, მაგრამ ამ შემთხვევის გარდა იყო ათობით სხვა მკვლელობა, როცა ილუპებოდნენ პატარა ქალაქების მერები, ადგილობრივი აქტივისტები და ა.შ.

პროპაგანდის სამმართველოს ხელმძღვანელი გებელსი მალე მიხვდა, რომ „ვერვოლფის" ხსენებაც კი უკვე იარაღი იყო.

1945 წელს ამუშავდა „ვერვოლფის" რადიოსადგური იმ მიზნით, რომ ადგილობრივ მოქალაქეებს, რომლებიც შეიტყობდნენ ტერორისტების მიერ მოწყობილი აქციების შესახებ, გაევრცელებინათ ეს ცნობები მოკავშირეთა ჯარისკაცებში. ეს იყო სახელმწიფო პროპაგანდისა და გამოცდილი პარტიზანების ტაქტიკის ერთგვარი შენადნობი და „ვერვოლფის" დაჯგუფების ორიგინალობაც ამით გამოიხატებოდა.

**შიში, რომელსაც ისინი საოკუპაციო ჯარში თესავდნენ, საპასუხო რეაქციას იწვევდა წესების გამწვავების თვალსაზრისით და იქაურ მოქალაქეებს განმათავისუფლებლების წინააღმდეგ განაწყობდა.**

ასეთ ვითარებაში ბრიტანელები და ამერიკელები იძულებულნი იყვნენ, გამოეცხადებინათ კომენდანტის საათი მათ მიერ დაკავებულ ქალაქებში და მაცხოვრებელთათვის აეკრძალათ 8 კი- ▶


ჰიურჰლაჰტის სასახლე


დატყვევებული სამხედრო მოსამსახურეები

# 1956 წლის ივნისში რევოლუციამ საბოლოოდ გააძევა ბრიტანული ჯარი ეგვიპტიდან. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ჰიტლერის თაყვანისმცემელი გამალ აბდელ ნასერი. ოტო სკორცენმა, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე საშიშ ნაცისტს უწოდებდნენ, ისარგებლა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებით და ახალი პრეზიდენტის სამხედრო მრჩევლად დაინიშნა.

ეს არ უნდა დავივიწყოთ
ეს არ უნდა განმეორდეს
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


„ვერვოლფის“ რადიოსადგური

◀ ლომეტრზე მეტად თავიანთ სახლ-კარს დაცილება. ყველა მსგავსი ღონისძიება ძირითადად „ვერვოფელთა“ გააქტიურების შიშით იყო გამოწვეული და, რა თქმა უნდა, აძლიერებდა გაუცხოების მუხტს დაპყრობილი ზონების მოქალაქეებსა და ოკუპანტებს შორის.

**ოტო სკორცენიმ პარტიზანული ომი საგანგებოდ გაახრებულ და მომზადებულ პროფესიულ ტერორიზმად გარდაქმნა. მის მიერ განხორციელებული ოპერაციები ჯეიმს ბონდზე დაწერილი წიგნებისა და გადაღებული ფილმების საფუძველი შეიქნა.**

„ვერვოლფის“ მიმართ შიშისა და დესტაბილიზაციის მიუხედავად, მისი ომი შეზღუდული და დაგვიანებული იყო.

ისინი განახორციელებდნენ დარტყმებს, მაგრამ არა ისე გამანადგურებელს, როგორიც სკორცენის სურდა და რისი იმედიც ჰქონდა. მათ მოკლეს მოკავშირეების დაახლოებით ათასი ჯარისკაცი და მათი დამხმარე.

მათ არ ჰყოფნიდათ რესურსები და ცუდად იყვნენ ორგანიზებულები. ფანატიკოსი სკორცენიც კი მიხვდა, რომ წინააღმდეგობა უაზრობა იყო.

ოტო სკორცენიმ მთელი თავისი ძალები და შესაძლებლობა ნაცისტური უფროსობის საოკუპაციო ჯარებისგან გადასარჩენად წარმართა. მან შექმნა ადამიანების საიდუმლოდ გახიზვნის მსოფლიოში არნახული, დახვეწილი სისტემა. ეს სისტემა საჭირო იყო ებრაელების გენოციდის შესახებ ჰიტლერის იდეის მსოფლიოში გასავრცელებლად.

ბევრი ნაცისტი ოფიცერი ეგვიპტეში გაიქცა, სადაც არაბ ფიურერ ალ-ჰუსეინს შეუერთდა. ისინი ერთობლივად ჩაუყრიან საფუძველს ახალ ტერორისტულ ერას.

* * *

მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა დაამხეს ბერლინი, ომი გერმანიასთან დამთავრდა. ადოლფ ჰიტლერმა თავი მოიკლა, მაგრამ ათასობით მისი ერთგული მოსწავლე ნაციზმის ვირუსის შემდგომი გავრცელების გეგმას ადგენდა.

1945 წელი ბევრმა აღიქვა, როგორც მნიშვნელოვანი ზღვარი. უნდა აღედგინათ ქვეყანა, მაგრამ იყო ერთი პრობლემა — ნაცისტური სპეცსამსახურების საერთო მემკვიდრეობისა და მათი ოფიცრებისა და აგენტების ბედი.

**უკანასკნელი ბრძანებებით ჰიტლერი თავის ფავორიტ სკორცენის ალპების მთებში გამოცდილი დივერსანტების არმიის შექმნასა და ბრძოლის იქიდან გაგრძელებას ავალებდა, მაგრამ სკორცენიმ იცოდა, რომ ომი წაგებული იყო და სხვა ვარიანტზე გადასვლის დრო დადგა. სკორცენი მთებში იმალებოდა. თავის განკარგულებაში დივერსიული ჯგუფები ჰყავდა, მაგრამ გადაწყვიტა, ომის შემდგომ პერიოდში ბრძოლა არ გაეგრძელებინა და ჩაბარდა ამერიკელებს.**



სკორცენი — ამერიკელების ტყვე

დიდი ომი წაგებული იყო, მაგრამ სკორცენის პირადი ბრძოლა გრძელდებოდა. ციხის საკნიდან იგი თავის აგენტებს სთხოვდა, უზრუნველეყოთ ეს-ეს-ის მაღალი თანამდებობის ოფიცრებისა და მეცნიერების გადაადგილების გზები. მას შეეძლო ამის მოთხოვნა, რადგან იტალიაში შექმნილი ჰქონდა აგენტურული ქსელი ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე. ისინი მისი პირადი აგენტები იყვნენ და არა რაიხის საიდუმლო თანამშრომლები.

**ე.წ. ვირთხების ბილიკების გამოყენებით, სკორცენიმ ასობით საშიში ნაცისტი უსაფრთხო ადგილებზე გადაიყვანა მოკავშირეების გვერდის ავლით ადოლფ ეიხმანის, გესტაპოს შეფ ჰენრიხ მიულერისა და დოქტორ ალბერტ ჰეიმის ჩათვლით, რომლებსაც მოკავშირეები დიდი მონდომებით ეძებდნენ. სკორცენი მათ გაპარებას იმ ფულისა და ძვირფასეულის გამოყენებით ახერხებდა, რომლებიც ომის დროს ყალბი დოკუმენტების დასამზადებლად და მოხელეთა მოსასყიდად იყო შეგროვებული. იგი, როგორც მაფიის ბოსი, თავის ორგანიზაციას ციხის საკნიდანაც ხელმძღვანელობდა.**

1948 წელს ჯგუფ „ვერვოლფის“ დივერსანტების დახმარებით სკორცენი ღამით ციხის საკნიდან გაიპარა. მას ადრეც შეეძლო გაქცევა, რადგან იმედოვნებდა, რომ მოკავშირეები გაამართლებდნენ. ასეც მოხდა. მაგრამ შეიტყო, რომ გერმანელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი დასჯა დენაციფიკაციის ჩარჩოებში და — გაქრა.

თავიდაპირველად საფრანგეთში იმალებოდა, შემდეგ — ესპანეთსა თუ იტალიაში, ბოლოს არგენტინაში აღმოჩნდა. მისმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო: მან მიიღო ნაცისტური ელიტის დიდი ჯგუფი, რომლის წევრები თავის დროზე გადაარჩინა. ნაცისტი კოლეგები მზად იყვნენ, ცალ-ცალკე მოქმედი ტერაქტების სტრატეგია გარდაექმნათ პროფესიულ მსოფლიო ბიზნესად. ომის დამთავრების დროისთვის, როცა „ვერვოლფის“ აქციები უაზრობა გახდა, სკორცენი მიხვდა, რომ ამ „სამუშაოს“ გაგრძელება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გაცილებით თავისუფლად შეიძლებოდა. ტერორიზმის დანერგვა მსოფლიოში მის ამოცანად იქცა.

სკორცენი დაიქირავებს თავის ყოფილ თანამშრომლებს ეს-ეს-იდან და შექმნის უზრუნველყოფის სისტემას, რომელსაც ფულითა და იარაღით შავი ბაზრის მეშვეობით მოამარაგებს.

გავა თვეები და ჰიტლერის ყოფილი ფავორიტი უფრო გაბედულად იმოქმედებს.

50-იან წლებში დასავლეთის ახალი მოწინააღმდეგე საბჭოთა კავშირი იყო. დაიწყო „ცივი ომი“. ზოგიერთს ამ დროს გაეღვიძა და გაუმწვავდა შურისძიება. ამის შედეგი იყო, რომ სახეზე ნაიარევის მქონე კაცი ეგვიპტეში ჩავიდა. ყოფილი რაიხელი თანამებრძოლები მას, როგორც ეროვნულ გმირს, მიეგებნენ. იგი დაუყოვნებლივ დაინიშნა ეგვიპტის ლიდერის, გენერალ **ნაგიბის** პირად მრჩევლად უსაფრთხოების საკითხებში.

სკორცენიმაც დრო არ დაკარგა და შექმნა არაბული დივერსიული ქვედანაყოფი და ყველაზე თავზეხელაღებული პალესტინელები არაბ „ვერვოფელებად“ აქცია.

50-იან და 60-იან წლებში არაბი პარტიზანებისა და ტერორისტების მომზადების მეთოდები ეგვიპტეში იყო იგივე, როგორსაც სკორცენი „ვერვოლფელების“ მოსამზადებლად იყენებდა გერმანიაში 44-45 წლებში. მათ შორის იყო ალ-ჰუსეინის ახლო ნათესავი **იასირ არაფატი.** მასწავლებელი და მოსწავლე განუყრელი მეგობრები გახდნენ. სკორცენიმ არაფატს ტერორის შექმნის ხელოვნება ასწავლა. არაფატმა მართლაც ბევრი რამ შეითვისა სკორცენისგან — პოლიტიკური მკვლელობები, დივერსიების ნაირსახეობა. ნაცისტი „კომანდოსები“ ამ „საქმეში“ საუკეთესონი იყვნენ. არაფატი მის მიერ მოწყობილ ტერაქტებს ნაცისტების მიერ შემუშავებული ინსტრუქციების მიხედვით განახორციელებდა. იგი სათავეში ჩაუდგა ტერორისტულ ორგანიზაცია „ოოპს“.


აღლუმი წითელ მოედანზე

სკორცენი და ალ-ჰუსეინი ებრაელების წინააღმდეგ ჰიტლერულ გენოციდს აჩაღებდნენ პალესტინასა და ეგვიპტეში. ნაცისტები „ბოევიკებს“ წვრთნიდნენ „პალესტინის გათავისუფლების“ ორგანიზაციისთვის; ნაცისტები ამუშავებდნენ სარაკეტო და სხვა ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენება ეგვიპტეს ისრაელის წინააღმდეგ შეეძლო.


იასირ არაფატი

გერმანელები ომში დამარცხდნენ, მაგრამ ახალგაზრდა სახელმწიფო ისრაელებისა ნაცისტების მიერ შობილი გენოციდის შეტევას კვლავ განიცდიდა.

**1956 წლის ივნისში რევოლუციამ საბოლოოდ გააძევა ბრიტანული ჯარი ეგვიპტიდან. ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ჰიტლერის თაყვანისმცემელი გამალ აბდელ ნასერი. ოტო სკორცენიმ, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე საშიშ ნაცისტს უწოდებდნენ, ისარგებლა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებით და ახალი პრეზიდენტის სამხედრო მრჩეველი გახდა.**

1950-იანი წლების ეგვიპტე ძალიან საინტერესო, მაგრამ არასტაბილური რეგიონი იყო. ნასერმა ძალაუფლება სახელმწიფო გადატრიალების შედეგად იგდო ხელთ. ქვეყანაში მოქმედებდნენ ოპოზიციური დაჯგუფებები, რომლებიც მის წინააღმდეგ იყვნენ მიმართულნი.

სკორცენი და მისი ნაცისტი ინსტრუქტორი ნაცისტები ანტისემიტურ რეჟიმს „ვერვოლფის“ დივერსიისა და ტერორის მეთოდებით აძლიერებდნენ.

1948 წლის არაბეთისა და ისრაელის ომის შემდეგ პალესტინელების პატარ-პატარა ჯგუფები რეგულარულად თავს ესხმოდნენ ისრაელს, იტაცებდნენ სურსათ-სანოვაგესა და სასოფლო-სამეურნეო იარაღს. მაგრამ სკორცენის გავლენით ეს თავდასხმები ისრაელის მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ აქციებად ტრანსფორმირდა.

ნაცისტებმა, ბოლოს და ბოლოს, მოიკიდეს ფეხი ახლო აღმოსავლეთში და გაშალეს ანტისემიტური ჯიჰადი, რომელიც მსოფლიოს ათეული წლების განმავლობაში მოწამლავს. 50-იანი წლების შუა ხანებში სკორცენი ეგვიპტეში შექმნის ფედოინების ტერორისტულ ჯგუფებს, რომელთა ერთადერთი მიზანი ღაზის სექტორში ებრაელების მკვლელობა იქნება.


გამალ აბდელ ნასერი

**მხოლოდ 1955 წელს მოკლეს და დაჭრეს 260 ებრაელი. ფედოინები გონივრულად თესავდნენ პანიკას, რაშიც არ ჩამორჩებოდნენ თავიანთ ნაცისტ მასწავლებლებს. ცხრილავდნენ სარეისო ავტობუსებს, მატარებლებს, სინაგოგებსა და ყანებში მომუშავე გლეხებს. ამ ახალ ანტისემიტურ ტალღაზე გაიზარდა ნაცისტების ახალი თაობა. პალესტინელების ეს ომი იზიდავდა არა მხოლოდ ნაცისტებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ, არამედ ამერიკელ ნეონაცისტებსაც. ამ ახალგაზრდებს არ უომიათ, ვერ მოასწრეს, მაგრამ მათ გავლილი ჰქონდათ სკორცენის სკოლა და მონაწილეობდნენ ღაზაზე თავდასხმებში.**

1960 წელს ეგვიპტე, რომელსაც ჰიტლერის თაყვანისმცემელი პრეზიდენტი ნასერი ხელმძღვანელობდა, ნაცისტურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა — აკრძალეს ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, მათი ლიდერები ან მოკლული იყო, ან ციხეში გამოკეტილი. ყველა — 75 ათასი ებრაელი სრულად განდევნეს ჩრდილოეთ აფრიკის ამ ქვეყნიდან.

სკორცენი ესპანეთში გადადის და იქიდან იწყებს ახლოაღმოსავლეთის ტერორისტული ორგანიზაცია „პალადინის ჯგუფის“ ხელმძღვანელობას. ამ ჯგუფის კლიენტებს შორის იყვნენ **მუამარ კადაფი** და **სადამ ჰუსეინი.** ორივეს ჰყავდა მოწინააღმდეგეები, რომელთა ლიკვიდაცია რაც შეიძლება სწრაფად იყო აუცილებელი.

„პალადინის ჯგუფი“ ამ ამოცანას შესანიშნავადართმევდა თავს. კადაფი აღმერთებდა სკორცენის, მას ძალიან მოსწონდა ნაციზმი.

XX საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში სწრაფად იზრდებოდა და ფართოვდებოდა ტერორისტული ორგანიზაციების ქსელი. სკორცენისეული „ოოპიდან“ „ჰამასამდე“, „კამე ისლამიამდე“ და, რა თქმა უნდა, „ალ ქაიდამდე“. ყველა მათგანი ისტორიული წინაპრის — „ვერვოლფის“ ანაბეჭდის მატარებელია, „ალ ქაიდას“ მსგავსი ორგანიზაციული სტრუქტურები, უწინარეს ყოვლისა. მათ არ აქვთ მუდმივი კავშირი ცენტრთან, უშუალოდ ხელისუფლებისგან ფულს არ იღებენ. მათთვის მთავარია სარდლობის მკაცრი სტრუქტურა.

ჩვენი დღეების ტერორისტების ტაქტიკას 70-წლიანი ისტორია აქვს და ოტო სკორცენისთან და ეგვიპტელ ნაცისტებთან არის დაკავშირებული. მათ შვეს ჯიჰადის სამყარო. სკორცენიმ შეიმუშავა „ვერვოლფი“ და აჩუქა იგი მსოფლიოს.

**ტერაქტები მათი იარაღია, ვისაც არ ძალუძს, სხვა გზით შეებრძოლოს მოწინააღმდეგეს. ეს ტაქტიკა ფართოდ გამოიყენებოდა ავღანეთსა და ერაყში ცოტა ხნის წინათ მიმდინარე ომში. „მაინ კამპფი“ დღესაც ერთ-ერთი პოპულარული წიგნია არაბულ სამყაროში. ნაცისტური იდეოლოგიის მთავარი მემკვიდრეობა ახლო აღმოსავლეთში არის სიძულვილი ებრაელების მიმართ. ნაცისტურ და ახლო აღმოსავლურ ანტისემიტიზმს ერთმანეთს თუ შევადარებთ, ძალიან ბევრ მსგავს სიმბოლოსა და გამოსახულებას ვიპოვით. ეს ნაცისტური პროპაგანდის ხანგრძლივი გავლენის შედეგია.**

ამ პროპაგანდის მსხვერპლთა ასაკი უფრო და უფრო ახალგაზრდავდება. „ჰეზბოლასა“ და „ჰამასის“ ტელესადგურები გადასცემენ ანტისემიტურ პროგრამებს ბავშვებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სკორცენი და ალ-ჰუსეინი 70-იან წლებში გარდაიცვალნენ, ამ ორი მონსტრის მემკვიდრეობა და ჰიტლერის იდეალები ცოცხლობს.

**ტელეფილმის ქართული საგაზეთო ვერსია მოამზადა**
**არმაზ სანებლიძემ**


გენერლები ტყვედ ბარდებიან


„ვერვოლფის“ მემკვიდრეების ნაცისტური მისალმება

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს. რატომ?

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

**მკითხველს ვთავაზობთ ქართული პრესის ფურცლებზე სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც იმ პერიოდში ერისთვის მტკივნეულ პრობლემას შეეხებოდა, კერძოდ მომავალი თაობის განათლების საკითხს, რასაც უდავოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის. წერილის ავტორები ქვეყნისთვის მოღვაწე მამულიშვილები არიან, რომელთა ნააზრევი და თვალსაზრისი გასათვალისწინებელი და აქტუალური დღესაც არის.**

„ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესობისა და წარმატების წყარო ჯერ-ჯერობით დასავლეთი ევროპა არის. ყველა ხალხები, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაფებიან და აქედამ გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი ამ ხალხების ცხოვრებაში“, — წერს სერგეი მესხი. რა თქმა უნდა, დღესაც მისასალმებელია, თუკი უცხოეთიდან მხოლოდ იმას შევითვისებთ და ვისწავლით, „რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი“ ცხოვრებაში და ჩვენი ახალგაზრდობა მხოლოდ ამ მიზნით თუ მიაშურებს ევროპის უმაღლეს სასწავლებლებს.

თორემ თუ ახალგაზრდა თავის განათლებას პრაქტიკულად ვერ გამოიყენებს, დიპლომს თაროზე შემოდებს და უსაქმოდ და უმიზნოდ მოკლავს დროს, ეს სიკეთეს ვერც მას მოუტონს და ვერც ქვეყანას. როგორც სერგეი მესხი წერს, „ერთს ხეირიან მეოჯახეს, მეურნეობის მცოდნესა, ერთს რომლისამე ნამუშევრის ან სხვა რაიმე საგნის მწარმოებელს ვერ ნახავთ ჩვენთაგანში; იშვიათად ნახავთ ისეთს ახალგაზრდა ნასწავლს, რომელსაც თავის სწავლა რომლისამე კერძო საქმის დაწყებაში გამოეყენებინოსო“. რა სურათია დღეს ამ მხრივ? რას სწავლობენ ჩვენი ახალგაზრდები საქართველოსა თუ უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში? რით შველიან ისინი თავიანთ სამშობლოს? რა სარგებლობა მოაქვთ ქვეყნისთვის?

აი ეს არის საკითხავი.

დღეს რაც უნდა პრესტიჟული იყოს ქართული უნივერსიტეტი, სურვილი სწავლის უცხოეთში გაგრძელებისა სტუდენტებში საკმაოდ დიდია, რადგან ევროპული თუ ამერიკული უმაღლესი სასწავლებლები ჩვენში სწავლების მაღალ დონესთან ასოცირდება, შესაბამისად, იქ განათლებამიღებული პირები აშკარა უპირატესობით სარგებლობენ — საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს. ჩვენს ქვეყანაში, პრაქტიკულად ყველა კომპანიაში, კორპორაციასა თუ საჯარო სამსახურში საზღვარგარეთ მიღებულ განათლებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ანაზღაურების თვალსაზრისით, განსხვავება აქ საკმაოდ თვალშისაცემია. როდესაც საჯარო სამსახურში, იქნება ეს ნებისმიერი სამინისტრო თუ სხვა დაწესებულება, სადაც მოც-ემულ პოზიციაზე კანონმდებლობით განსაზღვრული ანაზღაურება არსებობს და ამ პოზიციაზე სამსახურის დაწყების შემთხვევაში დამსაქმებელი განსაზღვრულ თანხაზე უფრო მეტს ვერ შესთავაზებს ვერც უცხოეთში განათლებამიღებულ კანდიდატს და ვერც ქართულ უმაღლესდამთავრებულს, კერძო კომპანიებსა თუ კორპორაციებს საშუალება აქვთ, ორჯერ და სამჯერ მეტი ანაზღაურება შესთავაზონ უცხოეთში განათლებამიღებულ კანდიდატებს.

მიზეზი?

ევროპაში სწავლების გაცილებით მაღალი დონეა. ახალგაზრდების ნაწილს მიაჩნია, რომ საზღვარგარეთ გაცილებით ხარისხიანი განათლების მიღებაა შესაძლებელი, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში. რადგან ჩვენთან, ისევე როგორც ბევრ სხვა სფეროში, განათლებაშიც მოუწესრიგებელი ვითარებაა.

უმრავლეს შემთხვევაში ქართველი სტუდენტები თუ აბიტურიენტები უმაღლესი განათლების მისაღებად ირჩევენ აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, გერმანიას, ავსტრიასა და ა.შ.

თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, განათლებას სად მიიღებ – საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ. სწავლა თუ გინდა, აქაც მშვენივრად შეძლებ. ამისათვის კი მეტი უნდა იმუშაო საკუთარ თავზე და მეტი დრო გაატარო წიგნებთან. მაშინ შენს ქვეყანაში მიღებული განათლება არაფრით ჩამოუვარდება, ვთქვათ, ოქსფორდისა თუ კემბრიჯის უნივერსიტეტებში მიღებულს. მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში ყოველ წელს ათასობით სტუდენტი ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს და ამის შემდეგ ისინი იწყებენ სამსახურის ძებნას, ცდილობენ კონკურენტულ გარემოში თავის დამკვიდრებას, მაგრამ ეს არც ისე ადვილია — მათზე წინ ყოველთვის უცხოეთში განათლებამიღებულ კანდიდატურას დააყენებენ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ განათლებამიღებული ქართველი სტუდენტისთვის გაცილებით იოლია მაღალანაზღაურებადი სამსახურის თბილისში მოძებნა, ვიდრე საზღვარგარეთ, შინ მაინც მათი მხოლოდ 40% ბრუნდება. ესეც სავალალო და დასაფიქრებელი საკითხია — ხომ არ დარჩება საქართველო ქართველების გარეშე, მაშინ, როდესაც დემოგრაფიულადაც კატასტროფული სიტუაციაა ქვეყანაში?!

# როცა ქვეყანაში მეცნიერება ორივე ფეხით კოჭლობს...

სერგეი მესხი

## ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა

**რა მიმართულება ჰქონდათ ამ ათი წლის წინათ ჩვენს ახალგაზრდებს? რას სწავლობდნენ ისინი რუსეთის სხვა და სხვა უმაღლესს სასწავლებლებში? რითი შველოდნენ ისინი შემდეგ თავიანთ გამზდელ-სამშობლოს? რა სარგებლობა მოჰქონდათ „განათლებულ ახალგაზრდებს“ ჩვენი ქვეყნისათვის?**



ეს და ამგვარი კითხვები იმდენჯერ აღძრულა ჩვენს საზოგადოებაში და ლიტერატურაში და იმათი პასუხი იმდენჯერ გარკვევით თქმულა, რომ ეხლა ხელ-ახლათ ამაზე დაწერილებით ლაპარაკი, უეჭველია, მკითხველს თავს მოაბეზრებს. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ჩვენი ათი და ოცი წლის წინათ გამოზდილი ყმაწვილ-კაცები მხოლოდ ჩინოვნიკობისთვის იყვნენ მომზადებულნი. თავიდამვე იმათ ისეთი მიმართულება ჰქონდათ მიცემული და შემდეგ სწავლასაც ისეთს იღებდნენ, რომ ან ჩინოვნიკად უნდა შექმნილიყვნენ და ან სულ ტყუილ-უბრალოთ, უსაქმოთ და უმიზნოთ მოეკლათ დრო. ერთს ხეირიან მეოჯახეს, მეურნეობის მცოდნესა, ერთს რომლისამე ნამუშევრის ან სხვა რაიმე საგნის მწარმოებელს ვერ ნახავთ ჩვენთაგანში; **იშვიათად ნახავთ ისეთს ახალგაზრდა ნასწავლს, რომელსაც თავის სწავლა რომლისამე კერძო საქმის დაწყებაში გამოეყენებინოს.**

მაგრამ, როგორც ზევით ვთქვით, ეს აზრები ძველი და გაცვეთილი აზრებია და ამის გამო ჩვენ ძველ-ახალ თაობას მიმართულებაზე ბევრს ნუ ვილაპარაკებთ. დღეს ჩვენ გვინდა ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა ერთს მოვლინებაზე, რომელიც, უეჭველია, ჩვენთვის ყველასთვის ძლიერ სასიამოვნო ამბავს უნდა შეადგენდეს.

ჩვენ გვინდა ვსთქვათ იმ ლტოლვილებაზე, რომელიც უკანასკნელ თაობის ჩვენმა ახალგაზრდებმა აღმოაჩინეს.

ჩვენი უკანასკნელი ახალ-თაობა ათასის მაგალითით დარწმუნდა, რომ ჩინოვნიკობა არც საკუთარივ იმათა და არც საზოგადთ იმათ სამშობლო ქვეყანას მაგდენ სარგებლობას არ აძლევს და კეთილს არას ჰმატებს. ეს მოსაზრება დიდი ხანია ცხადი და ადვილათ შესამჩნეველი უნდა ჰყოფილიყო ყველა იმათთვის, რომელნიც გონებით დაბრმავებულნი არ იყვნენ და ჩვენ ნასწავლ ჩინოვნიკების ცხოვრებასა და ყოფა-ქცევას ხედავდნენ. მაგრამ ნათქვამია — **ჭეშმარიტება სწორი გზით არასოდეს არ მოინახებაო. რაკი ჩვენი ახალ-თაობა ნამდვილათ დარწმუნდა, რომ ეს ძველი გზა ყოველს შემთხვევაში გამოუსადეგარი და ხანდისხან მავნებელი გზა იყო, შეუდგა ახალი გზის მონახვას და ამ ახალი თაობის საქებლათ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახავს. ეს გზა — დასავლეთი ევროპის გზა არის.**

სიკვდილის შემდეგ რომ სინანულს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ჩვენ ვიტირებდით იმ დაკარგულს დროსა და ახალგაზრდებს, რომელნიც ტყუილ-უბრალოთ ჩაიღუპნენ, სანამ ეს სწორი გზა მოინახებოდა. მაგრამ, რადგანაც სიკვდილის შემდეგ სინანული არაფერში გამოგვადგება, ამის გამო, უბრალო ცრემლებს თავი დავანებოთ და დავხაროდეთ, რომ ჩვენმა უკანასკნელმა ახალ-თაობამ სწორე გზას დაადგა.

**ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესობისა და წარმატების წყარო ჯერ-ჯერობით დასავლეთი ევროპა არის. ყველა ხალხები, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაფებიან და აქედამ გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი ამ ხალხების ცხოვრებაში. თავის თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგად და ჭეშმარიტად გაუცნია.** გაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას მხოლოდ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპიულ სწავლა-მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალით უნახავს და შეუსწავლია სიღარიბის მომსპობელი და კეთილ-დღეობის მომნიჭებელი სახსრები. სხვა არა იყოს რა, უბრალო დანახვაც განათლებული ხალხების ცხოვრებისა და მეცნიერების ნაყოფისა — არა მცირედ სარგებლობას მოუტანს ისეთის ქვეყნის შვილს, როგორიც ჩვენია. ტყუილა კი არ ამბობენ ჩვენში, როდესაც რომელიმე კაცის ღირსებაზე იტყვიან, რომ „ამ კაცს ქვეყანა უნახავს, განათლებული კაციაო!“ ამ აზრს თავისი საფუძველი აქვს.

მაგრამ **ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ახალ-თაობა მარტო „ქვეყნის სანახავად“ არ მიდის ევროპაში. ამ შემთხვევაში ისინი უფრო გონიერი აზრით ხელმძღვანელობენ: ისინი მიდიან ევროპიული სწავლა-მეცნიერებისა და ცხოვრების გასაცნობად და შემდეგ ამაების თავის ქვეყანაში დასამკვიდრებლად. ვინ გაამტყუნებს იმათ ამგვარი განზრახვისათვის? ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ დასავლეთი ევროპის ცხოვრების წაბაძვა და იქიდგან პირ-და-პირ მეცნიერების გადმოტანა ათას წილათ უკეთესი არ იქნება ჩვენთვის, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყნიდამა? განა ყოველთვის ის წყაროს წყალი არ სჯობია, რომელიც პირ-და-პირ მიწიდამ ამოჩუხჩუხებს და განა არ იცით, რომ წყაროდამ მოშორებული წყალი ხანდისხან ისეთს რამეებს შეითვისებს გზაში, რომ შემდეგ იმის გამოყენება თითქმის შეუძლებელია?**

მაშ მივესალმოთ ამ ახალ მოვლინებას და **გზა დაულოცოთ იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მიელტვიან ევროპისაკენ დედანი წყაროს დასაწაფებლად.** ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ერთი დასავლეთ ევროპაში გაზდილი ქართველი თავის სწავლითა და სამაგალითო ცხოვრებით უფრო მომეტებულ სარგებლობას შესძენს ჩვენს ღონის-ძიებით საწყალი, მაგრამ ბუნებით მდიდარს საქართველოს, ვიდრემ ხუთი და ათი სხვა ქვეყანაში გამოზრდილი.

„დროება“, 1872,
20 ოქტომბერი, №41

**«ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ახალ-თაობა მარტო «ქვეყნის სანახავად» არ მიდის ევროპაში. ამ შემთხვევაში ისინი უფრო გონიერი აზრით ხელ-მძღვანელობენ: ისინი მიდიან ევროპიული სწავლა-მეცნიერებისა და ცხოვრების გასაცნობად და შემდეგ ამაების თავის ქვეყანაში დასამკვიდრებლად. ვინ გაამტყუნებს იმათ ამგვარი განზრახვისათვის?»**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „ჩვენდა სამარცხვინოთ და სამწუხაროთ უნდა აღვიარო, რომ ევროპაში სრულებით არ იცნობს ხალხი ქართველებს“.

**«ჩვენში, საქართველოში, მეცნიერება ორივე ფეხით კოჭლობს. ვინც დღემდე მოქმედობდა ან მოქმედებს, მხოლოდ ევროპიული აზრების პოპულიარიზატორები არიან. ეს აზრები მეორე ან მესამე ხელიდამ მიუღიათ. კარგად თუ ავად ჩვენ ვიცნობთ ევროპას, მაგრამ ევროპა კი ჩვენ ვერ გვიცნობს, მაშასადამე იმას არ შეუძლია მიაქციოს ის ყურადღება ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ცხოვრებას, რომლის მეცნიერულად შესწავლა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს არა მარტო ჩვენთვის, არამედ საზოგადოდ ცივილიზაციისათვისაც»**



მეველე – დავით მიქელაძე

## სხვა მხარესაც მივაქციოთ ყურადღება

**ერთ-ერთს ჩვენს მოწინავე წერილში აღვბეჭდეთ ახალთაობის ღვაწლი და დამსახურება ჩვენის ქვეყნის წინაშე. აღვიარეთ, რომ ამ ოცის ოც-და-ათის წლის განმავლობაში საქართველოს ახალ-თაობამ წინ წასწია საზოგადოება, განუმტკიცა მას თვით-ცნობის გრძნობა, დაუსახა იდეალი, ერთის სიტყვით — გააღვიძა იგი, გაუღვიძა და აღუძრა ისეთი სურვილები, რომელნიც კაცის და მთელის ერის აღმამაღლებელნი და ზნეობითი გამამშვენებელნი არიან. აწინდელი გონებრივი მდგომარეობა ჩვენის საზოგადოებისა რომ შევადაროთ იმ მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენ ამ ოც-და-ათის წლის წინად ვიმყოფებოდით — რა თქმა უნდა, დიდს განსხვავებას ვიპოვით.**

მაგრამ ერთს საყურადრებო ვითარებას ვხედავთ ჩვენს მოქმედებაში საზოგადო ასპარეზზე: მრთელი ჩვენი ყურადღება მიქცეული იყო იმაზე, რომ გაგვევრცელებინა ხალხში ის აზრები, რომელნიც შეადგენენ განათლების საუკეთესო ნაყოფს, გაგვემტკიცებინა ის გრძნობები, რომელნიც სულითა და გულით ამაღლებენ ერს. ასე რომ ჩვენი ღვაწლი და **მოქმედება მხოლოდ იმაზედ იყო მიმართული, რომ შეგვძლებოდა ჩვენი გავლენა და ზედ-მოქმედობა დაგვემჩნია** ხალხისათვის, საზოგადოებისათვის. ჩვენს მეცადინეობას, საბედნიეროდ, ფუჭად არ ჩაუვლია. მხოლოდ მეორე საშუალება კი უყურადღებოდ დაგვრჩა და დაგვრჩა იმიტომ, რომ მომზადებული პირები არ გვყავდა.

ყოველს ხალხს, ყოველს ერს თავისი განახლება მტკიცედ მეცნიერების შესწავლით, სხვა და სხვა ხალხთა ლიტერატურის, სხვა და სხვა ხალხთა ენების მტკიცედ და საფუძვლიანად გაცნობით დაუწყია. რუსეთში დამკვიდრდა ნამდვილი განათლება, დამკვიდრდა მეცნიერება მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთის ახალთაობა ევროპას დაუახლოვდა, მტკიცედ შეითვისა ევროპიული ენები; დღემდისაც ასობით და ათასობით ნახავთ სხვა და სხვა ევროპიულ ქვეყნებში რუსეთის ყმაწვილ-კაცობას; ის იქ ითვისებს ენას, მეცნიერებას, რომელიც ბევრად მაღლად სდგას ვიდრე რუსეთში. ამ გვარად მომზადებული **რუსეთის ინტელიგენცია აცნობებს ევროპას თავის სამშობლოს და ცდილობს, მიაქცევინოს ყურადღება. დღეს ვხედავთ, რომ ევროპიელებმა გამოიცვალეს თავიანთი აზრი შესახებ რუსეთისა, რომლის მცხოვრებნი უწინ თითქმის კაცის-მჭამლებად მიაჩნდათ.**

**რუსეთის ცხოვრება, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, გო**ნებრივი და ეკონომიური შეიქმნა ევროპიელებისათვის ძლიერ საყურადღებო საგნად; ასე რომ დღითი დღე მდიდრდება სამეცნიერო ევროპიული ლიტერატურა სხვა-და-სხვა გამოკვლევებით შესახებ რუსეთისა; ამითი მდიდრდება მეცნიერება, ამითი სარგებლობს მთელი კაცობრიობა.

ვიმეორებთ, ამ სასიამოვნო მოვლენისათვის რუსეთი მადლობ**ელი უნდა იყოს იმათი, ვინც თავის ქვეყანა გააცნო ევროპას, ვინც შეაყვარა პირველი მეორეს.**

**ჩვენში, საქართველოში, მეცნიერება ორივე ფეხით კოჭლობს. ვინც დღემდე მოქმედობდა ან მოქმედებს, მხოლოდ ევროპიული აზრების პოპულიარიზატორები არიან. ეს აზრები მეორე ან მესამე ხელიდამ მიუღიათ. კარგად თუ ავად ჩვენ ვიცნობთ ევროპას, მაგრამ ევროპა კი ჩვენ ვერ** გვიცნობს, მაშასადამე იმას არ შეუძლია მიაქციოს ის ყურადღება ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ცხოვრებას, რომლის მეცნიერულად შესწავლა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს არა მარტო ჩვენთვის, არამედ საზოგადოდ ცივილიზაციისათვისაც. ეს სამწუხარო ამბავი იმისგან წარმოსდგება, რომ ჩვენ ნამდვილს, ყოველ მხრივს ევროპიულს განათლებას ვართ მოკლებული; ჩვენ არა გვყავს ისეთი კაცები, რომელთაც იცოდენ უცხო ენები, შეეძლოთ ამ ენებზე წერა, შეეძლოთ ჩვენის მწერლობის ნაწარმოების გადათარგმნა, შეეძლოთ სხვა-და-სხვა უცხოეთელ ჟურნალებში და დრო გამოშვებითს გამოცემებში მონაწილეობის მიღება. დღესაც რუსეთის მეცნიერები თავიანთ ნაწარმოებს უცხოელ ჟურნალებში ბეჭდავენ. ამ გზით და ამ სახით ცდილობენ ისინი გააცნონ ევროპა თავიანთ ქვეყანას, ამ ნაირად ცდილობენ იმის პატივის ცემა მოიხვეჭონ. ევროპა ჩვენ ვერ გაგვიცნობს, იქაური მეცნიერება ჩვენს ქვეყანას ჯეროვან ყურადღებას არ მიაქცევს, სანამ ჩვენ თითონ არ ვაჩვენებთ, თუ **რა საუნჯის პატრონი ვართ, ვინა ვართ, ან რანი ვიყავით.**

**ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენში გამრავლდებიან ისეთი პირები, რომელნიც ევროპიულად აღზრდილნი იქმნებიან, უცხოელი ენები ეცოდინებათ, ისე როგორც თავიანთ ღვიძლი ენა. მაშინ, მხოლოდ მაშინ გამოვიწვევთ განათლებულ ქვეყნების ყურადღებას, მაშინ შემუშავდება ჩვენში მეცნიერება, მაშინ დაიჭერს ჩვენი ისტორია, ჩვენი ლიტერატურა ჯეროვან ადგილს სხვა ქვეყნების ისტორიისა და ლიტერატურათა შორის. თვით უცხო ენის მეცნიერები** მოჰკიდებენ ხელს იმ საქმეს, რომელსაც დღეს ჩვენ დიდის გაჭირებით ვაჩანჩალებთ.

მაშასადამე უნდა ვეცადოთ, რომ მოზარდ თაობას ნამდვილი ევროპიული განათლება მივსცეთ, უცხო ენების შესწავლა გავავრცელოთ, როგორც მაგალითად ფრანცუზულისა, ნემეცურისა, ინგლისურისა. თუ ჩვენი მოვალეობა ის იყო, რომ ჩვენის გავლენით, მოქმედებით ხალხი, საზოგადოება გაგვეღვიძებინა, მომავალი თაობის მოვალეობა ის უნდა იქმნეს, რომ გააცნოს თავის ქვეყანა ევროპას და ამ სახით ეცადოს, — დანერგოს ნამდვილი მეცნიერება თავის სამშობლოში.

„დროება“, 1885.
21 თებ., №40



ალექსანდრე ხახანაშვილი

## როგორ გავეცნოთ ევროპას

**ერთი საშუალებათაგანი, გავაცნოთ თავი და ჩვენი წარსული ევროპას, შევიგენით ამ ზაფხულს ჩვენი მოგზაურობის დროს. ჩვენდა სამარცხვინოთ და სამწუხაროთ უნდა აღვიარო, რომ ევროპაში სრულებით არ იცნობს ხალხი ქართველებს. თუ გაუგონიათ, ანუ წაუკითხავთ რამე საქართველოზე, ისევ თითო-ოროლა მეცნიერთ, კაბინეტში ჩასაფრებულებს. გერმანიაში georgien (grusinien) და საფრანგეთში გეორგიენ ვარ-მეთქი რომ ვიტყოდი, ჩემს მობაასეს ხშირათ ამით თავს ვერ გავაცნობდი ხოლმე.**

თუ ვიტყოდი კიდევ კავკასიიდან, მაშინ კი მიმიხვდებოდენ, თუმცა ჩემს ნაციონალურ ჩამომავლობაზე მაინც გაუგებარ მდგომარეობაში რჩებოდენ. თუ შევადარებთ ჩვენს ამგვარათ დაშორებას ევროპასთან სომხების ბედილბალს, არ შეიძლება არ ითქვას, რომ უკანასკნელნიც ასე დავიწყებულნი იყვენ: იმათ თითქოს სუყველგან იცნობენ, იმათ წარსულზე და აწმყოზე წარმოდგენა აქვთ. არამც თუ კერძო პირები არ იცნობენ ქართველებს, მთელი დაწესებულებაც ვერ აცდენია შეცთომას ჩვენი ერის შესახებ. **აი, ერთი** მაგალითი: ჟენევაში დავათვალიერეთ ცნობილი მუზეუმი „Arianna“. ამ მუზეუმის ერთს ოთახში შემოკრეფილია სხვა-და სხვა ენაზე საღმთო წერილის წიგნები. ამ წიგნებში შევნიშნეთ ქართულათ აღბეჭდილი „დავითნი“, რომელსაც ქვეშ მოწერილი ჰქონდა: „Georgien du nord Amerique“. ქართული ასოებით დაბეჭდილი წიგნი მიაწერეს ამერიკის გეორგიას, სადაც ინგლისური ენის მეტი ხმარებაში არც ერთი ენა არ არის! კავკასიის გეორგია, ჟორჟი ვერ გაურჩევიათ ამერიკის გეორგიისგან! ჩვენ დავსტამბეთ ჟენევის ერთს გაზეთში ამის შესახებ წერილი და ორ დღეს შემდეგ რედაქციამ შემატყობინა, რომ მუზეი „Arianna“ მადლობას მიძღვნის შენიშვნისთვის და შეცდომა უკვე გასწორებულ იქნა.

ამ გვარი და ამაზე უარესი შეცდომების ასაცილებლათ და ევროპასთან დასაახლოებლათ საჭიროა, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ მაინც მიაქციოს ყურადღება ამ მდგომარეობას და, მსგავსათ სომხის ყმაწვიკაცებისა, რამდენიმე თვით ან წლობით წავიდენ ხოლმე სწავლის გასაგრძობათ გერმანიაში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთში და ინგლისში. პირადათ გაცნობა და დაახლოება იქაურ მეცნიერებთან, მწერლებთან და ხალხთან გაფანტავს ცრუ წარმოდგენას საქართველოზე და აუხსნის ნამდვილ სურვილს ქართველი ხალხისას. ამგვარი გაცნობა და მოგზაურობა სასარგებლო იქნება, როგორც მთელი ერისთვის, აგრეთვე კერძო პირისთვისაც, რომელსაც შეეძლება დააკვირდეს სრულებით სხვა მიმართულებას, იქაურ საზოგადო და სამეცნიერო-სალიტერატურო ცხოვრებაში. აქ შეითვისებს ახალ აზრებს, გააფართოებს თვის ცოდნას, შეიძენს უცხო ენების მდიდარ ნაწერებს და ამ იარაღით აღჭურვილი დაბრუნდება სამშობლოში რიგიანათ მომზადებული საზოგადო მოღვაწეობისთვის. ამიტომ **სასურველია, რომ იმატოს რიცხვმა ახალგაზრდა ქართველთა საზღვარგარეთ მოსწავლეთა, რომელნიც შეიქნებიან ხიდათ ქართველთა და ევროპელთა შორის.**

„კვალი“, 1894 წელი, №43

**«სასურველია, რომ იმატოს რიცხვმა ახალგაზრდა ქართველთა საზღვარგარეთ მოსწავლეთა, რომელნიც შეიქნებიან ხიდათ ქართველთა და ევროპელთა შორის»**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲚᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲓᲐᲘᲑᲜᲐ

**ახლახან პასაუის მახლობლად, სოფლის სასტუმროში ორი ადამიანი არბალეტებით მოკლეს. პოლიცია იძიებს საქმეს, მაგრამ ჯერჯერობით ჩიხშია შესული.** ამ დღეებში კი საქმე უფრო გართულდა, რადგან კიდევ ორი ქალის გვამი იპოვეს, არბალეტით რომ იყვნენ მოკლული. გვამები პასაუიდან 650 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ვიტინგენის ერთ-ერთ ბინაში აღმოაჩინეს.

ამ ბინას ქირაობდა 30 წლის ქალი, რომლის სხეულიც იპოვეს პასაუის მახლობლად სოფლის სასტუმროში. ეს ორი მკვლელობა ურთიერთკავშირში რომ არის, უეჭველია. აღვნიშნოთ, რომ სასტუმროს ნომერში იპოვეს მკვლელობის იარაღიც — არბალეტები, რომელთაგან მესამე მოკლულთა ჩანთაში იდო.

„პოლიცია დაბნეულია, დამნაშავეს ეძებენ“, — წერს BBC.

## ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘ ᲥᲐᲚᲘ 15 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ



**მსჯავრდებული განაჩენს არ დაეთანხმა და აპელაცია შეიტანა.**

გისოსებს მიღმა აღმოჩნდა 29 წლის ლინდსი ჯარვისი. უფროსი კლასების მასწავლებელი გაასამართლეს 15 წლის მოსწავლე გოგონასთან სექსუალური კავშირის ბრალდებით.

ჯარვისი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ყველაფერი ურთიერთთანხმობით მოხდა და მას მოსწავლესთან (სახელი არ საჯაროვდება) რომანტიკული ურთიერთობა აკავშირებდა. რაც, მისი აზრით, დასტურდება ქალსა და გოგონას შორის მიმოწერით, რომელიც თვეების განმავლობაში გრძელდებოდა.

Daily Star წერს, რომ დამნაშავე ითხოვს პირობით ვადამდელ გათავისუფლებას და მისი სახელის ამოღებას სექსუალური დამნაშავეების სიიდან.

ლინდსი ჯარვისი გათხოვილია. ქმარი ენდრიუ მას იცავდა სასამართლო სხდომების დროს. მეტიც, მას თავად მიჰყავდა მოსწავლე მათ ბინაში „რომანტიკულ შეხვედრებზე“. თვითონ ენდრიუ ამ შეხვედრებში არ მონაწილეობდა. იგი დღესაც თავგამოდებით იცავს ცოლს.

გოგონა პოლიციაში დაჰკითხეს. მან ყველაფერი აღიარა და განაცხადა, რომ თავის მასწავლებელთან სუფთა გრძნობა აკავშირებს.

## ᲛᲐᲓᲝᲜᲐᲛ «ᲩᲐ-ᲩᲐ-ᲩᲐ» ᲚᲔᲡᲑᲝᲡᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲕᲔᲡᲢᲘᲢᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲪᲔᲙᲕᲐ



**60 წლის მომღერალმა ცეკვა გაახურა ლგბტ-თემის წარმომადგენლებთან ერთად. ამ ცეკვის მოკლე ვიდეოჩანაწერმა ააფეთქა სოციალური ქსელები.** ეს ვიდეორგოლი მადონამ თავისი ახალი ალბომის — Madame X-ის რეკლამირების მიზნით ჩაწერა. „მედისი“ ცეკვაცეკვით მიაბიჯებს დერეფანში. მასთან ერთად მიიკლაკნებიან **როზი ო'დონელი** — ცნობილი ტელეწამყვანი, მსახიობი და ბლოგერი, არატრადიციული ორიენტაციის ქალი და რეპერი **მიკი ბლანკო,** რომელიც თავს ტრანსგენდერად და ტრანსვესტიტად წარმოგვიდგენს. ამ ქალ-კაცა თუ კაც-ქალმა ახლახან პრესტიჟული პრემია Glaad მიიღო გეებისა და ლესბოსელების ამერიკული ალიანსისგან.

ვიდეომ რამდენიმე საათში ასობით ლაიქი დააგროვა. „მადონა ბრწყინვალედ გამოიყურება!“ — წერენ თაყვანისმცემლები. ჰეიტერებმა კი აღნიშნეს: „ცეკვა საცოდაობაა!“



# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

## ᲡᲐᲢᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲘᲞᲧᲠᲝᲑᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ

## ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ᲡᲐᲢᲐᲜᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲪᲜᲝ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲓ




**აშშ-ის საგადასახადო სამსახურმა IRS-მა მათ მიანიჭა სხვა რელიგიურ ჯგუფებთან გათანაბრებული სამართლებრივი სტატუსი.**

2019 წლის 25 აპრილს „სატანის ტაძრის“ თანამეგობრობამ, რომელიც მასაჩუსეტსში არის დაბანაკებული, გამოაქვეყნა განცხადება, რომ აშშ-ის ფედერალური მთავრობის აღნიშნულმა სახელმწიფო ორგანომ ოფიციალურად აღიარა იგი „ეკლესიად“, — იუწყება ბრიტანული გამოცემა Catholic Herald.

„ეს აღიარება ნიშნავს, რომ „სატანის ტაძარს“ ისეთივე წვდომა აქვს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისადმი, როგორიც სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს, ის სასამართლოში დაადასტურებს რელიგიური დისკრიმინაციის წინააღმდეგ ჩვენს პოზიციას და უფლებას დაგვრთავს შევიტანოთ განაცხადი მთავრობის რელიგიური გრანტების მიღებაზე“, — ნათქვამია თანამეგობრობის განცხადებაში.

ამასთანავე, IRS-ის ინსტრუქცია, რომელიც ორგანიზაციის ვებსაიტზე არის გამოქვეყნებული, ადასტურებს, რომ ოფიციალურად აღიარებულ „ეკლესიებზე“ ვრცელდება საგადასახადო წესები ფედერალური საშემოსავლო გადასახადიდან ავტომატურად გათავისუფლების შესახებ.

IRS-ის წესებით, ეკლესია უნდა უპასუხებდეს მთელ რიგ მოთხოვნებს, როგორიცაა აღიარებული რწმენა და თაყვანისცემის ფორმები, საეკლესიო მართვის ჩამოყალიბებული მმართველობა, დოქტრინის ფორმალური კოდექსი, თაყვანისცემის დადგენილი ადგილები და სხვ.

შეგახსენებთ, „სატანის ტაძარი“ დაარსდა 2012 წელს ქალაქ სალემში, მასაჩუსეტსის შტატში, მიჩიგანში. ამ გაერთიანების წევრები თავიანთ „ეკლესიას“ „არაათეისტურ ორგანიზაციას“ უწოდებენ, რომლის მიზანია „ადამიანებში კეთილგანწყობილებისა და ემპათიის წახალისება“. ისინი ამტკიცებენ, სატანისტურ გამოსახულებებს, იყენებენ სახელმწიფოსგან ეკლესიის გამოყოფას „პრაქტიკული გონიერებისა და სამართლიანობის“ დასამკვიდრებლად“.




მათ რამდენჯერმე უკვე შეიტანეს სარჩელები სატანისტური გამოსახულებებისა და ქანდაკებების დემონსტრაციის ნებადართვის შესახებ, როგორც ეს ქრისტიანული და იუდეველთა ტრადიციული სიმბოლოების შესახებაა დადგენილი. მისურის შტატში გაიმართა სასამართლო სხდომა „სატანის ტაძრის“ ერთ-ერთი წევრი ქალის სარჩელის განსახილველად, რომლითაც მოითხოვდა აბორტების პროფილაქტიკის შესახებ ბროშურების გავრცელების აკრძალვას, რადგან ასეთი ლიტერატურა მის რელიგიურ რწმენას შეურაცხყოფდა.

იუწყებიან, რომ ქრისტეშობის წინა დღეს „სატანის ტაძრის“ ჩიკაგოს განყოფილებამ ილინოისის საკანონმდებლო ორგანოს შენობაში თავიანთი ქანდაკება დადგა.

## 23 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲛᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲛᲐ ᲒᲐᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲐ



**23 წლის ინგლისელმა კესი პაიკმა ჟურნალისტებს თავისი ცხოვრების შემაძრწუნებელი ამბავი მოუთხრო. The Sun წერს, რომ ქალიშვილი ასზე მეტმა მამაკაცმა გააუპატიურა. პოლიციამ კი მაინცდამაინც იგი დააკავა.**

ეს კოშმარი კესისთვის, 11 წლის რომ გახდა, მაშინ დაიწყო. თავიდან იგი პედოფილიის მსხვერპლი გახდა, შემდეგ ბავშვთა პროსტიტუციაში ჩაითრიეს. გოგონა იორკშირში ცნობილმა კრიმინალურმა ორგანიზაციამ იგდო ხელთ. 5 წლის განმავლობაში უძლებდა სუტენიორების ძალადობას და კლიენტების ბინძურ ვნებას. ვერა და ვერ შეძლო, კანონს რომ დაეცვა იგი. „მიუხედავად იმისა, რაც მას თავს გადახდა, გალიფაქსის (დასავლეთი იორქშირი) პოლიციელები თვალს არიდებდნენ გოგონას სექსუალურ ექსპლუატაციას“, — წერს The Sun.

მეტიც, მსხვერპლი თავადაც დააპატიმრა პოლიციამ. სუტენიორები მას რეგულარულად აბრუებდნენ ნარკოტიკით და კესი, როგორც ნარკომომხმარებელი, დააკავეს. ერთხელ კი პოლიციაში აღმოჩნდა „ბავშვზე სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულის ჩადენისთვის“. ეს მოხდა მაშინ, როცა პაიკი ჩაჯდა კლიენტის მანქანაში სხვა არასრულწლოვან გოგონასთან ერთად.

დღეს 23 წლის კესი სამართლიანობისკენ მოუწოდებს საზოგადოებას. „მე საერთო ჯამში ხუთჯერ დამაპატიმრეს. ეტყობა, პოლიციას არავითარი პრეტენზია არ ჰქონდა იმ კაცების მიმართ, რომლებიც მე მაწამებდნენ, — ამბობს იგი, — მე მხოლოდ 15 წლისა ვიყავი. ისინი სრულად აკონტროლებდნენ ჩემს ცხოვრებას. განა შეიძლებოდა იმის გაფიქრებაც კი, რომ მე დამნაშავე ვიყავი?!“

მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა მონათფლობელმა კიდევ სცემა იგი, კესიმ გაბედა და პოლიციას ბანდის შესახებ აცნობა. იგი დაეხმარა სასამართლოს, ოთხ კედელში გამოემწყვდია 18 მამაკაცი, რომლებმაც მას ბავშვობა წაართვეს. ბანდის წევრებსა და რამდენიმე პედოფილ კლიენტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს.

ეს ფაქტი დიდ ბრიტანეთში ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის ყველაზე საზიზღარი შემთხვევაა.




**კვლევების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, იოსებ სტალინის მოღვაწეობის დადებითად შეფასების დონემ წლების განმავლობაში განხორციელებულ გამოკითხვებში ახალი რეკორდი დაამყარა. დაადასტურა ეს ჩვენი მკითხველების შეფასებებმაც.**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «გვჭირდება თუ არა სტალინი დღეს»



**„საქართველო და მსოფლიოს“ მე-16 ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „გვჭირდება თუ არა სტალინი დღეს“ დააინტერესა ჩვენი მკითხველები და ინტერნეტმომხმარებლები: მათმა უმრავლესობამ — 5400-ზე მეტმა — მოიწონა პუბლიკაცია და დადებითად შეაფასა იგი.**

ჩვენ ვწერდით, რომ იოსებ სტალინისადმი საზოგადოებრიობის დამოკიდებულების საკითხი კვლავ და კვლავ დგება დღის წესრიგში. დრო მოაქვს, მსოფლიოში შექმნილი ვითარება ხდის აქტუალურს, სადღეისოს, გასათვალისწინებელს. ამიტომაა, რომ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები აქტიურად განაგრძობენ სოციოლოგიურ კვლევებს პრობლემაში საფუძვლიანად გარკვევის მიზნით.

აქვე ვთქვათ, რომ კვლევების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, იოსებ სტალინის მოღვაწეობის დადებითად შეფასების დონემ წლების განმავლობაში განხორციელებულ გამოკითხვებში ახალი რეკორდი დაამყარა.

დაადასტურა ეს ჩვენი მკითხველების შეფასებებმაც.

სასიხარულოა!

და აქვე — ერთი მორიდებული შენიშვნა.

ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი გვსაყვედურობს, რომ ამაოდ მოვცდით, ტყუილად გავისარჯეთ, რადგან რუსული მედია, უკვე რამდენიმე თვეა, განიხილავსო ამ მასალებს.

კი! განიხილავდა, მაგრამ წინა გამოკითხვების შედეგებს. ჩვენი წერილი კი უახლესს ეყრდნობა, და ეს უახლესი მაჩვენებელი არნახულია.

მაშ, როგორია მკითხველთა რეაქცია?

**შალვა გუგეშაშვილი:** — ველარ ვსუნთქავთ, ჰაერივით გვჭირდება სტალინი. რა გამოვედით ასეთი, რომ ვერავინ ვერ მიბაძა, ვერავინ ვერაფერი ისწავლა მისგან. არადა, უძლიერესი მასწავლებელია.

**ლარისა გვენცაძე:** — ასი პროცენტით მართალი ბრძანდებით. სტალინის ძეგლიც უნდა აღვადგინოთ და მისი კონსტიტუციაც უნდა მივიღოთ, წინ რომ წავიყვანოთ ჩვენი ქვეყანა... უნდა მოვსპოთ ფულის გამო მთავრობაში სწრაფვის მანია.

**ნიკუშა ბეროზაშვილი:** — ეს კვლევები რომ გამოქვეყნდა, ამის შემდეგ დაიწყო სიცრუის ახალი ტალღა. კერძოდ, საგრძნობლად გაზარდეს (რეპრესიების დროს) დახოცილთა რაოდენობა არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოეთში...

**შალვა გუგეშაშვილი:** — ცისფერები ვერაფერს იზამენ! მთელი მსოფლიოს მილიარდერები და სახელმწიფოთა მთავრობები ებრძვიან, სტალინის იდეების ეშინიათ, მორჩილი მონები სჭირდებათ...

**მალხაზ თარხნიშვილი:** — ისე გაიხრწნა და გადაგვარდა ერი, ორი სტალინიც შეიძლება არ გვეყოს.

**იზოლდა ტატიშვილი:** — სტალინიც გვჭირდება, ბერიაც და ყველა იმდროინდელი მოღვაწეც, რომლებიც ამ მუქთახორებს მოგვაცილებდა...

**მზია გულისაშვილი:** — (სტალინი) უნდა აღდგეს ფერფლისგან ისე, როგორც ფენიქსი, გამოსცეს ხმა თუნდაც წელიწადში ერთხელ საქართველოს საკეთილდღეოდ...

**ბიჭი თორელი:** — ჩალათავგამოტენილებო, დროა, დაიჯეროთ! დიდება სოსო ჯუღაშვილს, იოსებ სტალინს!

**მერაბ ბოლქვაძე:** — ფაშისტების ოცნება იყო და არის კაცობრიობის დამონება და გარყვნა. ეს ოცნება აუსრულდათ. აწი დროა, სტალინისნაირი ბელადი საქართველოს გადასარჩენად.

**გიორგი მალაზონია:** — სტალინისადმი სიმპათია კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ახალგაზრდობას დამახინჯებულ ისტორიას არ დავაზუთხვინებთ...

**ნელი თარგამაძე:** — ძალიან მნიშვნელოვანია, მომავალმა თაობამ სწორად გაიგოს მისი მოღვაწეობის შესახებ.

**მანანა ფაფანაშვილი:** — ვინც რა უნდა თქვას, ჭეშმარიტება ერთია — სტალინი გენიოსია და — წერტილი. მასთან ვერავინ მივა, ვერც ჩერჩილი და ვერც რუზველტი. საზოგადოება ამას ამჩნევს. მე ასე მწამს და ამ რწმენას ვერავინ წამიშლის.

**ლირა გობეჩია:** —კარგი იქნებოდა, სულ არ ყოფილიყო ნიკიტა (ხრუშჩოვი). ჩვენც ძლივს გადავურჩით.

**ანა ჭანკოტაძე:** — აქ, ათენში, ბევრია მომხრე სტალინის.

**ზაირა ნოზაძე:** — რომ არ გვჭირდებოდეს, ამისთვის რას ვაკეთებთ საქართველოში? სასამართლო პროცესები წლობით გრძელდება, მაგრამ სამართალი არსად ჩანს. ე.ი. საჭიროა სტალინური წესრიგი.

**ქეთევან ოძელაშვილი:**— სტალინს ვერ დავიბრუნებთ, მაგრამ ერთი სტალინისნაირი წინამძღოლი არ გვაწყენდა.

**მევლუდ ჭანუყვაძე**: —სანამ კაცობრიობა იარსებებს, სტალინი ყოველთვის დაგვჭირდება.

**ლამარა ყიფშიძე:** — რას არ წერენ რუსები, მაგრამ ჩვენი მთავრობის გონებამდე ამერიკა და ევროპა არ უშვებს.

**„— დიახ! დიახ!“ „აუცილებლად!“ „სასწრაფოდ!“ „დედა რომ უტიროს ამ გამყიდველებს!“ — ასეთი ლაკონური პასუხი უამრავია.**

**შორენა ნიგურიანის** კომენტარით, დესპოტად და ტირანად სტალინს აღიქვამენ ისინი, ვისაც ისტორიის ფურცლები არ გადაუშლია, წაკითხვაზე არაფერი რომ არ ვთქვათ.

**ზურაბ გაგლოევი:** —ხალხო, გამოიღვიძე, სანამ მამული, ენა, სარწმუნოება არ დაგვაკარგვინეს! „სტალინმა გვიჩვენა, როგორ უნდა იცხოვროს მშრომელმა ადამიანმა. ჩვენ უნდა განვახორციელოთ. ეს სახელმწიფო ხალხის მხრებზეა!

მაგალითების ჩამოთვლა ჩვენი მკითხველების დადებითი რეაქციის საჩვენებლად უსასრულოდ შეიძლება გავაგრძელოთ, მაგრამ ვიკმაროთ.

როგორი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს ეს სახელდახელო სოციოლოგიური სურათი?

**პირველი** — კვლავ და კვლავ დამტკიცდა, რომ თემა აქტუალურია. მკითხველის გულს მოხვდა.

**მეორე —** კარგი იქნება, თუ საქართველოში არსებული სოციოლოგიური კვლევის ცენტრები გაბედავენ და ჩაატარებენ გამოკითხვას ამ თემაზე. ხომ უნდა გავარკვიოთ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება სტალინისადმი?

...ან, იქნებ, ეს თემა კვლავ ტაბუდადებულია ჩვენს დემოკრატიულ ქვეყანაში?!

**არმაზ სანებლიძე**

# «გაამერიკელებულები»

**დღეს გთავაზობთ აშშ-ში მოღვაწე ქართველი ქალბატონის რუსუდან ჭუბაბრიას წიგნიდან „მზესუმზირა, უმზეოდ დარჩენილი“ ერთი ნოველის ნაწყვეტს, რომელიც შეიძლება ითქვას, თავისთავად ნოველაა, ნოსტალგია საკუთარ ქვეყანას მოწყვეტილი ადამიანის.**

წიგნის რედაქტორი შუქია აფრიდონიძე წერს:

კრებულის ავტორს — რუსუდან ჭუბაბრიას, სპეციალობით ორიენტალისტს (არმენოლოგს), მოწოდებით კი — ჰუმანიტარს ამ სიტყვის უფართოესი და საუკეთესო გაგებით, ბოლო ხანებში ჩვენი მკითხველი ინტერესით ეცნობოდა — თანდათან და ფრაგმენტულად.

რუსიკო ჭუბაბრიას პირადი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ოჯახითურთ მოუხდა ამერიკაში გამგზავრება. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ნიუიორკში (ბრუკლინი). სამშობლოში დედ-მამის მზრუნველობით აღზრდილ-ნაფერებმა ქალიშვილმა ღირსეულად გაართვა თავი მის წილხვედრ პასუხისმგებლობას, როცა გადაწყვიტა მეუღლესთან ერთად ამ დიდ ქვეყანაში გამგზავრება.

ცხოვრების ნირის შეცვლას ჩვენი ავტორისათვის ლიტერატურული საქმიანობა არ შეუწყვეტინებია; მეტიც: ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა იგი და მეტად საინტერესო ნაწარმოებები შეაქმნევინა. ეს ის შემთხვევაა, როცა თითქოსდა წმინდა მემუარული ჟანრი ჭეშმარიტ ლიტერატურად იქცევა. თქმული თანაბრად ეხება როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ პროდუქციას. მათ შორის საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისეთი შედევრის თარგმანი, როგორიცაა მიჩ ალბომის გახმაურებული „სამშაბათობით მორისთან“. იგი მრავალ ენაზეა თარგმნილი და რუსუდან ჭუბაბრიამ მისი ქართულად ახმიანება, სავსებით სამართლიანად, ჩვენი ენის ღირსების საკითხად მიიჩნია, როცა ხელი მოჰკიდა ამ საქმეს და წარმატებითაც გაასრულა. მთელს თავის ნამუშევარს ავტორმა თავი მოუყარა და მკითხველს შესთავაზა შესანიშნავი კრებული მრავლისმეტყველი სათაურით — „მზესუმზირა, უმზეოდ დარჩენილი“, — რუსთველისეული ცნობილი ტრიადა რომ მოვიხმოთ, „გულის, გონებისა და სულის“ დამაპურებელი ნაწარმოები.

# აქ, ჩვენთან, ბრაიტონში

## ჰ ა ნ ა

სატელეფონო ჯიხურთან მდგარი ერთ სატელეფონო ნომერს განუწყვეტლად ვკრეფ. უცნაურია, კვლავ არავინ მიპასუხებს. თბილისური ნომრების შემდეგ აქაური ზედმეტად გრძელი და მომქანცველი მეჩვენება, შედეგი — არავითარი. „ნეტავ, სად უნდა წასულიყო ამდენ ხანს 90 წელს მიტანებული მოხუცი“, — მიკვირს მე და კვლავ თავიდან ვიწყებ ნომრის აკრეფვას. საშინელი გრუხუნით მოქრის მატარებელი და ირგვლივ ყველაფერს აყრუებს. წარმოუდგენელია ამ პირობებში არსებობა. სახლიც რომ მაჩუქონ, არასდროს დავთანხმდები აქ ცხოვრებას.

უიმედოდ ვკიდებ ყურმილს და ველი, როდის გაივლის მეტროს მორიგი მატარებელი.

ეს ბრაიტონია.

ირგვლივ, ძირითადად, რუსული საუბარი ისმის. ერთმანეთს ენაცვლება ინგლისურ-რუსული წარწერები. ძალიან იშვიათად გადააწყდებით ქართულ აბრასაც. აქ ყოფილი საბჭოთა კავშირის ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენელს გადაეყრებით. ძნელია, აქ თავი ამერიკაში იგრძნო. ეს, ალბათ, არცაა ამერიკა, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა ამერიკის მიწაზე გადმოინაცვლა. ახალგაზრდა თაობა თუმცა კი ინარჩუნებს მშობლიურ ენას, მაგრამ თავს ნამდვილ ამერიკელად მიიჩნევს. თუკი ამერიკელების გარემოცვაში „გაამერიკელებულმა“ ჩვენიანმა დახმარების ხელი გამოგიწოდათ და „წინაპრების ენით“ გაგესაუბრათ, ეს მისი დიდი პიროვნული ღირსების მაჩვენებელია და მათ მიმართ მადლიერების განცდა მთელი ცხოვრება გაგყვებათ. ბრაიტონს ხშირად აკითხავენ ნიუ-იორკის სხვადასხვა ადგილას მცხოვრები „ჩვენიანები“. აქ პროდუქტები „რუსულია“, ჩვენი გემოვნების მიხედვით შერჩეული და შედარებით იაფი. მაღაზიები „რუსულენოვანია“, არცთუ იშვიათად შეხვდებით თურქებს, ჩინელებს, ესპანელებს. „ჩვენებს“ ძალიან უკვირთ, რომ ამ „არაჩვენიანებმა“ „რუსული ვერ ისწავლეს, თუმცა კია დრო... ამდენი ხანია, ბრაიტონზე ვაჭრობენ“. აქა-იქ გადააწყდებით ასეთ მეტად საინტერესო განცხადებასაც: „WELCOME, WE SPEAK ENGLISH“. მადლობა ღმერთს, თორემ „ჩვენები“ აქ თავს სრულ ბატონ-პატრონად გრძნობენ და მათთვის საჭირო რამდენიმე სიტყვის (hello, sorry, good morning, food stamps, medicaid, madicare) გარდა, ინგლისურის ცოდნით თავს დიდად არ იცხელებენ.

უკვე 5 საათი ხდება. ყურმილს კვლავ არავინ იღებს.

სააგენტოში ვრეკავ.

— ნომერი სწორია, ალბათ, ბაღშია, — მშვიდად მიპასუხებს კოორდინატორი და ყურმილს დებს.

ვერაფერი გამიგია, რა უნდა ბაღში 90 წლის ადამიანს. იქნებ, რაღაც კარგად ვერ გავიგონე, მაგრამ გარკვევით მითხრა: „სადიკო“.

ჯანდაბას, რაც არის, ესაა...

ოკეანის სანაპიროსკენ ვიღებ გეზს. ვცდილობ, მატარებლის გამაყრუებელ ხმაურს გავექცე. ფიქრები აქეთ-იქით გამირბიან, ვღელავ. ხვალ პირველად მივდივარ სამსახურში და აქამდე ჩემს კლიენტს ვერ მივაგენი.

სანაპიროზე სიმშვიდეა. ქვიშა ყვითელია. თოლიები აქა-იქ დაბაჯბაჯებენ და გრძელ ნისკარტებს აქეთ-




იქით ატრიალებენ სასუსნავის ან მორიგი მსხვერპლის მოლოდინში.

საბანაო სეზონი ჯერ არ დაწყებულა და ქვიშა სუფთაა. კედებს ვიხდი და ქვიშაში ვდგები. ქვიშა ნოტიოა, გრილი, სასიამოვნო...

იქით, ძალიან შორს, თეთრი გემი სერავს ჰორიზონტს. ნელ-ნელა მივდივარ ნაპირისკენ. ოკეანე ტუჩებს ილოკავს. სველ ქვიშაზე ვდგები, ქვიშა ახლა უკვე არასტუმართმოყვრულად ცივი და არასასიამოვნო მეჩვენება. მოშორებით ვჯდები. ისეთი გრძნობა მეუფლება, რომ სრულიად მარტო ვარ ამქვეყნად, მაგრამ ეს სიმარტოვე არ მაშინებს. ვწვები, თუმც ვიცი, რომ ქვიშის მარცვლებს მერე ვერაფრით მოვიცილებ... სულერთია, ახლა ვცდილობ, არაფერზე ვიფიქრო, ამ სიმარტოვისა და ამ უკიდეგანო სივრცის ნაწილად ვიქცე, გამოვთიშო ჩემი ტვინის ყველა უჯრედი. თითქოს გამომდის... ტალღების ხმა საიდანღაც შორიდან მესმის, ოკეანის ტალღაზე ქაღალდის ნავივით ვიწყებ რწევას.

ხვალინდელი დღის მოლოდინი მაინც არ მაძლევს მოსვენებას. მობილურს ვიღებ და კვლავ ვიწყებ ციფრების აკრეფას. ორი წამი, სამი და... გაოგნებული ვჯდები. ვიღაცამ ყურმილი აიღო.

— გისმენთ, — მესმის მოხუცი ქალის ხმა.

— გამარჯობა! — თქვენ... ჰანა ხართ? — თითქმის ვყვირი.

თოლიები წამიერად წყვეტენ თავების აქეთ-იქით ტრიალს და ცნობისმოყვარეობით შემომცქერიან.

— გამარჯობა! — მესმის მოხუცის კეთილგანწყობილი ხმა.

— რა ხანია, გირეკავთ და ვერ დაგიკავშირდით, მე თქვენი ახალი ჰომ-ატენდანტი ვარ.

— მე „სადიკში“ ვიყავი და ახლახან მოვედი, რა გქვიათ და საიდან ხართ?

— საქართველოდან.

დუმილი და უცებ გამართული ქართულით მესმის:

— გამარჯობა, მეგობარო! — რასაც ქართული „სულიკო“ მოჰყვება. ხმა კრიალა აქვს, ინტონაცია — ზუსტი.

მე „მიმინოსავით“ არ ავყვები მის სიმღერას. არც მეტირება. ვუსმენ რაღაც სრულიად გაუგებარი ემოციით შეპყრობილი, დაბნეული, გაღიმებული და არც კი ვიცი, რა ვთქვა.

უცნაური რამაა ემოცია, გაჯერებული სხვადასხვა მუხტით, ხანდახან თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავითაც კი. ნეტავ, შეიძლებოდეს ანალიზის გაკეთება...

ჰანა კი განაგრძობს სიმღერას და ვხვდები, რომ ისიც იღიმება.

მე ჯერ არ ვიცი, როგორ გამოიყურება ჰანა, არც ის, რომ იგი თითქმის ბრმაა, კიდევ ბევრი, ბევრი რამ, მაგრამ შემიძლია უკვე გარკვევით ვთქვა: — გულში სიმშვიდე მეღვრება, ჰანა რაღაცნაირი „ჩემი“ ხდება, ეს კი ცოტა როდია საკუთარ ქვეყანას მოწყვეტილი ადამიანისთვის.

**რუსუდან ჭუბაბრია**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჯულიეტა კაპულეტი არასოდეს არსებულა. რომანტიკული გმირის პროტოტიპი რომც არსებულიყო, სად ცხოვრობდა ის და, მით უმეტეს, როგორ ურთიერთობდა თავის შეყვარებულთან აივნიდან, არაფერია ნათქვამი გენიალური შექსპირის გენიალურ ნაწარმოებში, ორიგინალურ ტექსტში გოგონა თავის რომეოს ელაპარაკებოდა, როცა იდგა... ტერასაზე. მაგრამ შეყვარებული ჯულიეტას ეს ცნობილი მონოლოგი კინორეჟისორებმა „გადაიტანეს“ აივანზე, სწორედ ამის კულტივირებას ცდილობენ მოხერხებული იტალიელები, რომლებმაც ჯულიეტას სახლიც გამოუძებნეს და აივანიც.

# 10 გამოგონილი ღირსშესანიშნაობა, რომლებსაც, ყველაფრის მიუხედავად, უამრავი ტურისტი ათვალიერებს

**ნებისმიერ ქვეყანაში შეიძლება მოიძებნოს ადგილი, რომელზეც შექმნილია ლეგენდები და რომლის მოსანახულებლადაც უამრავი ტურისტი ჩადის, თუმცა ყველა ეს ადგილი არ არის ისტორიულად ფასეული, რადგან ზოგიერთი შექმნილია საყვარელი ფილმების მოტივების ან პოპულალური წიგნების სიუჟეტების მიხედვით, და ახლა ამ ყველაფერს წარმოაჩენენ, როგორც ღირსშესანიშნაობას და შეცდომაში შეჰყავთ მიამიტი ტურისტები. გაგაცნობთ ყველაზე პოპულარულ ასეთ ადგილებს.**







## 1. შერლოკ ჰოლმსის სახლი ლონდონში (დიდი ბრიტანეთი)

ამ შემთხვევაში მოქმედებს ორმაგი ტყუილი — მსოფლიოში ცნობილი და ყველასთვის საყვარელი გენიალური გამომძიებელი შერლოკ ჰოლმსი ხომ გამოგონილი გმირია (თანაც, ეს ყველამ იცის)?! მისი ბინის მისამართი კი ლონდონში არასოდეს არსებულა, მაგრამ ტურისტთა ჯგუფები ყოველდღიურად შესაშური მონდომებით ცდილობენ ბეიკერსტრიტის №239-ში მდებარე სახლში შესვლას. ამ სახლს კი მოხერხებულმა ადამიანებმა წინასწარ მიაკრეს აბრა №221B. რეჟისორები კი გენიალურ გამომძიებელზე ფილმს სულ სხვა ადგილას იღებენ.



## 2. ჯულიეტას აივანი ვერონაში (იტალია)

ჯულიეტა კაპულეტიც არასოდეს არსებულა. რომანტიკული გმირის პროტოტიპი რომც არსებულიყო, სად ცხოვრობდა ის და, მით უმეტეს, როგორ ურთიერთობდა თავის შეყვარებულთან აივნიდან, არაფერია ნათქვამი გენიალური შექსპირის გენიალურ ნაწარმოებში, ორიგინალურ ტექსტში გოგონა თავის რომეოს ელაპარაკებოდა, როცა... ტერასაზე იდგა. მაგრამ შეყვარებული ჯულიეტას ეს ცნობილი მონოლოგი კინორეჟისორებმა „გადაიტანეს“ აივანზე, სწორედ ამის კულტივირებას ცდილობენ მოხერხებული იტალიელები, რომლებმაც ჯულიეტას სახლიც გამოუძებნეს და აივანიც.





## 3. დრაკულას ციხე-დარბაზი (რუმინეთი)

გრაფი დრაკულა ცნობილი ბრენდია არა მხოლოდ რუმინეთში, არამედ მსოფლიოში — ცოტა მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც არაფერი სმენია ყველა დროისა და ხალხის ყველაზე „სისხლისმსმელ“ პერსონაჟზე. თუ თქვენ მოინახულებთ შუასაუკუნეების ბრანის ციხესიმაგრეს, რომელიც ქალაქ ბრაშოვიდნ 30 კმ-ში მდებარეობს, არაფერს დაკარგავთ, მაგრამ იცოდეთ — ამ ნაგებობას ისევე, როგორც თვითონ გრაფ **ვლად III ცეპეშს** საერთო არაფერი აქვთ უკვდავი ვამპირის ბოროტების ბუნაგთან. მოხერხებულმა ადამიანებმა ტურისტების მისაზიდად ეს ძველი ციხე-დარბაზი ისე გადააკეთეს, როგორც **ბრემ სტოკერის** ცნობილ რომან „დრაკულაშია“ აღწერილი. საინტერესოა, რომ ტურისტები აღფრთოვანებას ვერ მალავენ ყალბი ღირსშესანიშნაობის მონახულების შემდეგ — მათთვის მთავარი ის არის, რაც ნახეს, ხოლო სიმართლეა თუ არა ეს ყველაფერი, მნიშვნელობა არ აქვს.



## 4. სტოუნჰენჯი უილტშირის საგრაფოში (დიდი ბრიტანეთი)

სტოუნჰენჯი მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო ევროპის ერთ-ერთი საკრალური ადგილი, ის ხომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3 ათასი წლით ადრე ააგეს დრუიდებმა მაგიური რიტუალების შესასრულებლად და ასტრონომიური დაკვირვებებისთვის, მაგრამ 1958 წელს ამ საკულტო ნაგებობას სერიოზული რეკონსტრუქცია ჩაუტარეს, შეიძლება ითქვას, ხელახლა ააგეს — ზოგიერთი ქვა თანამედროვე ბეტონისგან დაამზადეს, სხვები კი ფოლადის არმატურით გაამაგრეს. ასე რომ, საკრალური ადგილი გადაიქცა ჩვეულებრივ ძეგლად, რომელსაც არ აქვს მაგიური ძალა.



## 5. ჩინეთის დიდი კედელი

თვით ამ გრანდიოზულ ნაგებობასაც შეიძლება ვუწოდოთ ფსევდოღირსშესანიშნაობა, რადგან კედლის ის ფრაგმენტები, რომელთა ნახვასაც ცდილობს მილიონობით ტურისტი... ახალი აშენებულია. ჩინეთის დიდი კედელი მართლაც არსებობდა და მას საუკუნეების განმავლობაში აშენებდა რამდენიმე თაობა (III საუკუნიდან, შეიძლება ითქვას, XXI საუკუნემდე). მისი სიგრძე 8 ათას კმ-ს აღწევს, თანაც ეს არ არის მთლიანი თავდაცვითი ნაგებობა და არც არასდროს ყოფილა. ჩინეთის კედლის დიდი ნაწილი წვიმამ, ქარმა და მზემ დაანგრია, ხოლო ის, რასაც გიდები უჩვენებენ 40 მლნ ტურისტს ყოველწლიურად, ახლახან, გასული საუკუნის 80-იან წლებში, შეიქმნა.



## 6. კოლუმბის სამშობლო

ადამიანებს დაბადების ადგილი ერთი აქვს, მაგრამ მოხერხებულმა მეწარმეებმა ქრისტეფორე კოლუმბისთვის მოიგონეს დაბადების 10 ადგილი, თუმცა აქამდე დადგენილი არ არის ყველაზე ცნობილი ზღვაოსნის, აღმომჩენისა და კარტოგრაფის დაბადების ადგილი. იტალიასა და ესპანეთში არის, სულ ცოტა, 6 სახლი ამერიკის აღმომჩენისა, მაგრამ პირველობის პალმის რტოს არავის უთმობს სახლი გენუში, იმის მიუხედავადაც კი, რომ ის აშენებულია კოლუმბის დაბადებიდან 200 წლის შემდეგ. ეს ფაქტი არ აშფოთებს არც ცრუ ღირსშესანიშნაობის შემქმნელებს და არც ათიათასობით ტურისტს, რომლებიც ყოველწლიურად მიდიან იმ ადგილის დასათვალიერებლად, სადაც „დაიბადა“ კოლუმბი. კიდევ ერთი ადგილი, რომელსაც ტურისტები შეცდომაში შეჰყავს, არის სახლი ლას-პალმას-დე-გრან-კანარიაში (ესპანეთი). იქ მოწყობილია საკმაოდ დიდი მუზეუმი და სიამაყით მოგითხრობენ, დიდი ქრისტეფორე კოლუმბის ცხოვრებისა და მოგზაურობების ამბებს. სხვათა შორის, დამტკიცებულია, რომ 41 წლის კოლუმბი ცოტა ხნით ცხოვრობდა ამ სახლში. მეცნიერები კი აქამდე კამათობენ, სად დაიბადა ცნობილი მოგზაური და კარტოგრაფი, რადგან მისი დაბადების ადგილის შესახებ არანაირი დოკუმენტი არ არსებობს.

## 7. ოსირისის საფლავი და ისიდას ტაძარი (ეგვიპტე)

უკვე ბევრი საუკუნეა, არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმად კუნძულ ფილეზე (Philae) მდებარეობს ძველეგვიპტური ღმერთის, ოსირისის, საფლავი და ტაძარი მთვარის ქალღმერთ იზიდასი, რომელიც განასახიერებს ქალურობას, დედობას, მაგიას, განკურნებასა და ძალას. კუნძული ფილე დღესაც არსებობს, მაგრამ იქ საკულტო ნაგებობები, დიდი ხანია, აღარ არის.

იდუმალი უძველესი ტაძრები, სამარხები და საკურთხევლები კარგა ხნის წინათ გადაიტანეს ახლომდებარე კუნძულ აგილკიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის საკმაო მიზეზი არსებობდა — ასუანის კაშხლის მშენებლობა, საკრალურმა ადგილებმა მაგიური ძალა დაკარგეს და ახლა მხოლოდ არქიტექტურის ჩვეულებრივი ძეგლია.



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



**1997 წლიდან „ოქროს ბუცმა“ თანამედროვე სახე მიიღო: ინდივიდუალურ ჯილდოს მიიღებს ფეხბურთელი, რომელიც დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას. უეფას რეიტინგის მიხედვით, ევროპის 5 უძლიერეს ჩემპიონატში გოლი 2 ქულად ითვლება. სარეიტინგო სიაში 6-დან 21-მდე ადგილზე მყოფი ქვეყნების პირველობაში გატანილი ბურთი 1,5 ქულად ფასობს, დანარჩენში კი — 1 ქულად.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ოქროს ბუცი» — ეუსებიოდან მესიმდე

## არგენტინელი გენიოსის საოცარი შედეგი

**„ოქროს ბუცით“ პირველად დააჯილდოვეს ფეხბურთელი, რომელმაც 1967-1968 წლების ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატებში ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა. ჯილდო დააწესა ფრანგულმა გამოცემა L'Equipe-მ და კომპანია „ადიდასმა“. წესები მარტივი იყო — ვინც ყველაზე მეტ ბურთს გაიტანდა, პრიზს მას გადასცემდნენ.**



ლიონელ მესი



ასეთ ფორმატში „ოქროს ბუცმა“ 1991 წლამდე იარსება. შემდეგი 5 წლის განმავლობაში ჯილდო არავისთვის გადაუციათ კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციის პროტესტის გამო, თუმცა „ადიდასი“ მაინც განაგრძობდა ლაურეატების დასახელებასა და დაჯილდოებას არაოფიციალურად. 1997 წლიდან „ოქროს ბუცმა“ თანამედროვე სახე მიიღო: ინდივიდუალურ ჯილდოს მიიღებს ფეხბურთელი, რომელიც დააგროვებს ყველაზე მეტ ქულას. უეფას რეიტინგის მიხედვით, ევროპის 5 უძლიერეს ჩემპიონატში გოლი 2 ქულად ითვლება. სარეიტინგო სიაში 6-დან 21-მდე ადგილზე მყოფი ქვეყნების პირველობაში გატანილი ბურთი 1,5 ქულად ფასობს, დანარჩენში კი — 1 ქულად.

**1967-1968. ეუსებიო** („ბენფიკა“, ლისაბონი) — **42 გოლი.** ევროპის პირველი ბომბარდირის ტიტული მოიპოვა ეუსებიომ, რომელმაც პორტუგალიის ჩემპიონატში 4 ათეულზე მეტი ბურთი შეაგდო მეტოქეთა კარში.

**1968-1969. პეტარ ჟეკოვი** (ცსკა სოფია) — 36 გოლი. ეს იყო პეტარის სადებიუტო სეზონი სოფიელი არმიელების შემადგენლობაში.

**1969-1970. გერდ მიულერი** („ბაიერნი“ მიუნხენი) — 38 გოლი. XX საუკუნის გერმანელ სუპერფორვარდს დიდი წარდგენა არ სჭირდება.

**1970-1971. იოსიფ სკობლარი** („მარსელი“) — 44 გოლი. შესანიშნავი სეზონი იუგოსლავიელი ფეხბურთელისა, რომელმაც ზედიზედ სამჯერ მოიპოვა საფრანგეთის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული, იმ სეზონში კი ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ევროპაში.

**1971-1972. გერდ მიულერი** („ბაიერნი“, 2). მიულერის მეორე „ოქროს ბურთი“.

**1972-1973. ეუსებიო** („ბენფიკა“, 2). გერდ მიულერის კვალდაკვალ ეუსებიომაც მეორედ მოიგო „ოქროს ბუცი“.

**1973-1974. ექტორ იასალდე** („სპორტინგი“) — 46 გოლი. კიდევ ერთი ბომბარდირი პორტუგალიიდან შესანიშნავი მაჩვენებლით, იასალდემ „სპორტინგის“ შემადგენლობაში სულ 126 ბურთი გაიტანა 131 მატჩში.

**1974-1975. დუდუ ჯორჯესკუ** („დინამო“ ბუქარესტი) — 33 გოლი. რუმინელ ფეხბურთელს 33 გოლი ეყო ტიტულის მოსაპოვებლად. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი „ოქროს ბურთის“ არსებობის პირველი 14 წლის განმავლობაში.

**1975-1976. სოტირის კაიაფასი** („ომონია“) — 39 გოლი. თანასწორუფლებიანობის პერიოდში „ოქროს ბუცის“ ტიტულის მოპოვება ნებისმიერს შეეძლო, არც ისე ძლიერი კვიპროსული კლუბის წარმომადგენელსაც კი.

**1976-1977. დუდუ ჯორჯესკუ** („დინამო“ ბუქარესტი, 2) — 47 გოლი. ამ სეზონში ჯორჯესკუმ შედეგიანობის მხრივ რეკორდი დაამყარა ევროპელი ფეხბურთელებისთვის — 47 გოლი. მისი რეკორდის მოხსნა შეძლეს მხოლოდ მესიმ და რონალდუმ.

**1980-1981. გიორგი სლავკოვი** („თრაკია“) — 31 გოლი. ბულგარელი ფეხბურთელის შედეგმა ეჭვები გააჩინა, მაგრამ მაინც ჩაუთვალეს. კლუბ „თრაკიას“ კი დღეს „ბოტევი“ ჰქვია.

**1981-1982. ვიმ კიფტი** („აიაქსი“) — 32 გოლი. 19 წლის იყო, „ოქროს ბუცი“ რომ მოიპოვა. 1988 წელს კი ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონი გახდა.

**1982-1983. ფერნანდუ გომეში** („პორტუ“) — 36 გოლი. „პორტუს“ ლეგენდარულ ფეხბურთელს უყვარდა თქმა: „ბურთის გატანა ორგაზმის განცდას ჰგავს“.

**1983-1984. იენ რაში** („ლივერპული“) — 32 გოლი. ინგლისის ჩემპიონატის პირველი წარმომადგენელი, რომელმაც ეს ინდივიდუალური პრიზი დაიმსახურა.

**1984-1985. ფერნანდუ გომეში** („პორტუ“, 2) — 39 გოლი. გერდ მიულერისა და ეუსებიოს შემდეგ მესამე ფეხბურთელია, ვინც 2-ჯერ მოიგო „ოქროს ბუცი“.

**1985-1986. მარკო ვან ბასტენი** („აიაქსი“) — 37 გოლი. ყველა დროის ერთ-ერთი შესანიშნავი ბომბარდირი.

**1986-1987. ტონი პოლსტერი** („აუსტრია“ ვენა) — 39 გოლი. პრიზი თავდაპირველად გადასცეს რუმინელ კემეტარუს, მაგრამ შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ უპატიოსნო გზით მიაღწია შედეგს, „ოქროს ბურთი“ ავსტრიელ პოლსტერს გადაეცა.

**1987-1988. ტანჯუ ჩოლაკი** („გალათასარაი“) — 39 გოლი. ამ თურქი ფეხბურთელის მეტსახელი არის „ბატონი გოლი“. თურქეთის ჩემპიონატში 12 სეზონის განმავლობაში 306 ბურთი შეაგდო მეტოქეთა კარში.

**1988-1989. დორინ მატეუდი** („დინამო“ ბუქარესტი) — 43 გოლი. თავისი კარიერის დანარჩენ წლებში (14) სულ 75 ბურთი გაიტანა.

**1989-1990. ხრისტო სტოიჩკოვი** (ცსკა სოფია) და **უგო სანჩესი** („რეალი“) — 38-38 გოლი. სანჩესი ესპანური კლუბების პირველი წარმომადგენელია, ვინც „ოქროს ბუცი“ მოიპოვა. უკვე შემდეგი სეზონიდან სტოიჩკოვი და სანჩესი ელ კლასიკოში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

**1990-1991. დარკო პანჩევი** („ცრვენა ზვეზდა“ ბელგრადი) — 34 გოლი. იუგოსლაველ ფეხბურთს, რომელმაც 1991 წელს „ცრვენა ზვეზდასთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ეს ინდივიდუალური პრიზი მხოლოდ 2008 წელს გადაეცა.

**1991-1992. ალი მაკოისტი** („გლაზგო რეინჯერსი“) — 34 გოლი. იმ პერიოდში პრიზს ოფციალურად არ გადასცემდნენ, მაგრამ, ძველი წესების მიხედვით, ევროპის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული დაიმსახურა შოტლანდიელმა ფეხბურთელმა, რომელიც ამჟამინდელი თაობისთვის ცნობილია როგორც EA Sports-ის ფეხბურთის კომპიუტერული სიმულატორის კომენტატორი.

**1992-1993. დევიდ ტეილორი** („პორტმადოგი“, უელსი) — 43 გოლი. არაფერი გსმენიათ ამ ფეხბურთელის შესახებ? — არც არის საჭირო.

**1993-1994. არსენ ავეტისიანი** (აოსს პიუნიკი) — 39 გოლი. ფეხბურთის მოყვარულებმა იციან, რომ ავეტისიანი სოჭის „ჟემჩუჟინას“ ღირსებასაც იცავდა.

**1995-1996. ზვიად ენდელაძე** („მარგვეთი“ ზესტაფონი) — 40. ეს არის ვირტუალური „ოქროს ბუცის“ ქართველი გამარჯვებული. რადგან, როგორც აღვნიშნეთ, 1991-დან 1997 წლამდე ამ პრიზის გადაცემა შეჩერებული იყო.

**1997-1997. რონალდო** („ბარსელონა“) — 68 ქულა (34 გოლი). ამ სეზონში, როგორც იქნა, მოხდა „ოქროს ბუცის“ „გადატვირთვა“ და ახალი წესებით (რომლებიც დღესაც მოქმედებს) დაიწყო პრიზის გათამაშება. „ოქროს ბუცი“ მოიპოვა ბრაზილიელმა ფენომენმა, მეტსახელად „კიჟა“.

**1997-1998. ნიკოს მახლასი** („ვიტესი“) — 68 ქულა (34 გოლი). იმხანად ჰოლანდიის ჩემპიონატი, დიდწილად „აიაქსის“ დამსახურებით, ევროპის საუკეთესო საფეხბურთო ჩემპიონატის ხუთეულში შედიოდა. სწორედ ამით ისარგებლა ბერძენმა მახლასმა.

**1998-1999. მარიო ჟარდელი** („პორტუ“) — 54 ქულა (36 გოლი). ეს იყო ბრაზილიელი ბომბარდირის შესანიშნავი სეზონი პორტუგალიურ კლუბში.

**1999-2000. კევინ ფილიპსი** („სანდერლენდი“) — 60 ქულა (30 გოლი). მოულოდნელად მოიპოვა ინგლისის პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული და მასთან ერთად „ოქროს ბუციც“.

**2000-2001. ჰენრიკ ლარსონი** („სელტიკი“ გლაზგო) — 52,5 ქულა (35 გოლი). შვედმა ფეხბურთელმა თავისი კარიერის საუკეთესო წლები შოტლანდიურ კლუბში გაატარა და ყველა ტურნირზე 53 ბურთი გაიტანა.

**2001-2002. მარიო ჟარდელი** („სპორტინგი“, 2) — 63 ქულა (42 გოლი). მარიო პირველი ფეხბურთელია, ვინც „ოქროს ბუცი“ სხვადასხვა კლუბში თამაშისას მოიპოვა.

**2002-2003. როი მაკაი** („დეპორტიკო“) — 58 ქულა (29 გოლი). ჰოლანდიელი შესანიშნავად თამაშობდა ჯერ „დეპორტივოში“, შემდეგ — „ბაიერნში“.

**2003-2004. ტიერი ანრი** („არსენალი) — 60 ქულა (30 გოლი). „არსენალის“ ფრანგი ლეგენდა 2000-იანი წლების შუა პერიოდში შეუჩერებელი იყო.

**2004-2005. ტიერი ანრი** („არსენალი“, 2) და **დიეგო ფორლანი** („ვილიარეალი“) — 50 ქულა (25 გოლი). ანრი ამ წელსაც მოწოდების სიმაღლეზე იყო, ოღონდ ურუგვაელ ფორლანთან ერთად.

**2005-2006. ლუკა ტონი** („ფიორენტინა“) — 62 ქულა (31 გოლი). ტონიმ 2006 წელს „ოქროს ბუცის“ გარდა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა იტალიის ნაკრების შემადგენლობაში.

**2006-2007. ფრანჩესკო ტოტი** („რომა“) — 52 ქულა (26 გოლი). კიდევ ერთი მსოფლიოს ჩემპიონი იტალიიდან, რომელმაც ბომბარდირის თვისებები გამოავლინა.

**2007-2008. კრიშტიანუ რონალდუ** („მანჩესტერ იუნაიტედი“) — 62 ქულა (31 გოლი). ეს იყო პორტუგალიის პირველი „ოქროს ბუცი“.

**2008-2009. დიეგო ფორლანი** („ატლეტიკო“, 2) — 64 ქულა (32 გოლი). ურუგვაელი შეუერთდა იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც 2-ჯერ მოიგეს „ოქროს ბუცი“.

**2009-2010. ლიონელ მესი** („ბარსელონა“) — 68 ქულა (34 გოლი). პირველი ჯილდო მომავალი რეკორდსმენისა მოგებული პრიზების რაოდენობით.

**2010-2011. კრიშტიანუ რონალდუ** („რეალი“, 2) — 80 ქულა (40 გოლი). კრიშტიანუმ გაიმეორა ჟარდელის ტრუკი და ორი სხვადასხვა კლუბის მაისურით მოიპოვა „ოქროს ბუცი“.

**2011-2012. ლიონელ მესი** („ბარსელონა“, 2) — 100 ქულა (50 გოლი). ეს რეკორდია. იმ წლებშიც კი, როცა არანაირი კოეფიციენტი არ მოქმედებდა, ვერავინ შეძლო 50 ბურთის გატანა.

**2012-2013. ლიონელ მესი** („ბარსელონა“, 3) — 92 ქულა (46 გოლი). მესი პირველია, ვინც ეს პრიზი სამჯერ მოიგო.

**2013-2014. კრიშტიანუ რონალდუ** („რეალი“, 3) და ლუის სუარესი („ლივერპული“) — 62 ქულა (31 გოლი). ამ სეზონში „ოქროს ბუცი“ შუაზე გაიყვეს პორტუგალიელმა და ურუგვაელმა.

**2014-2015. კრიშტიანუ რონალდუ** („რეალი“, 4) — 96 ქულა (48 გოლი). რონალდუ პირველი იყო, ვინც 4-ჯერ მოიპოვა ეს საპატიო პრიზი, მაგრამ შემდეგ წლებში მას დაეწია მესი და გადაასწრო კიდეც.

**2015-2016. ლუის სუარესი** („ბარსელონა“, 2) — 80 ქულა (40 გოლი). სუარესმა მეორედ მოიგო „ოქროს ბუცი“, თანაც ორ სხვადასხვა კლუბში.

**2016-2017. ლიონელ მესი** („ბარსელონა“, 4) — 74 ქულა (37 გოლი). მესის მეოთხე ჯილდო.

**2017-2018. ლიონელ მესი** („ბარსელონა“, 5). გასულ სეზონში მესიმ მეხუთედ მოიპოვა ევროპის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული.

**2018-2019. ლიონელ მესი** („ბარსელონა“, 6). 72 ქულა (36 გოლი). არგენტინელი გენიოსი მეექვსედ დაეუფლა „ოქროს ბუცს“ და ამით თავისივე რეკორდი გააუმჯობესა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



ეუსებიო

# ლიბერალიზმის დასამარების დასაწყისი

**ევროსკეპტიკოსებსა და ნაციონალისტებს ორი ფრაქციიდან ევროპარლამენტის ახალ შემადგენლობაში 113 ადგილი ექნებათ. ეს მნიშვნელოვნად მეტია წინა პარლამენტში მათ მიერ დაკავებული ადგილების რაოდენობაზე. ადრე ხსენებულ ფრაქციებს — „ევროპული ერები და თავისუფლება“ და „თავისუფლება და პირდაპირი დემოკრატიის ევროპა“, შესაბამისად, 37 და 41 დეპუტატი ჰყავდათ (სულ 78).**




**სალვინის** ალიანსმა, რომელიც აერთიანებს ევროსკეპტიკოსებს საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, ბელგიიდან, იტალიიდან და სხვა ქვეყნებიდან, შეიძლება მიიღოს 57 ადგილი (წინა პარლამენტში ჰქონდათ 37), ხოლო „ბრექსიტის“ მომხრეებს „თავისუფლება და პირდაპირი დემოკრატიის ევროპიდან“ ექნებათ 56 მანდატი (ჰქონდათ 41). ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, შექმნიან თუ არა ეს ძალები ჯგუფს.

ევროპარლამენტის ამჟამინდელ არჩევნებში ბოლო წლებში სარეკორდო რაოდენობის (50%-ზე მეტი) ამომრჩეველი მონაწილეობდა.

„ევროპარლამენტის ამ არჩევნების წინ იტალიაში — პარტია „ლიგის“, საფრანგეთში — „ნაციონალური გაერთიანების“, ხოლო დიდ ბრიტანეთში ბრექსისტის მომხრეთა ლიდერობა ევროპაში ცვლილებებისა და „ახალი ევროპული აღორძინების“ დაწყების ნიშანი იყო“, — განაცხადა იტალიის ვიცეპრემიერმა, „ლიგის“ ლიდერმა **მატეო სალვინიმ.**

„არა მხოლოდ „ლიგა“ გახდა პირველი პარტია იტალიაში, **მარინ ლე პენი** პირველია საფრანგეთში, **ნაიჯელ ფარაჟი** — დიდ ბრიტანეთში, ეს არის ნიშანი იმისა, რომ **ევროპა დაიღალა ელიტების, კორპორაციებისა და გავლენიანი ძალების მონად ყოფნით.** არჩევნების შედეგები გვიჩვენებს, რომ ევროპული წესები იცვლება. იბადება ახალი ევროპა და მე ვამაყობ, რომ „ლიგა“ მონაწილეა ამ ახალი ევროპული აღორძინებისა, რომლის საფუძველიც არის სამუშაო, თავისუფლება, ხალხები და უფლებები“, — განაცხადა „ლიგის“ ლიდერმა.

ლიბერალები კი პანიკაში არიან. ბრიტანეთის ისტებლიშმენტის მთავარმა მედიარუპორმა, გაზეთმა The Times-მა მკითხველებს აუწყა, რომ „დაიწყო ევროკავშირის განადგურების ორგანიზებული მცდელობები“, თანაც ეს გააკეთა რესპექტაბელურ წყაროზე მითითებით, რომელიც ევროპული ბიუროკრატიის პირამიდის წვერშია მოკალათებული. ეს წყაროა **გი ვერჰოფსტადტი** — ბელგიის ყოფილი პრემიერი, ამჟამად გავლენიანი წევრი პანევროპული პოლიტიკური გაერთიანებისა „ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისთვის“, ამ ალიანსის ხელმძღვანელი ევროპის პარლამენტში, აგრეთვე, მთავარი მომლაპარაკებელი ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის საკითხზე. სწორედ მას მიაჩნია, რომ „ევროპული პროექტის განადგურების ორგანიზებული მცდელობის უკან“ დგას რუსეთი და ეს პოზიცია აძლევს შესაძლებლობას ბრიტანეთის მთავარ მედიასაშუალებას, გამოვიდეს სათაურით: „პუტინი, ჯონსონი და ფარაჟი გვანადგურებენ ჩვენ“, — გვაფრთხილებს ევროკავშირის მეთაური“.

The Times-ის ამ პანიკური მასალის არსი დადის ერთ მკაცრ თეზისზე, რომელსაც ბრიტანელი ჟურნალისტები უაპელაციოდ წევენ წინა პლანზე: **„მისტერ ვერჰოფსტადტმა განაცხადა, რომ, თუ ევროპელი ლიდერები ვერ შეძლებენ პოპულიზმის ტრენდის შეჩერებას, ეროკავშირი დაინგრევა რუსეთის მიერ მხარდაჭერილი ნაციონალისტური გადატრიალების შედეგად 2024 წლის არჩევნებში“.**




თვალში საცემია ის, რომ ევროპელი პოლიტიკოსი და „დემოკრატიის მედროშე“ არჩევნებში ხალხის ნების თავისუფალ გამოხატვას „პუტინის მიერ ინსპირირებულ ნაციონალურ გადატრიალებას“ ეძახის. ეს ფრიად ირონიულად გამოიყურება მაშინ, როცა ფრაქციას, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ეწოდება „ლიბერალებისა და დემოკრატების ალიანსი ევროპისათვის“. **ევროპის პოლიტიკური ისტებლიშმენტის აზრით, ლიბერალიზმი და დემოკრატია გულისხმობს იმას, რომ ძალაუფლება სწორედ ლიბერალებს უნდა ეპყრათ ხელთ, ხოლო, თუ ამომრჩეველი მათ მიერ ყველაფრის ჩაფლავების გამო სხვაგვარად ფიქრობს, ამაში დამნაშავე ყოფილა პირადად პუტინი.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„ჯეომედია“ — ტელ: 593 209 526
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



## მარიხუანამ შეიძლება მოზარდის სამი წლით გონებრივი ჩამორჩენა გამოიწვიოს

**ახალი კვლევის თანახმად, კანაფის რეგულარულ მოხმარებას შეუძლია მოზარდებზე ისე მძიმედ იმოქმედოს, რომ გონებრივი განვითარების მხრივ თანაკლასელებს სამი წლით ჩამორჩნენ.**

მონრეალის უნივერსიტეტმა კანადის სკოლებში გამოიკვლია 12-13 წლის მოსწავლეები 4 წლის განმავლობაში. კვლევაში ჩართული იყო კანადის საშუალო სკოლების 4000-მდე მოსწავლე. მკვლევარები კომპიუტერული ტესტების საშუალებით რეგულარულად ამოწმებდნენ მოსწავლეების აზროვნების უნარებს, მოკლევადიან მახსოვრობის უნარსა და თვითკონტროლს. კვლევის თანახმად, კანაფის მომხმარებლები უარეს შედეგებს ავლენდნენ არამომხმარებლებთან შედარებით, ხოლო მათი შედეგები უფრო უარესდებოდა, როდესაც მარიხუანის მოხმარება იმატებდა.

მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მარიხუანა მოზარდის ტვინისთვის უფრო მომწამვლელია, ვიდრე ალკოჰოლი. ნარკოტიკის მუდმივი მოხმარება სერიოზულ გავლენას ახდენს აზროვნებაზე, ხოლო დამანგრეველი ეფექტი აქვს თვითკონტროლზე.

## აშშ-ში ხსოვნის დღეზე სროლას მსხვერპლი მოჰყვა

**ჩიკაგოში ხსოვნის დღეს ატეხილი სროლის შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა და ათობით დაშავდა, — იუწყება CBS News-ი.** გამოცემის ინფორმაციით, 5 ადამიანის მკვლელობის გამო პოლიციას ჯერ არავინ დაუკავებია. ხსოვნის დღეს ჩიკაგოში 1 200 პოლიციელი პატრულირებს. ქუჩებში უსაფრთხოების ზომები გაძლიერებულია. 27 მაისს აშშ-ში ხსოვნის დღეს აღნიშნავენ. ამ დღეს ომში დაღუპულ ჯარისკაცებს მიაგებენ პატივს. ხსოვნის დღე ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად სამოქალაქო ომის დასრულებიდან სამი წლის შემდეგ — 1868 წელს აღინიშნა. ამერიკის სამოქალქო ომში 600 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

სიახლე!
ტიბეტური მედიცინით მკურნალობა
ლიცენზია N 035121

- პროსტატიტი, პოტენციის დაქვეითება, გაძნელებული შარდვა;
- ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გართულებული კლიმაქსი, უშვილობა;
- თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, ინსულტი, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
- თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.

მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ქიმიური წამლებისა და ჰორმონალური პრეპარატების გარეშე.
☎ 599-54-18-30, 247-57-18

სიმაღლეში მომატება!
გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?
დარეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.
ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.
გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.
ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894